

საქართველო

საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРЛИ САКАРТВЕЛО

15 ნოემბერი 2024წ. №15 (4093) ბამოცემის 94-ე წელი ფასი 2 ლარი

გელა პალეაშვილი

ზამთრის მინუტების ლექსები

თორა

გამოფხიზლდით, ქართველებო,
გამოიფხიზლეთ,
თქვენზე სისხლ-ხორცს
ნურაფერს ერჩით!
სული უბერეთ ერთმანეთს
და ედევით გვერდში!
თუ ავითვისეთ შოთასი
და ვაჟს მადანი,
ვნახავთ: იმათთან ვაჟკაცები,
განურჩევლად ყველა მათგანი,
მტერს ხოცავენ - არა მისიანს...
ეს ქვეყანა ხომ ჩვენია და
არა - სხვისია.

სული უბერეთ, ქართველებო,
ერთიმეორეს,
სად გაგონილა შენიანის
ხოცვა, მტერობა...
თორემ ახდება მარადი მტრის
მარადი ნატვრა -
საქართველო უქართველებოდ!

როდის ყოფილა

თბილი ქვეყნებით მობრუნებულთ
ვხედავ ფრინველებს,
სარჩოსთვის წასულთ,
მობრუნებულს ვერ ვხედავ
ქართველს,
საშინელია ეს ყოველი
და მხრავს ფიქრები,
ამ ფიქრებით დღეს ვალამებ,
ლამეებს ვათევ.
მიეცით პური ქართველებს,
რომ არსად წავიდნენ,
აქ დააჩინონ შვილები
და ქართულად ზარდონ...
მილიონერო, რად გჭირდება
მილიონები,
გაუნანილე გაჭირვებულთ -
▶ დასასრული 83-7 გვ.

ისევ საგურამოვი

8 ნოემბერს ტრადიციულად აღინიშნა ილია ჭავჭავაძის დაბადების დღე. ზეიმს მშვენიერი დარი დაემთხვა და მუზეუმს არც სტუმრები აკლდა.
წინამურში, ილიას ობელისკთან, დაირგო ეს-პანეთიდან ჩამოტანილი ზეთისხილის ნერგი, რომელიც სამას წელს ცოცხლობს.
სახლ-მუზეუმის ეზოში მდებარე სცენაზე გაიმართა საზეიმო კონცერტი. მონაწილეობდნენ სა-



გურამოს ქორეოგრაფიული ანსამბლი „დავითიანი“, საგურამოს მუსიკალური სკოლის მოსწავლეები, მცხეთის კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „როკვა“, თბილისის მე-8 საჯარო სკოლის მოსწავლეები.
მოენყო სამხატვრო სკოლა „ნინია“ სტუდიის სტუდიის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.
გაიმართა საგურამოს ლიტერატურული პრემიის ლაურეატების დაჯილდოება. 2024 წლის „საგურამო“ საზეიმოდ გადაეცა მიხო მოსულიშვილს (პროზა), თამაზ ბარჯაძეს (პოეზია), გიორგი ხორბალაძეს (კრიტიკა), ლანა ლოლობერიძეს (თარგმანი), ელგუჯა ხინთიბიძესა და ვახტანგ გურულას (მეცნიერება), ნინო ჩაკვეტაძეს (მხატვრობა), მზექალა შანიძეს (ილია ჭავჭავაძის მედალი „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთან“).

ჩვენი სპეც. კორ.



სტრუქტურა

აქყოფნისაკენ გრიგოლ აბაშიძე -110

მშვიდ, მწყაზარ, ღმილიან სახეს რაღაც უხილავი შუქი უნათებდა. უთუოდ ეს იყო იმ ძველ ქართველთა სიკეთის შუქი, რომლებსაც მთელი ცხოვრების განმავლობაში აცოცხლებდა თავისი ნიგნების ფურცლებზე.

საკვირველი კი იყო, როდისღა ასწრებდა ისტორიის ლაბირინთებში შესვლას, როცა მუდამ საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა და მოცლა არ ჰქონდა.

ალბათ ეს იმას ამტკიცებს, რომ მისთვის მთავარი იყო არა თანამდებობა, არამედ შემოქმედება.


ასეთი იყო გრიგოლ აბაშიძე, ეს იყო მისი ხასიათი, მისი კულტურულ-ინტელექტუალური მრწამსი.

მწერლობაში ფეხის შემოდგმიდან საქართველოს ისტორია იყო მისი შთაგონების წყარო. ამ გატაცებამ შეაქმნევინა XIII საუკუნის ქართული ქრონიკა, ტრილოგია - „ლაშარულა“, „დიდი ღამე“ და „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“; პოემა „გიორგი მეექვსე“. იგი ისტორიაში, უპირველეს ყოვლისა, სიმართლეს ეძებდა და არა იდეალს. წარსულს რომანტიკული საბურველი ჩამოაცილა და დაგვიხატა სინამდვილე მთელი თავისი შუქ-ჩრდილებით, დაგვანახვა, რომ ქართველთა „ოქროს ხანის“ დასასრული, დიდი საქართველოს დაშლა-განადგურება გარეშე მტრების შემოსევებმა კი არა, ქართველთა შინააღმართობამ, ურთიერთმტრობამ და ზნეობრივმა დაცემამ განაპირობა.

გრიგოლ აბაშიძის ნაწარმოებებში იმასაც ვხედავთ, რომ ქართველი ხალხის ისტორია არის გამუდმებული ბრძოლა საკუთარი შინა-წყლისა და სამკვიდროს დაცვისთვის, მამაპაპეული ენისა და სარწმუნოების შენარჩუნებისთვის: მტრისგან განადგურებულ ქვეყანაში ახალი ძალით იღვიძებდა ქართველი ერის შემოქმედებით ენერჯია. იწყებოდა დაბრუნება საკუთარ თავთან, საკუთარ საწყისებთან.

გრიგოლ აბაშიძე მარტო ისტორიით არ ყოფილა გატაცებული, თანამედროვე თემებზეც წერდა. რომანი „ყორნალი“ სწორედ მეოცე საუკუნის ადამიანის მორალურ-ეთიკური პრობლემების სახეხავს მიუძღვნა.

შესანიშნავი პოეტი იყო, გამორჩეული




ხელწერითა და დახვეწილი გემოვნებით. წერდა პუბლიცისტურ სტატიებს, პიესებს. ბრწყინვალედ თარგმნიდა, დღემდე გვახსოვს ის ალტაცება, რასაც იწვევდა მის მიერ თარგმნილი რონსარის, პეტეფის, მიცკევიჩისა და სხვა ცნობილი პოეტების ლექსთა თარგმანების გამოქვეყნება.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე გამოსცა ლექსების კრებული - მკაცრი, უღმობელი, მაგრამ საინტერესო, ცხოვრებისეული სიბრძნით განათებული, სიცოცხლის სიყვარულისა და ერთგულების ნიგნი - სათაურით „არყოფნისაკენ“, რომელიც იყო უკანასკნელი ნაბიჯი ამქვეყნად, აქ ყოფნისაკენ, აქ, ლიტერატურის ისტორიაში დამკვიდრებისაკენ. და ის დარჩა, დამკვიდრდა ამ ისტორიაში.

ივანე ამირხანაშვილი

(თემის გაგრძელება მე-2 გვ.)

შარქები ნარსულიდან



ვახტანგ ჯავახია

83.3


იუდას ბოლგოთა



გ. მგალაძის ესეი

83.4


ოთარ გამფორია - 100



ო. გამფორიის ნარილი

83.5

ბალაკტიონოლოგია



დ. დარაბიძის ტრიპტიქი

83.14

„ვეპეტარიაელი“



ახალი ნობელიატი

83.15

გენიკ სარანაული

გრიგოლ აბაშიძე - დღეს

კაცობრიობა მეორედ უკვე ვეღარასოდეს შევა იმ მდინარეში, რომელსაც XX საუკუნე ჰქვია. ჩვენს წინ ახლა წლები კი არა, საუკუნეებია ზურ-გაშუქებული და ნეტა, შეგვეფერება კი განმსჯელობის პოზა, თუ სხვადასხვა მიზეზით სინდისის ისევე უშუალოდ ვართ? რაზე უნდა ვიფიქროთ? ასეთ კითხვებზე პროფესიული ქავილი ეწყებათ ხოლმე პოლიტიკოსებს, ფილოსოფოსებს, სოციოლოგებს, მწერლებს, რადგან გრძნობენ, რომ სწორედ მათგან ელიან პასუხს. პასუხს ელის არა მხოლოდ ხალხი და საზოგადოება (ამათი ნუგეში თავისუფლად შეიძლება), არამედ ის მაღალი უცნობი თუ მაღალი აბსტრაქცია, რომელსაც დრო ჰქვია. მამ, პასუხს ელის დრო! განსაკუთრებით ჩვენგან, ქართველებისგან, რომლებიც დღემდის მხოლოდ დროის ლირიკულ ორეულს ვიცნობთ...

მე თვალს ვუხედი იმ ფაქტს, რომ იწყება ახალი მკითხველის ჩამოყალიბების პროცესი, რომ ახალი მკითხველი გამოეყოფა იმ მასას, რომელიც თვითონ კი არ მიიღოდა ლიტერატურასთან, არამედ მიჰყავდათ, რომ ახალ მკითხველთა „პროფესიული“ დონე გაცილებით მაღალი იქნება და, შესაბამისად, ანგარიშგასაწევი...

ბევრ საინტერესოს შესთავაზებს ოცდამეერთე საუკუნე ქართულ მწერლობას. მე, შესაძლოა, მრავალთა დარად, ბოროტად ვიყენებ იმ რეალობას, რომ კულტურასა და მწერლობაზე ზოგადი საუბარი არავისი კომპეტენცია არ არის, მაგრამ, ლეონის წინააღმდეგ, ყველას განსასჯელი და შესაბამისი მინც არაა, თუნდაც ისეთი ადამიანისა, რომელიც რადიკალურია - მწერლობაში, მუსიკაში, მხატვრობაში... ასეთი ადამიანის აზრი არ შეიძლება იყოს სასარგებლო ხელოვნების ნებისმიერი დარგისთვის იმიტომ, რომ ის - რადიკალურია, იმიტომ, რომ ის რაღაც დარგის, რაღაც მიმდინარეობის, რაღაც სტილის ორთოდესი მიმდევარია. რაღაცის მიმდევარი, რა თქმა უნდა, იქნება ხელოვანი, რაღაცა სტილი, რა თქმა უნდა, ექნება მწერალს, მაგრამ სხვისი, სხვა სტილის, სხვა მიმდინარეობის ჯვარით არ უნდა გახდეს და ამის მიზეზი მხოლოდ ადამიანური ლიონობაა კი არა, მწერლური გემოვნება უნდა იყოს. ნამდვილი ლიტერატურული გემოვნება მაღალ სწევს მწერლობის საშუალო, ანუ „მუშა“ დონეს და როცა ახალგაზრდა მწერალი სასაპარეზოდ გამოდის, მას უკვე აქვს ნიშნები იმისა, თუ რა არის მინიმუმი და რა - მაქსიმუმი... მე სწორედ აქ შემიძლია გავხედო და ამ დაუღალავებელ საუბარში ჩვერთო გრიგოლ აბაშიძე, რათა ჩემი სუბიექტური მაგალითით დავადასტურო ის, რაც ბევრმა უკეთ იცის: გრიგოლ აბაშიძე იყო უდიდესი ლიტერატურული გემოვნებით დაჯილდოებული პოეტი.

ახლა, რა თქმა უნდა, უკეთ ვხვდები, თუ ადამიანის ცხოვრებაში რა არის საკუთრივ ადამიანის დამსახურება და რა - ბედის. მე ბედს ვუშვამდი, რომ სრულიად ახალგაზრდა მენავე გრიგოლ აბაშიძის ნავსადგურს მიმავყენა. არადა, მქონდა შანსი უკიდურესად ზღვაში უაზრო ხეტიალისა („ხეტიალის“ ნაცვლად შემიძლო „დრეიფი“ დამეწერა, მით უფრო, რომ ეს სიტყვა გეზდაკარგული გემის უაზრო ცურვას ნიშნავს, მაგრამ გამახსენდა, ბატონი გრიგოლი, რომელიც უცხო სიტყვას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ხმარობდა და ეს უნებლად გახსენებდა ბატონი გრიგოლისა, ეს ნამი ლიტერატურული ყოფისა, მხოლოდ მეათასედიან გრიგოლ აბაშიძესთან ჩემი ბოლო წლების „შეხვედრებიდან“).

გრიგოლ აბაშიძე იყო კულტურის კაცი, კულტურით საზრდოობდა და კულტურით ცხოვრობდა. ეს იყო ადამიანი, რომელსაც ყველაფერი,

- არ შეეძლო, სახელდობრ პატიოსნების გამო კი არა, სახელდობრ ნესიერების გამო კი არა, სახელდობრ ცოდნის გამო კი არა, სახელდობრ განათლების გამო კი არა, სახელდობრ პოეტობის გამო კი არა, არამედ კულტურის გამო, ის, რაც არ შეესაბამებოდა კულტურას, რაც არ იყო ლამაზი, რაც არ იყო მართალი, ის, რაც არ იყო გონებასმხვილი, გრიგოლ აბაშიძისათვის საერთოდ არ იყო პატივისცემის და განწყობის საგანი. განსაკუთრებული იყო მისი თვისება ნიჭის პატივისცემისა: აბსოლუტური ცოდნა ჰქონდა ნიჭის შეგრძნებისა და ასევე აბსოლუტური პატივისცემა. ნიჭიერი ადამიანისთვის ყველაფერი გააკეთებდა. ნიჭიერი ადამიანი შეიძლება ყოფილიყო სულელი, შეიძლება მოქცეულიყო უზრდელად, შეიძლება რაღაც საზოგადოებრივი ნაკლი ჰქონოდა, მაგრამ თუ ის ნიჭიერი იყო, გრიგოლ აბაშიძისთვის უკვე პატივისცემის, განწყობის საგანი ხდებოდა. სილამაზე ნიჭია, ყველამ ვიცით, მაგრამ ყველას როდი ერგება, სილამაზესთან ნიღბიერად განვლავს ცხოვრება, ყველას როდი შეუძლია, რომ სილამაზეს დაუმორჩილოს ცხოვრება, ყველას როდი შეუძლია სილამაზე დააყენოს პირველ ადგილზე თავის ცხოვრებაში. კულტურა სილამაზის პირმშოა. არაფერი შეაკრთობდა ბატონ გრიგოლს, ოღონდ ნუ იქნებოდა უხამსობა, უკულტურობა, უნიჭობა... საოცარ დროში იმოღვაწევა, თანაც, როგორც ყველამ ვიცით, იგი არ იყო ცხოვრებისაგან გარიდებული კაცი და მაინც, მხოლოდ და მხოლოდ ამ თვისებებით და ასეთიანმა განვლავს მაღალი საზოგადოებრივი საფეხურები და უნდა ითქვას, მისი მოღვაწეობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქართული მწერლობისათვის. მეგონა, რომ მხოლოდ მე ვარ ბატონი გრიგოლის სიკეთით დავალებული, მაგრამ გაირკვა, ჩვენს მწერლობაში ბევრია ისეთი, ვისთვისაც გრიგოლი მნიშვნელოვანი იყო, როგორც უფროსი მეგობარი, უფროსი კოლეგა. მე ვერ ვხედავ კაცი ამათგან, რომელიც გრიგოლისაგან ისე არ იყოს დავალებული, რომ „მისი ვალიდან ვერ ამოვა“. და ეს ისე შეუშინებლად ხდებოდა, რომ ბატონი გრიგოლი ამით თავისადმი განწყობილთა და მიმხრობილთა და აქედან გამომდინარე, მხარდაჭერა გუნდს არ ქონდა, არამედ ეს მისთვის ჩვეულებრივი ცხოვრების წესი იყო...

გრიგოლ აბაშიძე იყო ის პოეტი, რომელიც სიყვარულის ენერჯის გულში არ ინახავდა, და მოახერხა, გამოემუხურებინა კიდევ შემოქმედებითი და ადამიანური მოღვაწეობის მთელ გზაზე ორიგინალური ლექსებით, თარგმანებით თუ შემდგომი ხანის პროზით. ლექსიდან - ლექსში, თარგმანიდან - თარგმანში, რომანიდან - რომანში გადადის სიყვარულის თემა, მარადიული სატრფოს სახე სხვადასხვა მხატვრულ ფუნქციონირებს... პოეტი რომ არაა დეკლარატიული ცხოვრებასთან, ცხოვრების მოვალეობებთან, ცხოვრების ტვირთთან, მე ამას პირველად ბატონმა გრიგოლმა მიმახვედრა.

ბატონი გრიგოლი კეთილგანწყობილი იყო ადამიანების მოდგმისადმი. მას შეეძლო ნონასწორობა შენარჩუნებული ურთიერთობები სხვადასხვა ჯურის, სხვადასხვა ზნის, სხვადასხვა რანგის ადამიანებთან; მას შეეძლო ყოფილიყო მათ შორის - განმსჯელიც, მომთმენიც, პატივისცემელიც, ენაწყლიანიც, შინაურიც კი, მაგრამ არასოდეს მინახავს, რომ ყოფილიყო - ადექვატური. მიზეზი? მიზეზი ის გახლავთ, რომ თვითონ პოეზია არაა დეკლარატიული და პოეტიც არაა დეკლარატიული. და ეს ოდნავი გაუცხოება ცხოვრებისაგან, ადამიანებისაგან, პოეტისათვის სრულიად ნორმალური მდგომარეობაა და დაე, ნუ შერცხვება, რადგან ცხოვ-

რებისადმი არაა დეკლარატიული - იგი პოეზიის საწყისებს ერთვის.

გრიგოლ აბაშიძე იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა - განათლებას. გაუნათლებელი კაცი საზოგადოების სრულფასოვან წევრად არ ითვლებოდა. ასეთი დამოკიდებულება ჩვენში კომუნისტების გამოჩენამდე ჩაისახა, თუმცა მალევე არ განელებულა და ინერციით მგონი ჩვენამდე მოაღწია - ახალ წერა-კითხვის უცოდინრობამდე, ახალგაუნათლებლობამდე. ბატონი გრიგოლის განათლება იყო ფართო და ყოვლისმომცველი. ზოგადი თუ კერძო, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების დარგების ისტორია და - სიყვარულისა და ტკივილის უღვევი და უთავებელი წყარო - საქართველოს ისტორია, რომლის ფურცლებზეც, როგორც სარკეში, იგი ზუსტად არჩევდა ქართველთა ბედსა და უბედობას, ზნეს და უზნეობას, კანონზომიერებას და ფატალიზმს. სამკითხაო წიგნი არ იყო მისთვის „ქართლის ცხოვრება“, ამიტომაც ასე დაბნეული გამოიყურებოდა თავისი ცხოვრების ბოლოჟამს, ყოველთა ქართველთა ზნეთა თავის ვერდამალვის ჟამს, როცა ჩრდილოეთის ქარი აქეთ-იქით აქანებდა საქართველოს, როგორც გეზდაკარგულ ზღვს, რადგანაც საქართველოს ისტორია ბატონი გრიგოლისათვის იყო დიდი მოურეველი წყარო - მთავრებისა და ფიქრისა, სავალალო დასკვნებისა და იმედებისა და ამჟღავნებდა კიდევაც, გამოსატყვევად კიდევაც - უკვდავი „გიორგი VI“-დან დაწყებული, როცა შეუდგა ჩვენი ისტორიის მხატვრულ კვლევას, და რომანებით და ესეებით დამთავრებული...


ძალიან უფრო დროს ნაწიდა ბატონი გრიგოლი. საოცარია, ადამიანმა, რომელმაც დანერა ისეთი ლირიკის წიგნი, როგორც არის „არყოფნისაკენ“; ადამიანი, რომელსაც ამდენი ენერჯია აღმოაჩნდა; ადამიანი, რომელიც შემართული იყო - ლექსად - თითქოს ახლა მიეცა თავისუფალი სუნთქვის დროს... რადგანაც, რადროც იღვანა, ლიტერატურისთვის ბოროტად განწყობილი ხანა იყო. ასეთ ადამიანს არ ებოძა სასიცოცხლო ჟამი, და ღმერთს ხუთი წელიც რომ ეწუქებინა, კიდევ მრავალ მოვისმენდით მის ქნარზე დაკრულს. უცნაური ფაქტია, 80 წლის ადამიანმა თან ასეთი შემოქმედებითი ენერჯია ნაიყოლა: „არყოფნისაკენ“ - მისი ლირიკის მეცხრე ტალღაა, მან დაამსხვრია პოეტის სხეული, მაგრამ ფერფლის ადგილას დარჩა - უკვდავი ლეგენდა. ბატონი გრიგოლი თავისი კულტურული და მსოფლმხედველობრივი, თავისი ზნობრივი დამოკიდებულებების შესაბამისად ნაწიდა ჩვენგან... დიდხანს არ უთავადნია, არ დატანჯულა უმწეობით და ლოგინს მიჯაჭვულობით, ოდნავ მღვიძარი გონებით და იმდენად დაბინდული შეგრძნებებით, როგორც ალბათ, საჭიროს კარიდან მოჩანს სააქაო ცხოვრება, აქაური სინამდვილე, ახლობლები, საყვარელი ადამიანები... ამ აქ ვიყავი, მე აქ აღარ ვარ...

... ქართული ლიტერატურის საგანძურში გრიგოლ აბაშიძემ ბევრი რამ დადო - დატოვა ლექსი, პოემა, რომანი, თარგმანი... მომავლის გამოცემული ლიტერატურის ვერცერთ ჟანრში ვერ შეადგენს ანთოლოგიას ამ დიდებული სახელის გარეშე. დღეს გრიგოლ აბაშიძე ცოცხალი შემოქმედია და მგონა უკვე შეუძლებელია ციტრების გარეშე, უფრო სწორად, ერთი უკვდავი ნათქვამის თავისუფალი პერიფრაზების გარეშე - რაც ნაყოფს მოისახამს, ის არ მოკვდება.

„ლიტერატურული საქართველო“, 5. VI. 1998.

ქართულ-უცხოური აქცენტებით

პოეზია - მირანდა ერისთავი, „შენ“, „სასვენი ნიშნები“, „პირველი პილოტი - უფალი“, საიდუმლო სერობა“, „მიმშილი“ და სხვა ლექსები; რაულ ჩილაჩავას „ზუგდიდური ელეგიები“; გოჩა სხილაძის ლირიკულ-ეგზისტენციური განაზრებები. პროზა - დავით ხარატიშვილის მოთხრობა „ჰემატოგენი ჩემი არსობისა“.



კრიტიკა-ესეისტიკა - ადა ნემსაძე, „ომი, სიყვარული და სიძულვილი აბუქა-ანიდან პარიზამდე“. ნოდარ მაჭარაშვილის რომანზე „კვაზიმოდოს ქალაქი“; თემო ჭანაკია, „მასალები ქართული პოეზიის ლექსიკონისთვის“. ნისქვილის თემა ქართულ პოეზიაში.


საყვარული ლიტერატურა - მურად მთავრელიძის ზღაპარ-მოთხრობები: „მოხუცი მევიოლინე“, „პრინცი და პრინცესა“, „უცხოკუნა“.

ახალი თარგმანები - უილიამ ფოლკნერის მოთხრობა „მიღმა“ (ინგლისურიდან თარგმნა მედეა ზაალიშვილმა);

ლეონარდო შაშას „ღვინისფერი ზღვა“ (იტალიურიდან თარგმნა მაია ჯავახიშვილმა). ყურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით.


პრაკალფეროვანი

პოეზია - გორვანელი, „წმინდა სამოს კრიტიკა“ (პოემის გაგრძელება); გულთენ აქინი, ლექსები, თურქულიდან თარგმნა ეთერ სადალაშვილმა; ტამირო მაცუკი, ტიბეტელი ბერის მინიმები, თარგმანი რაულ ჩილაჩავას; რუსული პოეზიიდან: კონსტანტინ ბალმონტი, ფეოდორ ტიუტჩევი, ალექსანდრ ბლოკი, მარინა ცვეტაევა, მიხაილ ლერმონტოვი, ინნა ლაერენტევა, ნელი კოტოვსკაია, სერგეი სოროკინი, ოლგა (ოლესია) ნიკოლაევა. თარგმნა დარეჯან დანელიამ; თემო ჭანაკიას პოლიფონიური კომპოზიციები; რუსუდან კაციტაძის ლირიკული ალსარებები; მარიამ ცომაიას ექსპრესიული ლირიკა; თამარ გაბოძის პატრიოტული მიძღვნები; ნინო უძილაურის წელიწადის დროები და სხვა; ლალი ლაჭავას სუბიექტივისტური ძიებები. კრიტიკა-ესეისტიკა - ოქტავიო პასის „მაგიდა და ლოგინი, ცივილიზაცია და პარმონია“ (მთარგმნელი ნუგზარ კუჭუხიძე); ოსებ ჭუმბურიძე, „ქართული კულტურის მავსიცემა“; მერაბ გვახავა, „თომას მანის „სიკვდილი ვენეციაში“; ელგუჯა ბუაძე, „ფიქრი ხეტიალს ისევე არ იმლის“. პროზა - ნუკრი მიხანაშვილი, მოთხრობა „გაღმა გასვლა“; იური მამლევი, „საქმრო“. რუსულიდან თარგმნა ბესო ხვედელიძემ. გარეკანის მხატვარი: ელგუჯა ბერიშვილი.



დღიურების ფილოსოფია

პერსონა - ზურაბ კიკნაძის ჩანაწერებიდან: „ბოლო ზაფხულის დღიურები“, 2022 წლის ზაფხული და სექტემბრის პირველი დღეები; გიორგი მასისურაძის „უკანასკნელი დღეა ზაფხულის...“ (ზურაბ კიკნაძეზე); მანანა ლარიბაშვილის „ბუბამაცი“ - ზურაბ კიკნაძის მოსაგონრად. უცხო - ანა კორძაია-სამადაშვილი, „სახლი ძალიან შორს“; სალმან რუშდი, „წარმოსახვითი სამშობლოები“ (ინგლისურიდან თარგმნა გიორგი მაჭარაშვილმა); ვალერი ოთხოზორია, „უცხო - შიში და სიყვარული. უცხოური და ქართული ლიტერატურის კვლავიკვალ“. თარგმანი - ჯონის ქეროლ ოუტსი, „გვიანი სიყვარული“ (ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ). პოეზია - ლია სტურუა, „ორი ან სამი მარტობა“, „აღდგომის მოტივებზე“, „ლოგოსი“, „ჯერ აქ ვარ“ და სხვა ლექსები. პროზა - სანდრო ნავერიანი, „გივიკო და ლირიოდენდრონი“.



ერთხელ, სიზმრიდან ასეთი უცნაური ფრაზა ამყვანს: „თავი კაქტუსი მგონია, რომელიც დამტვერილ რაფაზე მიატოვეს, უწყლოდ და დღენიდაგ მტვერს ახველებს. გაჩენის დღიდან სავსე ვარ გაქვავებული ცრემლის კრისტალებით“. ცხადია, მაშინვე ჩავინერე, რადგან ვგრნობდი, რომ ადრე თუ გვიან ჩემს პიესაში აუცილებლად

ამოყოფდა თავს. ეს თვეების წინ იყო და იქამდე თვლემდა მესხიერების რომელიც გრილ სარკოფაგში, ვიდრე მაკა ჯოხაძის ახალი რომანის კითხვა არ დავინწყე.

დაჰყურებ სათაურს და უკვე წინასწარ, ფურცლის გადაშლამდე გრძობ სულზე ეკლის ჩხვლეტის ყრუ ტკივილს, სულ მალე რომ შეიძინს საგნობრივი სიმკვრივის უნარს. წიგნის ჟრუანტელისმომგვრელად



ლივლივა, ტალღოვანი ყდა ხსოვნის კარიბჭისკენ მიმავალი ბილიკია ან, თუ გენებავთ, მეტაფიზიკური კომპასი - ბიბლიურ სამყაროში სახეტიალოდ. მართლაც, ყოველი ახალი წიგნი ხომ ახალ, ჯერ კიდევ ფეხდაუდგმელ, აუთვისებელ სამყაროსთან ზიარების პორტალია. მართალია, გზა ყოველთვის ხიფათებითაა სავსე, თუმცა ნამდვილი ლიტერატურის ელექსირით მაცოცხლებელი ენერგეტიკით დამუხტული და, ერთგვარი მარადიული შუქით გაჩახჩახებული შინაგანი სამყაროს მქონე მკითხველი ყოველ სიტყვას თავლიანი ფიჭასავით წუნის ხოლმე. ეს ხომ თხრობის წყალობით მოგვრილი ნეტარებაა, ექსტაზია, ნარმოსახვის ზეიმი. ჰოდა, სიზმრიდან გამოყოფილი ფრაზა სწორედ კითხვის პროცესში ამოიზარდა ისევ მთელი თავისი ტრაგიზმისა და სევდის ექვილით. მაკა ჯოხაძისული იუდა ისკარიოტელის სულის ხრიოკი უდაბნო, როგორც დამშრალი ოკეანე, სავსეა სიცარიელის ბასრი ნამსხვრევებით. მეტიც, მასში სწორედ გაქვავებული ცრემლის კრისტალების თუ კრისტალთა ნამტვრევების სასაფლაოა.

„ისკარიოტის ეკლები“ - კითხულობ სათაურს და თითქოს სასა გეფხაჩნება. გრძობ, რომ ეს ფრაზა სამყაროსხელა ტანჯვისა და ტკივილის ხსნარშია ამოვლებული. ხსნარი ჯავშანია და ვინცების წყვდიადისგან თავის დასახსნელად, დროისგან დასახსნელად მარადიული ბაკანია, ბედისწერის ბეჭედი, ტვიფრი, დამლა. ინყებ კითხვას და რიჟარაჟის ნისლში გახვეულ კვიპაროსებს ანტიკური ტრაგედიის სისხლიან სცენად ქცეული ისკარიოტის სამყაროში გადაჰყავხარ.

წყვდიადში აღმასებრით აბრწყვილებული მეტაფორების, თხრობის რიტმული ვარიაციულობის, ფიქრის მუსიკის და თავზარდამცემი პოეტურობის მეშვეობით, მაკა ჯოხაძე ქმნის ბავშვობის, ბავშვად ყოფნის ხსოვნის სულისშემძვრელ რეკვიემს. მეტიც, იუდას გზა ხომ კაცობრიობის

გზაა, საკუთარი თავის შემონების, დადგენის ეკლიანი ლაბირინთი. იგი აგრეთვე ცნობიერების გოლგოთაა - დაცემიდან კათარტულ აქტამდე. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ იუდას სახის, ფსიქოტიკის კომპლექსურობა გულისხმობს კანისა და ოიდიპოსის ბედისწერათა დაჩირქებული საცეცების მხუთავ ენერგეტიკას, მუხტს, კითხვის პროცესში ლავასავით რომ ამოხეთქავს.

ლავა შემთხვევით არ მიხსენებია: „ისკარიოტის ეკლები“ ვნების ლავით ხურს. ხურს და თუხთუხებს ამ რომანის პერსონაჟთა სულელების შეხეთქების შედეგად გაჩენილი მეტაფიზიკური კრატერები.

წიგნის დასაწყისში „აღებული“ ნოტი განგამის დამაყრუებელი ხმის მოლოდინითაა გაჟღერებული: „აბიგაილი თაღოვანი სარკმლიდან გაჰყურებდა რიჟარაჟის

გენესარეთის ტბაში, „როგორც ლალატის მხილება, როგორც გამეტების ღია ჭრილობა... უსისხლო, გამომშრალი...“ ჩვილის არსებობა (მანამდე კი დაბადებამდელი განწყობა!) საზარელი ჩვენებებით, კომპარებით აფრთხობს მშობლებს. თანაც იმდენად, რომ აბიგაილი მშობიარობის ტკივილებსაც ვერ იგრძნობს, ვერც დელობრივ განცდას. შეჩვევის ფაზა ოდნავ გვიან მოვა, ძუძუს წოვისას ანუ იმ მომენტამდე, როდესაც პატარა იუდა დედას კერტს მოაჭამს. პირადად ჩემთვის ეს დედაშვილური ურთიერთობის მეტად უცნაური, ვიტყვოდი, არქაული განცდაა. ვინ იცის, იქნებ საზარელმა ხილვებმა ევაც კი დაამუნჯა კანის მუცლით ტარებისა, გაჩენის მერე კი ქვეცნობიერად უფრო მძაფრად იგრძო ჯერ კიდევ ჩაუდენელი მკვლელობის და

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ეპიზოდები ერთმანეთისგან სამი ვარსკვლავითაა გამოყოფილი: ეს წამიერი შეჩერების და ამოსუნთქვის ნიშანია, რადგან თანდათან ტრაგედია სულ უფრო მეტად სისხლიანი ხდება. გრჩება განცდა, რომ სადაცაა ყვირილი ზეცას დაბზარავს და მინა ზეცის ნამსხვრევებით აივსება. ყვირილი კი სულ უფრო მეტად ემსგავსება ყმუილს, მერე კი ხავილს... სისაზარლის

ეს გრადაცია, ეს ტრანსფორმაცია წარმოსახვის გამაოგნებელ, უშრეტ უნართან ერთად ადამიანის შინაგანი სამყაროს წვდომით, მისი სულის მღვიმეში შესვლით და პერსონაჟად გარდასახვით მიიღწევა.

ამ რომანში ყოველ სამწერტილს შორის ვერთქმული, თუმცა ნაგულისხმევი სევდის არქიპელაგები თვლემენ...

მაკა ჯოხაძე

იუდას გოლგოთა

„ისევ იკანრება წარსული ეკლებით“
გივი ალხაზიშვილი

„ცა მინასავით შენაორთქლები, აჭრელბულა სიმარტოვის იეროგლიფით“
თამაზ ჭილაძე

ნისლში გახვეულ კვიპაროსებს. მეციხოვნეთა შუბებით რომ აღმართულიყვენ სასახლის გალავანსა და ისკარიოტს შორის. უდრტვიენლად ეძინა სოფელს. ჩიტების ფიფივი შეციებული სიტბოს ნაზავად ფრთხილდება ჰაერში. თანდათან იმლებოდა, ნაკადებად მიერმართებოდა მღვიმეებისაკენ. ყურის ნიჟარებში კაპილარებს ადევნებული, ფრთხილად ელამუნებოდა ძილბურანის ზღვარს. დღელამის გასაყართან ფშვინავდა სოფელი. აბიგაილს კი რახანია, არ ეძინა.“

და მერე: „არც სიმონ-როველს ეძინა“. ესენი ჯერ კიდევ დაუბადებელი იუდას მშობლები არიან. გრძნობთ, არა, დიდი რყევების, შეჯანჯღარების, სისაზარლის მომტანი ტკივილის დანაღმულ ექოებს? როგორ გაშეშებულან, გასევდისძეგლებულან იუდას მშობლები! რა ამფოთებთ მათ? რა აწრიალებთ? რა არ ასვენებთ? ამ შეკითხვაზე პასუხს სულ მალე, იმავე გვერდებიდანვე ვიგებთ. ვიგებთ აი, ამ, მე ვიტყვოდი, უღრან ტყეში გასროლასავით, მჭახე, შიშით დატენილი ფრაზით: „ამის გაჩენას, მიჩრევენია, მოკვკვდე.“

მაკა ჯოხაძემ, ყველა სხვა ნამდვილი მწერლის მსგავსად, იცის, როგორ წარმოქმნას მკითხველში ჟრუანტელის ჭიანჭველები. ეს, ერთი მხრივ, თუ მისი სტილისტიკის რამდენიმე უარსებითეს კომპონენტს გავითვალისწინებთ, ლირიზმის ჩახჩახა შუქის და სამყაროს განცდის სიფაქიზის, ხოლო, მეორე მხრივ კი, ადამიანში არსებული ტრაგიკული იმპულსების სიმძაფრის მეშვეობით იზადება. ამდენად, მისი „ფიჭვები უდაბნოში“, „მკვდარ გუბეში ნასროლი კენჭები“, „ზღურბლზე“, „ჩოჩოროკას თოვლი“ თუ „ისკარიოტის ეკლები“ ესთეტიკურ ტკობასთან ერთად კიდევ ერთხელ გვაფიქრებს გაჩენის სევდის მარადიულობაზე. ეს სევდა ბავშვობიდანაა ამოზრდილი. ბავშვობაშია საძიებელი მისი ბოლქვი.

„ბავშვობა სამოთხის ხატია. ბავშვობის ხანა თან სდევს ადამიანს, როგორც სამოთხისეული სრულყოფილების, უზრუნველობის, სასწაულების ბუნებრივი ნოსტაღია. (...) ბავშვობაში არის საიდუმლო. ბავშვი ახლოს არის რაღაც საიდუმლოსთან და მას აქვს მისი განცდა, რასაც ადამიანი კარგავს ასაკში შესვლისას.“

- იუდას ბავშვობაზე ფიქრისას სწორედ ეს ფრაგმენტი გამახსენდა ასოციაციურად ზურაბ კიკნაძის ბრწყინვალე წიგნიდან „ამარგი/ალუდას ნახტომი“. მაკა ჯოხაძისეული იუდა ხომ (ჯერ კიდევ ჩვილობაში, თან სახელმეურქმეველი!) მალევე მოიშორეს და კალათით შეაცურეს

მკვლელის დედად ყოფნის სიმწარე... ჰოდა, სწორედ გენესარეთის ტბა გახდება იუდას მარადიული ხეტიალის პირველი ბიძგი, იმპულსი. ის მოხეტიალე სულია. მუდმივად გარბის, გარბის, რათა გადარჩეს, რათა ცხოვრებამ არ დაჯაბნოს. ყოველთვის იქაა სადაც ფული და ძალაუფლებაა. ეს ხიბლავს, ეს აბრუებს. ამ ყოველივეს კი თანდათან, ფეხდაფეხ ვეცნობთ.

მაკა ჯოხაძე დღნჯი, აუჩქარებელი მთხრობელია, თუმცა ეს სრულებითაც არ გამორიცხავს ამბის დრამატურგიის, მოვლენათა განვითარების გასაოცარ დინამიზმს. მოდით, ერთი წამით დავაკვირდეთ ატმოსფეროს როგორი შეგრძნება აქვს მწერალს:

„სიოს ყოველ წამოქროლებზე აყვავებული არომატების ისეთი სურნელი იფრქვეოდა, დაბანგული ფრინველები გალობას წყვეტდნენ, შაშვების ჭახჭახიც, დილიდანვე მჭახედ რომ გაისმოდა, თანდათან ჩამთბარ, ჩათქვირულ კვნესაში იკარგებოდა. ისეთი სიჩუმე იდგა, განაბული ნაკადულების ჩუმე ლიკლიკიც კი ისმოდა.“

ან „მნათობის ცივ შუქზე ყინულივით ბზინავდა უხერხული სიჩუმე“.

ამით იმის თქმა მინდა, რომ მაკა ჯოხაძისეული პეიზაჟის ფუნქცია მრავალპლასტიანია და გაცილებით მეტია, ვიდრე კონკრეტული სამოქმედო სივრცისთვის საჭირო რეკვიზიტი. პეიზაჟი ქმნის განწყობის ინტიმს, ემოციათა იმ

გრადაციას, რასაც რომანი გაჰყავს კონკრეტული დრო-სივრცული არეალიდან და აჩენს მარადისობასთან შეხების ფიზიკურ შეგრძნებას.

ფიქრის ეკლებით დაკანრული, დაჯიჯგნილი იუდას მოგზაურობა, როგორც უკვე ითქვა, პერსონალური გოლგოთისკენ მიმავალი გზაა. ქრისტე ჯვარზე გააკრეს, ხოლო იუდა ბორცვზე მდგარ ტოტებგაბარჯულ ხეზე გადანყვეტს თავის ჩამოხრჩობას. ეს ხე მისი ჯვარია, მისი ცოდვილი სულის გილიოტინა, ოღონდ მანამდე ხიფათიანი და სისხლიანი ლაბირინთია გასაველი. ისკარიოტიდან

კუნძულზე, კუნძულიდან კვლავ ისკარიოტზე, მერე და მერე: იერუსალიმი, ჰეროდეს სასახლე, კაპერნაუმი, მკვლელობები, ინცესტი, ზიზღი, ლალატი, შური...



„ისკარიოტის ეკლები“ თამამად შეგვიძლია მოვიხსენიოთ, მაგალითად, ნიკოს კაზანდაკისის, ჟოზე სარამაგუს, პერ ლაგერკვისტის, ლეონიდ ანდრეევის ან მისხალი ბულგაკოვის ბიბლიური თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებების გვერდით. ამის თქმის უფლებას მაძლევს თავად თხრობის ტემპერამენტი, პერსონაჟთა ვნებების სტიქიური ბუნება, ძალა, ხიბლი, მაგია...

მახსოვს, ბოლო ფრაზის დასრულების შემდეგ დიდხანს ვერ გამოვდიოდი იმ დამამუნჯებელი გაოგნების, ალტაცების ფაზიდან, რასაც დიდ პროზასთან შეხების ჟრუანტელი იწვევს. ვისხენებ კითხვის პროცესს და ნელ-ნელა ხსოვნის ჭიდან

ამოჭრიალდება ნაწყვეტი ღია სტურუს შესანიშნავი ლექსიდან „იუდას ხე“:

ბიბლიაში სანიშნი დევს ზუსტად იმ ადგილას, სადაც პილატე სისხლიან ხელებს იხანს,

მაგრამ თავი ისე ტკივა, თითქოს იერუსალიმის საძულველ მზეზე უნდა იმშობიაროს...

და სწორედ მისი ტვინიდან გამოდის კაცი, რომელსაც ათი იუდა უზის გვაშმი, მაგრამ ისეა მიტყუებული მთელ ქალაქთან, რომ თავსაც ვერ მოიკლავს,

ყველას თუ არ შეეკითხა, ეა ივლის ასე, ცას გამოკერებული მტიკვანი სინდისით,

ერთ მშვენიერ დღეს ქუჩამ რომ არ შემოაგებოს ხე, საგანგებოდ აყვავებული და იმედის მომცემი, რომ მისთვისაც არსებობს ბუნების ბოლო სიჩვილე - მონანიება...

მართლაც, იუდას ამბავი ხომ დროის მიღმაა გატანილი. მისი გატანჯული სულის ხეტიალი ისეთივე მარადიულია, როგორც ტკივილიანი ხსოვნის კაქტუსები...

ვის ვის და ოთარ მამფორიას სრული უფლება ჰქონდა, ხმამაღლა ეთქვა, ლექსი ვარო. დიხაც რომ ლექსი იყო, ლალი, ენ-გურივით თუ არაგვივით მოვარდნილი ლექსი, სულს რომ გვიფორიაქებდა და სამშობლოს სიყვარულით ალგავსებდა. დიდ თანამოკალმეთა დარად თავის თავს ხართან აიგივებდა, ქვეყნის მარჩენალ ხართან. აკი წერდა კიდევ:

იმ ხარს ვგავარ, ტანჯვის უღელს რომ თვლის ზეცის მოწყალეზად, რქებით ჭიშკარს როცა უღებს გაზაფხულის მობრძანებას. თუმცა ერთ-ერთ ლექსში, რომელშიც ხარსა და მარტორქას ადარებდა ერთმანეთს, ასე მიმართავდა ხარს:

ხარო, ორი რქა რად გინდა, მაინც უღელი გიდგია.

იმ ხარში რომ სამშობლოს გულისხმობდა, ამას რა მიხვედრა უნდა, არც იმის გასიგრძეგანება გაგვიჭირდება, თუ რა ნაცნობი ტკივილითაა გაჯერებული ეს სტრიქონები, რამდენი სევდა და ნაღველი მონვეთავს. ოლონდ, საოცარი ისაა, რომ ეს ლექსი 1955 წელს დაინერა, საბჭოთა ტირანის აპოგეის უამს, იმ დროს, როცა მსგავსი სტრიქონებისთვის ციმბირს უკან ატოვებინებდნენ ყველას, ვისაც „დიად საბჭოეთზე“ ოდნავ გადაკრული სიტყვა ნამოცდებოდა. ეს, რა თქმა უნდა, ოთარ მამფორიამაც იცოდა, მაგრამ სხვანაირად ცხოვრება და ღვწა არ შეეძლო. საქართველო ხომ მისი არსებობის ანისა და ჰოეს ნარმოადგენდა.

როცა ლექსს ვწერ, დილაა თუ ბინდია, საქართველო ჩირალდანად მინთია.

ქართულ მინას შესტრფოდა მინდიასავით. ამ მინამ ხომ საკუთარი მხრებით ზიდა ჩვენი ამაყი და ქედუხრელი გმირობის მწვერვალები, ჩვენი ხმალი და ვაზი, ზიდა მამულის გმინვა და ცრემლი, უთვალავი ტაძარი და ციხე-კოშკი.

პოეტი იმ ზარების ჭირსუფალი იყო, ადრე ქუდზე კაცს რომ უხმობდნენ საქართველოს გადასარჩენად გამართულ ომებში, მარაბდასა თუ კრანისში, იმ ზარებისა, რომლებსაც მირიადი ნატყვიარი თუ ნახმლევი ატყვიათ და მაინც მზად არიან ძველებურად გაუზზარავი ხმით იგრგვინონ სამშობლო ქვეყნის სადიდებლად. პოეტს იმ ქართველების დარობაც გაეთავისებინა, რომლებსაც ორგულობა და გაუტანლობამ საშუალება არ მისცა ივერთა მინისათვის ბოლომდე დახარჯულიყვნენ და დღემდე დაუმსახურებელი ცილისწამებების ობიექტად ქცეულან. ერთი მათგანი ხომ გიორგი სააკაძეა, ნოსტეს ციხეს რომ ევედრება, ნისლი რომ შემოგხვევია, იმ ნისლით შემინხვიე იარაო, ჩემს გულში მუდამ საქართველო ფეთქავდა და ამიტომაც ჩოხის კალთით მუდამ დამქონდა ქართლის მინა, პაატას თავს რომ მაგონებდა და მალმასებდაო. არც ნებსითი თუ უნებლიე მოლაღატეები დავიწყებია იაზონზე, ბერძენთა უფლისწულზე. თავდავიწყებით შეყვარებულ ქალს სამშობლოს ღალატს არ პატიობს და თუმცა შემზარავ, მაგრამ მაინც სამართლიან და ადეკვატურ შეფასებას აძლევს:

უსამშობლო შვილთა სხეულს და მოკვეთილ თავებს ნააფარებ შავ მოსასხამს, ვით კოლხეთის ღამეს.

თავად კი მართლაც ვერ გაერკვია, ვინ ან რა იყო, წმინდა ნინოს თმებით დაწნული ვაზის ჯვართან დამხობილი პილიგრიმი თუ ვარძიის დაცვარული ლოდი, დღემდე რომ სასოებით უფრთხილდება თამარის ნაფხურებს, გელათიდან აფრენილი არწივი თუ ზედაშეთი ავსებულები ბარძიმი, დარიალზე მოხვეული ნისლი თუ ცრემლებით გაზზარული ჩანგური. იქნებ მხოლოდ ლექსი, ან სიყვარული, რაც, ფაქტობრივად, ერთი და იგივეა.

რა თქმა უნდა, ლექსი იყო, პოეზიის, ლექსის რაინდი და მასზე უკეთ აბა ვის მოეხსენებოდა, რომ ნაგრიგალარ მუხას ფესვებს პოეზია უმაგრებდა, ისიც იცოდა, რომ თუ საქართველოს მთა-ველებს უკვდავება უწერიათ, ეს იმიტომ, რომ ცაფირუხის კაბადონზე მარადიულად ანთია

„ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც ქარაშოტეზი გაშმაგებით, რაღაც საოცარი დაგემოვნებით უფურცლავენ ავთანდილის ანდერძს.

ოთარ მამფორიას კარგად მოეხსენებოდა, რომ თუ ჭეშმარიტი შემოქმედი ხარ, შენი ოცნება მუდამ შემოდგომის მენამული ცისკენ უნდა მიისწრაფოდეს.

სულ მამფოთე, გამაფთრე გაბმულ სიტყვის მსგავსად, მაგ ჩქერებით, მაგ ტორებით კვლავ მზეს შემახალე.

ბენვის ხიდზე უნდა იაროთ, ზევის ძალა უნდა გქონდეთ, რათა სიყვარულის ცეცხლით მძლიოთ და ელვასავით შემამსხვრიოთ უქათათესი მთების ჯვანსო, მიმართავდა თავის სტრიქონებს, რომლებიც მათი პატრონის ხელში ქურანა ცხენებით

ზაალ გოგოველი

ლექსი ვიყავ და ლექსს ვწერდი

ჭიხინებდნენ და სიკეთის, მშვენიერების, სილამაზის, ერთგულების დესპანებად გვევლინებოდნენ.

ისევ გავყვები ოცნების ღელვას, დავიფერვლები სიმღერის ალით, რომ დილით ლექსმა ჩემს მაგიერად შეაღოს ყველა ოჯახის კარი.

დავიფერვლები სიმღერის ალით, კი ამბობდა, მაგრამ ისიც ხომ იცოდა, რომ საუკუნეთა გრიგალები ჭეშმარიტ პოეზიას ვერაფერს აკლებს, რომ ლექსს რჩება ჟამი და უკვდავება. ესეც იცოდა ამ ბრწყინვალე პოეტმა, რომელიც სიყვარულისთვის, დიდი ადამიანური ბედნიერებისთვის იყო განქვნილი. სიყვარულს ეძღვნება მისი საუკეთესო ლექსები, ისეთები, როგორიც თუნდაც „ყაყაო“ - ერთ-ერთი შედეგური ქართული ლირიკული პოეზიისა. ეს ლექსი მაშინ იწერებოდა, როცა კაცს კაცი ერქვა და ქალს- ქალი. ყაყაო მისთვის საქართველოს მინდვრების თვალგმურა ასული იყო და, ალბათ, ამიტომაც რჩება დღემდე ამ ლექსზე შექმნილი სიმღერა დიდი სიყვარულისა და ერთგულების ეტალონად, სიზარულს და შვებას რომ ჰკვირის მსმენელს.

ოთარ მამფორია რაინდად იყო დაბადებული და კარგად მოეხსენებოდა, რომ ნამდვილ, ჭეშმარიტ სიყვარულს სათუთი მოფრთხილება სჭირდება და რაც არ უნდა მოხდეს, თუნდაც მთელი სამყარო დაგიპირისპირდეს, თუნდაც მკვლელთა მთელი არმადა დაგადგეს თავზე, თუ კაცი ხარ, თუ მართლაც გიყვარს შენი საესავი არსება, ბოლომდე სირანოდ უნდა დარჩე და აღესრულო ლექსად და კაცად

ო, ის ერთი სახლია, შორი, შორი ნაპირი, ეზოში კი ძალირი, ჩემზე ყვეფით დაღლილი.

კითხულობ ამ სტრიქონებს, რომლებიც თითქოს მხოლოდ ინფორმაციას გვანვდიან რაღაც მოვლენაზე, მაგრამ ჩვენ ხომ ვგრძნობთ, რამდენი განცდა, ვნება თუ ზმანება ახლავს ამ ერთი შეხედვით ნეიტრალურ სტრიქონებს.

გულო, ჩადექ საგულესა - კალმახივით ნუ ფართქალე. თვალო, მისწვდი ცაში მერცხალს და სიყვარულს უთვალთვალე.

ეს გაუმარჯოს პირველ სიყვარულს, ძველ ჭრილობაში ჩარჩენილ ისარასო, წერდა პოეტი და კიდევ ერთხელ შგავსხენებდა, რომ სიყვარული არცთუ იშვიათად ჯვარცმად გვექცევა ხოლმე, როდესაც ჩვენი ნანდაურები მასზე, როგორც მგზავრობისას ყურმოკრულ ამბავზე, ისე საუბრობენ.

ნახვალ, მოიხსენ მხრებიდან ტალაა, გადაიქროლე უჩინარ ქალად

და ნატრფალი ქვიშაზე ახლა ბრწყინავს დაკარგულ ბეჭედის დარად.

რამდენი მოთმინება და ძალისხმევა სჭირდებათ ჭეშმარიტ შეყვარებულებს, რომ სხვადასხვა მიმართულებით მავალ გვერდმექცეულ მატარებლებს არ დაემსგავსონ, რომ ნიბლიასავით თოვამი არ გაეყინოთ ის წრფელი გრძნობა, რომელიც ერთადერთ „პერპეტუუმ-მობილეს“ წარმოადგენს სამყაროში.

სიყვარულის ტრუბადური იყო და ამ მრავალნახნაგოვან გრძნობაში მნიშვნელოვანი ადგილი მის მშობლიურ ქუთაისს ეკავა, საქართველოს ქალაქების თმაჭალარა თამადას, როგორც თავად უწოდებდა სავარდო და სამაისო ქალაქს.

მინა ხარ თუ ვეფხის ტყაყი, ბრწყინავ ათასფერადად, ზეცა - ორბის ფრთანაკრავი

მალიდან გეფერება.

ჩაგხვევია სათაფლია დაცვარული გედივით, მკერდზე მტრედად დაფერენია სვამლის თეთრი მერდინი.

ქუთაისს უძღვნა მისი შემოქმედების ერთ-ერთი გვირგვინი - ბალადა „კარანაძის ცხენები“, რომელშიც კიდევ ერთხელ გაცხადდა მისი პოეტური ძალმოსილება, სილაღე და თავყანისცემა ქუთაისისადმი:

ქუთაისი იღვიძებდა, - იმერეთის ედემი, ცისფერ ნისლში გიზგიზებდა დათქორილი ქედები და რიონის ჩქერის ჩხრიალს ისხურებდნენ ნანინადა: ბალახვანი, საფინხია, ჭომა, მწვანეყვავილი.

ამ დროს ქუთაისური ალიონი თითქოს ღმერთის საყურეზე ეკიდა, კარანაძის ეტლში თითქოს სრულიად ქუთაისი და მისი დარდიმანდობა იჯდა, სტუმართმოყვარე, ხელგაშლილი და გულგაშლილი მასპინძელი. დიხაც რომ, მხოლოდ ქუთაისელ პოეტს შეეძლო იმის თქმა, რასაც ოთარ მამფორია ამბობდა:

ყველა აქ არი და მაინც კარი, შვი, მასპინძელო, დატოვე ღია. ცარიელია ეს ერთი სკამი და იქნებ ვინმე მოვიდეს გვიან... სიყვარულითაა გამსჭვალული ოთარ მამფორიას ის ლექსებიც, რომლებიც მან ქართული მწერლობისა და ხელოვნების კორიფეებს მიუძღვნა. თუმცა ჯერ ის ციკლი უნდა ვახსენოთ, რომელსაც „დაფნის რტოები დედას“ ჰქვია და მისი გულის მდულარებას იტყვს. დედი, შენი სული ჩავისუნთქე, არასდროს რომ არ გამეყარო და ჩვენც ექვიც არ გვეპარება პოეტის გულწრფელობაში.

რა მოინებთი, რა სასოებით ეყრობოდა ქართული პოეზიის, ქართული ლექსის ტიტანებს, იმ შეიდეულს, დღესაც ამაყად რომ ბრწყინავენ ქართული ზეცის კაბადონზე და ქართული სულისა და სულიერების მარადიული უკვდავების გარანტებად გვევლინებიან. ისინი პოეტს ტაძრებს აგონებდა და საქვეყნოდ აცხადებდა, არც ისე კადნიერი ვართ, ჩვენი ადგილი არ ვიცოდეთო, თუმცა

და საქართველოს მესიტყვედ მისთვის დაგვლოცა ზეცამ, დიდ ტაძრებს რომ არ შესცივდეს, ბზარებს ლექსებით ვლესავთ.

ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომელთანაც განსაკუთრებულ სულიერ სიახლოვეს გრძნობდა, მისი ერთადერთი პოემა უძღვნა და ასე მოეფერა უღვთოდ აღსრულებული ყველა დიდი ქართველი რომანტიკოსის სულს.

ოთარ მამფორიას სიყვარულის თითქმის ყველა ასპექტზე გესაუბრეთ და ლამის ერთ-ერთი უმთავრესი გამომრჩა, ის, თუ როგორ ეტრფოდა ქართულ ვაზსა და ღვინოს, რომელიც მისთვის ქრისტეს სისხლთან ასოცირდებოდა, რაც ღვთისმშობლის ნილხვდომილი ქვეყნის შვილისთვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო და, რა გასაკვირია, თუ უბრწყინვალესი სტრიქონები უძღვნა ქართულ ვაზს - ჩვენს მარჩენალსა და ჭირისუფალს:

ვაზის შუქი სულის მზეა, ქართველს ძარღვში უჩქეფს, მისი ფესვი გაუდგია მთებზე ციხე-ბურჯებს.

ოთარ მამფორია ის პოეტი იყო, რმელსაც მთაში აკანკალებული ნაცხარის, ფოთოლგაცენილი ვერხვის, ჩამომჭკნარ ჭალაში ატირებული ქარის, ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავის დარდი ადარდებდა და



მოსვენებას უკარგავდა. ისიც აწუხებდა, როცა ყელგამოჭრილ ხობებს მიმსგავსებულ უმშვენიერეს ყვავილებს შეავლევთ თვალს.

პოეტი იყო და იმის დანახვა შეეძლო, თუ როგორ წვეთავდა თეთრ ლეჩაქზე დარდი შავზე შავად, როგორ გალობდნენ ქაშუეთის ჩუქურთმები, თუ როგორ ტიროდა ლობესთან თავჩარგული გაზაფხული, თუ როგორ მინვა ბალახზე მთვრალი მყარი-ვით მუხის ლანდი, როგორ ეგლო ლურჯი მტკვარი მოსევადებული ხმალივით, როგორ გიზგიზებდა ლექსის სტრიქონი ნაკვერჩხლის დარად, მათათა მწვერვალებს ფრინველივით როგორ ეცემოდა დილა, როგორ ინვოდა პატრუქივით ღამე, როგორ ირხეოდა ბედისწერასავით ნისლში სამარეში გაზრდილი ბარდი, თუ როგორ ეგლო მთვარე გიჟმაჟ ენგურში...

როგორ შეიძლება ხაზგასმით არ ითქვას „მამფორიზმებზე“ - ოთარ მამფორიას ანდაზა-ქარაგმებზე, შეგონებებზე, ნაკვესებზე, რომლებიც მათი ავტორის ცინცხალი ნიჭიერების, უზღვავე იუმორის კიდევ ერთ უმშვენიერეს დასტურს წარმოადგენს.

გაჭალარავებული პოეტი გრძნობდა, რომ თნდათან ინურებოდა მისი ამქვეყნიური არსებობის ვადა და ამას ამაყად თავანუელი ხვდებოდა:

დაღვრის მიქელ-გაბრიელი ზიარების ზედაშეს და დაუცდის თეატრონის ისევ ახალ დადგმას.

ჩვენც გულწრფელად ვითამაშოთ დღეს სანუთორის სცენაზე, ხვალ სპექტაკლში საჭირონი არ ვიქნებით რადგან.

გარდაცვალებამ ვერაფერი დააკლო ოთარ მამფორიას, დიდებული პოეტისა და მოქალაქის კოლორიტულ სახეს. იგი თავისი პოეტური სიტყვით განაგრძობს მამულზე მოცვას.

წელს 100 წელი შესრულდა ოთარ მამფორიას დაბადებიდან და ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, რომ სამშობლოს ასსოვს მის დიდებაზე მოფიქრალი მწერალი, მართლაც კელაპტარივით რომ ინვოდა და მშვენიერი ლექსებით ცხოვრებას ულამაზებდა თანამომძმეთ.

ჰოდა, კარგოფილის ანოლი

ჰოდა, იყო დრო, როცა კარტოფილის ანოლი მხოლოდ ლექსი და იმისი სათაური მეგონა.

ჰოდა ამ შემოდგომაზე თავად მომიხდა კარტოფილის ანოლი. რაჭაში ვიყავი, მრავალქალაქი, სადაც გაზაფხულზე რამდენიმე რიგი კარტოფილი დაგვიტესეს. მოდი და თქვენ თავად ამოიღეთო, — შემოგვითვალეს.

ჰოდა, მოვედი და ვიღებო. რთველში ვიყავით დაპატიჟებული, მაგრამ საკუთარი კარტოფილი სხვის ყურძენში არ გაიცვლება. კი, რა თქმა უნდა, რთველი მაინც სხვაა — უფრო პოეტური და უფრო ინტელიგენტური. თანაც გზად გზა ყურძენსაც გაუსინჯავ გემოს და ყელსაც ჩაიკოკლოზინებ.

ჰოდა, ყელს ვერ გაისველებ, მაგრამ კარტოფილის ანოლებსაც აქვს თავისი პოეზია. თუ კარგი ძირი შეგვხდა და ზორბა კარტოფილებს ამოთხრი, თავი შლიმანი გგონია, მაგრამ თუ ჟიჟმატი კარტოფილები მოგყვება, მაშინ კატა ბაზილიოს მჭმუნვარებას ვერ გასცდები ბურატინოს თავგადასავლიდან. მე ფიგურულმა კარტოფილებმა მიმიზიდეს, განსხვავებულებმა, ჰენრი მურის ქანდაკებებს რომ ჰგავდნენ.

ჰოდა, ამინდი მართლა მშვენიერი იდგა, კარტოფილის ანოლებს რომ ეკადრება, ისეთი. ღრუბლის ნაფლეთიც კი არსად ჩანდა. ხოლო შორიდან კავკასიონის მთავარი ქედი დაგვეყურებდა თავისი შხარათი.

ჰოდა, მალე მივხვდი, რომ არ არის კარტოფილის ანოლი ჩემი საქმე. არც ჰობი, სხვათა შორის. და ვეუბნები კარტოფილის სტაჟიან ამოღებებს — მე სურათებს გადავიღებო, პოსტს დავწერ, ლექსსაც დავწერ ბოლოსდაბოლოს, ღვინის სმაშიც შემოგერთდები თქვენებისას, ოღონდ კარტოფილის ანოლებისგან გამათავისუფლეთ-მეთქი.

ჰოდა, სხვა რა გზა ჰქონდათ. გამათავისუფლეს, თუმცა ტომრები მაინც მე მადიდებენ. ამასობაში შესვენების დროც დადგა და ყურძენით არა, მაგრამ ყურძენის ნაჟურით კი გავისველე ყელი. სურათებიც ვიღე. ზოგიერთი იმდენად ბუნდოვანი თუ მხატვრული გამოვიდა, რომ უღვივონდა ასეთი ვერ გამოვიდოდა. ჩემი აზრდილიც კი აღვებქდე კარტოფილის ანოლებისას. აზრდილი დადის მრავალქალაქში... ლექსზე — ბოდიში! არ დამინერია. უკვე დაწერილია და იმიტომ. ან იმაზე უკეთესი რა უნდა დამეწერა, ან იმაზე უარესი — გააჩნია ვინ როგორ აფასებს ბესიკ ხარანაულის უკვდავ „კარტოფილის ანოლებს“.

p.s. ის იყო, ჩემი ეს შთანაწერი რედაქციაში უნდა გამეგზავნა, როცა ფეისბუქიდან გავიგე, რომ 11 ნოემბერს ბესიკ ხარანაულს დაბადების დღე ჰქონია 85 წელი შეუსრულდა. სწორედ იმ დღეს გამოქვეყნდა პოეზიარში ლევან ხარანაულის ეს ბრწყინვალე პორტრეტი. ვუერთდები მრავალრიცხოვან მოლოცვებს, მომავალშიც კვლავაც მრავალ შედეგს ვუსურვებ ხალხის საყვარელ პოეტს და ჩემს მკითხველებსაც ვთხოვ, რომ შემომიერთდნენ ამ კეთილ საიუბილეო სურვილებში.


ახალი ქართული გაზეთის ახალი ხელი

ერთ მშვენიერ დღეს გიორგი მამაცაშვილი მეუბნება, ჩვენი ფედერაციის გაზეთის გამოცემა მინდა და რჩევა უნდა გკითხო, რა და როგორ შეიძლება გავაკეთოთო. გიორგი დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოს ჟურნალისტიკა ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩიეს, ენერგიულად შეუდგა საქმეს და ახალი ახალი ნაბიჯების გადადგმას ესწრაფვის.

ბევრი არ მიფიქრია, მაშინვე „ახალი

ქართული გაზეთი“ გამახსენდა. ბევრს შეიძლება ახსოვს კიდევ ეს გაზეთი, გიორგის ახსოვდა: ფერად-ფერად ქალაქებზე გამოდიოდა, თემატურ რეჟიმებად — მთავარი, სპორტი, მწერლობა, დაიჯესტი, მეცნიერება, სკოლა, ნიგნები, მხედრობა და მრავალი სხვა. გაზეთი მრავალგვერდიანი იყო — 32-იდან 80 გვერდამდე და, მოცულობის მიუხედავად, სულ რაღაც 30 თეთრი ღირდა.

მანამდე წლების წინ მქონდა დეტალებამდე დამუშავებული ამ გაზეთის კონცეფცია, მაგრამ მხოლოდ 1996 წლისთვის გაიხსენეს და აქტუალურობაც მათქმაუნდა.



ლიბროკუბიკულარისტის შთანაწერები

პაატა ნაცვლიშვილი

შინ შეიძინა. შევარდნაძე გაცნობია პროექტს და თავისი ფონდიდან საამგაზეთოდ ორ მილიონს გამოვყოფო, თუ იკმარებო! მე არაფერში ჩაგერევი, დღეს გაზეთებს უჭირთ და მხარდაჭერა სჭირდებათო. ქალაქის მერის მოადგილეს, გიგი წერეთელს დაავალა, გაზეთ „თბილისის“ ბაზაზე განვხორციელოთ ეს პროექტი. მაშინ უკვე ის დრო იყო, როცა შევარდნაძის დავალებებს ასრულებდნენ კი არა, სულაც ბლოკავდნენ. მაგრამ მომეჩვენა, რომ გიგი წერეთელს იდეა მოაწონა და თითქოს მოძრაობაც დაიწყო მის განსახორციელებლად. მე კი სანამ ამ სასიამოვნო ამბავს ათასგვარ კუდგამობმულს მიუტანდნენ, გაზეთ „თბილისის“ რედაქტორს თავად ვენეივარჩილ ციციშვილს ავუხსენი, რომ მე, როგორც იდეისა და კონცეფციის ავტორს, არც მთავარ რედაქტორობაზე მქონდა პრეტენზია, არც დირექტორობაზე და არც რომელიმე ამთავანის მოადგილეობაზე. ჩემს კონცეფციაში ერთი ახალი თანამდებობაც იყო — გაზეთის მთავარი რეჟისორი და იმედი მქონდა, რომ ამ საქმეს სხვაზე კარგად გავუძლებოდი და იმ 2 მილიონიდან, რომელსაც შევარდნაძე გაზეთის გამოსაცოცხლებლად სთავაზობდა „თბილისის“ რედაქციას, ჩემთვისაც მოიძებნებოდა ხელფასი. რედაქტორი ძალზე კმაყოფილი დარჩა — შენ აგაშენა ღმერთმაო! მეც კმაყოფილი დავრჩი, რომ ის კმაყოფილი დარჩა. რედაქციას ეს სასიხარულო ამბავი თავად გაავებინე-მეთქი, — ყველას ძალიან კარგად ვიცნობდი, მაგრამ სათითაოდ ხომ ვერ ჩამოვუვლიდი.

მერე მოხდა ის, რაც მოხდა: უცხო ადამიანს ჩვენთან რა უნდაო და, კრება მოიწვიეს, არჩილ ციციშვილი თანამდებობიდან გადააყენეს და თითქოს უდრტივინვლად გააგრძელეს ძველებური არსებობა, რამაც საბოლოოდ „გაზეთი“ დახურვამდე მიიყვანა. ვერც იმან უშველა, რომ განახლებულმა რედაქციამ მრჩეველად არჩილ გოგელია დაინიშნა. ახალმა რედაქტორმა ბევრი იბრძოლა ჯერ გაზეთის გადასარჩენად და მერე იმის აღსადგენად. საჯაროდაც, მათ შორის, პრესაშიც არაერთხელ მიმართა ქალაქის ხელმძღვანელებს, მაგრამ ამაოდ. არადა ამხელა ქალაქს, დედაქალაქს, რა

თქმა უნდა, გაზეთი აუცილებლად უნდა ჰქონდეს, თავისი გაზეთი. ყველაფრის მიუხედავად, როცა საშუალება მომეცა, მეც შევანიე ახალ, უკვე უგაზეთო ახალ რედაქტორს სიტყვა — ჩემს ვრცელ წერილში „ქალაქის მერიტი“, პირდაპირ ვთხოვე ქალაქის ახალარჩეულ მერს, კახი კალაძეს, აღედგინა გაზეთი „თბილისი“. სამწუხაროდ, უშედეგოდ.

ამასობაში „ახალი ქართული გაზეთი“ თავისი ხანმოკლე, მაგრამ დასამახსოვრებელი არსებობით უკვე ქართული პრესის ისტორიის ნაწილი გამხდარიყო. 1998 წელს გაზეთის კონცეფცია ასლან

ვლობაში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკასთან“ ერთად რამდენიმე პროექტის განხორციელებაც ვცადეთ, დღესაც ერთმანეთის გვერდით ვდგავართ, მაგრამ ფაქტია — ჟურნალისტიკა ფედერაცია საკუთარი გამოცემის აუცილებლობის წინაშე დადგა. ამ ოცდახუთი წლის წინ გამოდიოდა გაზეთი „ახალი ქართული გაზეთი“. ბატონმა პაატა ნაცვლიშვილმა გამოთქვა სურვილი, რომ ჟურნალისტიკა ფედერაციას გადმოსცეს ეს გაზეთი მთლიანი კონცეფციით, სათაურით, დიზაინით, არქივით, რომელიც მასვე ეკუთვნის.

ამისთვის მადლობა ბატონ პაატას. დღეს არის იდეის დაბადების დღე. „ახალი ქართული გაზეთი“ დღეიდან არის საქართველოს ჟურნალისტიკა ფედერაციის პერიოდული გამოცემის სახელწოდება.

ჟურნალისტიკა ფედერაციას დღეიდან უკვე გააჩნია იდეა პერიოდული გამოცემისა და ეს იქნება „ახალი ქართული გაზეთი“.

დანარჩენი უკვე არის დროს და მონდომების ამბავი.

გაზეთის გამოცემას და პრეზენტაციას, იმედს ვიტოვებთ, ახლო მომავალში შევძლებთ და უფრო ფართო მასშტაბითაც აღვნიშნავთ.

ჟურნალისტიკა ფედერაციის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნანა დევდარიანმა იმ შეკრებაზე განაცხადა:

„მე არ მგონია, რომ ხანგრძლივი დრო დასჭირდეს ამ ამბავს. ფინანსები მნიშვნელოვანია, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია, როცა იკრიბებიან ადამიანები, ვისაც ეს საქმე უყვარს, აქვთ გამოცდილება, საკმარისი ცოდნაც და პერსპექტივის დანახვის უნარიც.“

ეს არის არაჩვეულებრივი გაზეთი. ვფიქრობ, რომ ეს კონცეფცია თუნდაც იმიტომაც არის ჟურნალისტიკა ფედერაციისთვის მისაღები, რომ არის ფინანსური და არის ის კონცეფცია, რომელმაც დროს გაუძლო და კიდევ უფრო მეტად გაუძლებს, თუ გაზეთი გამოვა და აღდგება. ფინანსებსაც იშოვის ადამიანი, მეგობრებსაც დაინმარს, ვიღაცას და აინტერესებს, მთავარია, ვიმოდრაოთ. როგორ ამბობდა ჩვენი დიდი წინაპარი? — მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა...“

აქვე ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილის ბონდო მძინარაშვილის სიტყვები გამგებობის იმავე სხდომაზე:

„ეს გაზეთი მნიშვნელოვანი სიახლე იყო ქართულ მედიაში... ბატონ პაატას დიდ მადლობას ვუხდით საჩუქრისთვის. ჟურნალისტიკა ფედერაციამ, ყველამ, მადლობა უნდა გადავუხადოთ ამ საჩუქრისთვის. ეს არის ტვირთი, რომლის აწევაც მოგვინევს, რა თქმა უნდა, ჩვენი ძალებიც უნდა გავთვალთ, ვამბობ — ყველა მოსაზრების გათვალისწინებით, მაგრამ, ამავე დროს, არ უნდა დავკარგოთ რწმენა, რომ ჩვენ, თქვენთან ერთად და ჩვენზე ახალგაზრდებმაც, ის ადამიანებიც შემოვიამხანაგოთ, ვისაც ბატონი პაატა გულისხმობდა და მათთან ერთად ავნიოთ ეს ტვირთი.“

თუ არ დავძრავთ, ვერ გავიგებთ. თავიდანვე თუ ვიფიქრებთ, რომ ჩვენ ამ ტვირთის ამწევეები არ ვართ, მაშინ აღარც უნდა შევეჭიდოთ ამ საქმეს“.

ჰოდა, შეეჭიდეთ, ბატონებო! დარწმუნებული ვარ, მხარში ამოგიდგებათ ის ხალხი, ვისთან ერთადაც ვაკეთებდით მაშინ ამ გაზეთს.

ახალი თაობაც გვერდში ამოგიდგებათ. ჩემს ნასტუდენტებში თუ სტუდენტებში მე არაერთი მათგანი მეიმედება.

მეც, როგორც შემეძლება, თქვენს გვერდით ვიქნები, თუმცა ამჯერად მთავარ რეჟისორად უფრო ახალგაზრდა და ენერგიული ახალგაზრდა გჭირდებათ — მეოთხედი საუკუნის წინათ რომ ვიყავი, დაახლოებით ისეთი.

პირველი გვირგვინი

ცხოვრება მართონ! არადა, როსმე არც ყოფილა - გაჭირვებულებს ყურადღებას რომ არ აქცევდა ქართველი კაცი, როდისღა გაჩნდა უგულობა აი, ასეთი, დაგვაჯილდოვა რამ ამგვარი მწარე სიმკაცრით?!

ქვეყანა ჩემო!

მტერი და მტერი, სულ მტერი გვყავს, ქვეყანა ჩემო, ამის გამოა, ვერ გავუგეთ ცხოვრებას გემო. რაა ეს შენი სილამაზე, რომ არ ასვენებს მტერს გადამთიელს, თუ ახლოურს, აი, ასევე... რაა ასეთი სილამაზე ბოლოს და ბოლოს, აი, მაგ შენი სილამაზით გვეღებო ბოლო. იქნებ ნაკლები სილამაზე სჯობდა კიდევაც, ხომ აგვცდებოდა ამდენი მტრის გადაკიდება! ოჰ, საქართველოვ, სიყვარულო უუმადლესო, სხვა სიყვარული შენს სიყვარულს რას შეედრება, - ქვეყნად ყველა სხვა სიყვარული ჩნდება და კვდება, მხოლოდ შენდამი სიყვარული არცკი ბერდება.

თუ არა გომდა იმადი მისი

ეჰ, ტატო, ტატო, რატომ ნახველ შორეულ განჯას, რა მოგიტანა იქ ისეთმა ერთგულმა გარჯამ? არა, არ უნდა ნასულიყავ, თუნდაც იმიტომ, დაგხმარებოდა, ხომ შეეძლო შენს ძია გრიგოლს. აკი დაგპირდა ერთხელ კიდევ, სამსახურს შენთვის რენენკამფს სთხოვდა, ხომ გახსოვს, ტატო? რატომ კიდევ არ შეახსენე, ნეტავი, რატომ? დიდი კაცები რომ არიან გულმაკინეები, ძია გრიგოლიც იქნებოდა, ნამდვილად ვიცი... შეახსენებდი კიდევ ერთხელ, თუგინდაც ათჯერ, თუ გულისგულში არა გქონდა იმედი მისი?!

თუმც რა აზრი აქვს

ორბელიანო, გენერალო ინფანტერიის, ტატოსნაირი სხვა დისპილიც გაყავდა? - რამდენი. წერილებით რომ გიგ ზავნიდა ის თავის ლექსებს, ერთხელაც რად არ მოუწონე, სამსახურის შოვნაა ესეც? რომ გიზიდავდა ნადირობა, ლოპიანა, ქეიფი, ლხინი... მაგ მეფისტოლა კაცის, ოდენ ეგ იყო ფინი? მომძალეზია ეს ფიქრები ორბელიანო, მომძალეზია, არ მასვენებს როგორც იარა; ღვიძილში, ძილში, თითქმის არა მიხარია რა, - ახლობლისადმი უგულობა დღესაცა მტკიცია... გასული კია ორასი და ბევრადაც მეტი, თუმც, რა აზრი აქვს, დღეს რას, ანდა რარიგად გეტყვი...

ვაჟა ფშაველას სახლთან

როცა აქ მოვალ, ანდა ფიქრი მომიყვანს რა ჟამს, სულ ის მაოცებს,

ამ სახლში როგორ ეტეოდა იმხელა ვაჟა!

მზაო!

გაუსაძლისი ხვატია, მზემ მწარედ დაგვეცხო სხივები, აპილილდა და გაგვიწყრა, ამ განყრომისგან ვილევით. მზეო, რილასი მზე გქვია, თუკი ჩემსავით ბრაზდები? არა სჯობს, ჩამოგვანოდო - სხივები განანაზები?!

სიზმარი - თავდაბი

სიკვდილით არაფერი მთავრდება, არა, არაფერი სრულიად, აი, სიზმარია ამისი თავდები, სიზმარი გარდაცვლილთა სულია. ნასულეებს სიზმარში ხომ ვესაუბრებით, ვესაუბრებით და რამესაც გვავალებს... ღმერთმა არ ინება სხვა მეტის გამხელა, სიზმრით მიგვანიშნა სათქმელი:

გელა ვალაჟილი

ზამთრის მიწურულის ლექსები

რომ სიკვდილით არაფერი მთავრდება - და რომ სიზმარია ამისი თავდები.

მართას

ჩემო სიხარულო მართა, ჩემო სიყვარულო მართა, მე ვხედავ, რომ შენზე, მართლაც, ღმერთმა დაიბერტყა კალთა.

რა გინდაც გიჭირდეს ქვეყნად, რა გინდაც გილხინდეს, მართა, მუდამ გაისარჯე მართლად, ყველგან მოიქეცი კარგად.

უთუოდ ისწავლე კარგად, კარგად მოექეცი უფროსს, ამ ქვეყნად ყველაზე მეტად სამშობლო გიყვარდეს უფრო!

სვანეთის სიმბოლო

ერეკლე სალლიანი სვანეთის სიმბოლოა, - ჭკვიანი, მაღალი და ალაღ-მართალი, ასე პირდაპირსა, ასე აკარგანს, მგონი, ამ ქალაქში არა ჰყავს ბადალი. დადის, იარება წელში გამართული, ფეხი აიდგაო, იფიქრებ, შხარამ... არ ხამს შეგეშალოთ ვინმეში, ერეკლე სალლიანია გვარად. იგი სვანეთის ცხადი სიმბოლოა: ასე ჭკვიანია და ალაღ-მართალი. ასე პირდაპირსა, ასე აკარგანს, მგონია, ქალაქში არა ჰყავს ბადალი.

სხვა რასა იქმს?

ცა დედამინას დაჰყურებს, მინა აჰყურებს ცას... შორით ეტრფიან ერთმანეთს, შუაში სივრცე დგას, სივრცე აშორებს ერთმანეთს დედამინას და ცას, ღმერთს ასე გადუნწყევტია და სხვა რასა იქმს სხვას... სივრცემ კი, უხერხულობით, ნეტავ, რა უნდა ჰქნას?!

ანდარი

მსურს მივებარო სამთავროს მიწას, არ მიმიჩნიოთ, გთხოვთ, მკრეხელობად...

მინდა ამ წმინდა მიწაზე ვინვე, ამ მიწის ტრფობა დამყვა ხელობად. ცეცხლს მისცემოდა აქ მაყვლის ბუჩქი, არკი ინვოდა და იდგა ყინჩად, ამყად იდგა ის ცეცხლის ურჩი... სამთავროს მიწა სიცოცხლედ მიჩანს. გთხოვთ, ამისრულოთ მე ეს სურვილი და მიმაბაროთ სამთავროს მიწას... ვით ვიქნე იმედგადაწურვილი, თუკი ეს მიწა სიცოცხლედ მიჩანს.

მარტვილი

კახმეგ კუდავას მიყვარს მარტვილი მთელი თავის მშვენიერებით, - სალხინო, გორდი, ნავაზაო, ნოქალაქევი... ქუჯისგან ასე შორს განთქმული მისი სახელი, მის დიად სახელს მნიკვი არცროს მიეკარება.

აქ ბევრჯერ ვიგრძენ დადიანის ნაფეხურები და ჭაჭაჭაძის ასულისა ნატიფი სუნთქვა... მშვენიერებას ხომ ვერასდროს ვერ

შეველევი

ადამიანი, რაგინდ ხანი გავიდეს უნდა.

აქ ყველაფერი: უსულოა თუ სულიერი, ახლობელია, ამა ქვეყნად, ყველაზე უფრო... რათა ყოველი კარგად იგრძნო, იარე უხმოდ -

და სული შენი გაილაღე უკვდავ ჰანგებით, - ასე რომ მოსდგამთ, - სევდიანი და გულის მწველი... და რომ სულს მეტი არცრა უნდა, არცარას ელის.

ნარდი

დღეს მინდა გულით მოვახსენო ბოზორჯმეჰრს მაღლი, რომ მოიგონა საყვარელი თამაში ნარდი. რალა თქმა უნდა, ნარდს მე ჭადრაკს ვერაფრით ვადრი, მაგრამ საკმაოდ კარგად ვიცი ორივეს ყადრი.

არა სჭირდება ნარდის თამაშს, თუმც, დიდი ჭკუა, დაფიქრება კი უცილობლად მონარდეს თუ აქვს, საბედნიეროდ კამათელიც შენს მხარეს თუა, მოგებისათვის, ვერაფერი ვერ გეტყვის უარს.

თამაში არის ეს ცხოვრებაც ყოველდღიური, მოგებისაგან შეგექმნება ყოფა მზიური... თუკი ნააგებ, მოგხევევა ფიქრი არჯალი...

თითქოსდა გულში გაგეყარა ბასრი ხანჯალი, - მაინცლა მინდა მოვახსენო ბოზორჯმეჰრს მაღლი, მიცვინა: ბრძოლის ველი არის თამაშიც ნარდის.

ამიტანა, მგონია, წარამ

ამ სიბერეში ამიტანა ლექსების წერამ, შემთხვევითია ეს ნეტავი, თუ ბედისწერა? ხომ არ დამენყო, მიფიქრია, ახალი ერა, თუ ვით იტყვიან, ამიტანა მეც, ჩემმა წერამ?

უკვე რამდენი წელია, არ მომიდის ლექსი, ახლა რა ხდება, რა ვიფიქრო, რა ხმები

ამგვარ მოვარდნა-მოძალეზას რა მესმის... ენოდება, - ასე უეცრად, მუხთალივით მოულოდნელად...

ლექსს ხომ მარტოდენ ახალგაზრდა ამოთქვამს გული, ლექსი ხომ ოდენ სიჭაბუკის გზნებაა სრული... ჩემთან რა ხდება: გაიხსნაო თითქოსდა წყლული...

იმა დიდი ხნის უთქმელობით, თითქოსდა ნისლში - სწადია ამ გულს, რომ ამოთქვას მაინცლა მისი - მწარე ყოფისა, თუ ვინ იცის, ესეც და ისიც?!

ყოველს ამ დღეს

დღეს ღვთისმშობლის მიძინების დღეა, ჯვარცმულ შვილით დაღლილს მიეძინა, მძინარეც კი მზისდარია, მზეა, ჩვენ შევხარით დედას, ნეტარ მძინარს.

ჯერ არავის არ ჰყოლია შვილი, - იმისთანა, ვით მარიამს წმიდას,



ნეტარია მიტომ მისი ძილიც... ღვთისმშობელი გადმოგვეყურებს ციდან.

ქვეყნად არვის არ ჰყოლია დედაც, - იმისთანა, იესოს რომ ჰყავდა... ხატს შევყურებ - დედას ყრმასთან ერთად,

ორნიც ერთად, ანუ - ერთმანეთთან... დღეს ღვთისმშობლის მიძინების დღეა, ყოველს ამ დღეს მოალერსე მზეა.

რად მიატოვე

აი, ამ წუთსაც ავადა ვარ ბარათაშვილით და დღენიდაგ ფიქრი მიდულს მის შავბნელ ბედზე, - გაშლილ მდელიზე ვხედავ ყრმა დგას, თავის ხვედრს ეძებს, ბედს ერკინება საბოლოოდ ყოფანაშლილი.

ჰოი, სანუთროვ, განჩინება შენი რა არის, რისთვის, რატომ სპობ ყმანვილის ბრმა სარწმუნოებას, რად არ უჩვენე მაძიებელს სწორი სავალი, მას, ვინც ყოველ დროს დაამშვენებს, ყოველ დროებას.

რად არ არგუნე ასპარეზი იმ ყრმას, რომელიც, ეძიებდა და, რატომ ჰკარი უდროოდ ხელი, - მისი გონისთვის არცრა იყო მიუწვდომელი...

რად მიატოვე მიწიერი ყველა სურვილის აღუსრულებლად... სხვის მიწაზე მოჰკალ ურვილი... მოშიებული ტრფიალების, ტრფობის წყურვილით...

თორნიკე გომიანი

მონოლოგი

მეგობრები დაიფანტნენსავით... უფრო სწორად დაიფანტნენ... მე მარტო ვცდილობ დარდთან გამკლავებას... ნიგნები: სტენდალის რომანები, ჯოისის „ულისე“, სერ ალექსანდერის ბიოგრაფიული ნიგნი, ცოტა ხასიათს მიკეთებს ხანდახან, ხანდახან ვერა... ხანდახან ინტერნეტში საინტერესო რამეებს ვათვალიერებ, ვთქვამთ, ნახატებს, განსაკუთრებით მიყვარს ანრი რუსო, მისი პრიმიტივიზმი... ხან პიჯაკებს, ჰალსტუხებსა და პერანგებს ვათვალიერებ, არ ვიცი, რატომ მაგრამ მომწონს სამოსის თვალთვლება, კონსერვატიული სამოსის, წარმოვიდგენ ხოლმე, რომ მაცვია და სადღაც მივდივარ საინტერესო შეხვედრაზე, ან ჩემს შვილს წარმოვიდგენ, დიდი კაცია და ასე დადის, მომწონს ყავისფერი ჰალსტუხი და ლურჯი პერანგი, სახშიც ასე ვივლიდი, მაგრამ არაკომფორტულია, კონსერვატიული სამოსის თვალთვლება ხანდახან ეხმარება სულს, თითქოს იმ სტილში, იმ სამყაროში შევიდვარ, კულტურის, თავშეკავების სამყაროში, რაც დღეს ქრება, ვულგარულდება ცხოვრება... ვუყურებ ხოლმე ფეხბურთს, დოკუმენტურ ფილმებს, მიყვარს მცენარეები... ათას რამეს მოვედები, ათასი რამე მინდა ვთქვა...

როცა უძილო ვარ, ბევრ ლექსს ვწერ, როცა უძილო ვარ ბევრი რამე მახსენდება... როცა უძილო ვარ და თან მზეა, დავჯდები ხოლმე აქ, ეზოში, კედელს მივეყრდნობი, გავირინებ ფიქრებში და მოდის აზრები, როგორც კონიაკი მოედინება ბოთლიდან, მისი დაყრდნობისას, მეც დაყრდნობილი ვარ, შერყეული და უცნაური, ჩემს ნაჭურჭელში შეკეტილი კაცი, საინტერესო აზრებით და ფიქრებით... ბოლო დროს ღმერთზე ფიქრს მოვუხშირ, ვერ ვარ კარგი ქრისტიანი, მაგრამ... გულით მინდა, რომ ჩვენ არა ავფეთქებოდნენ, არამედ ღმერთის ხელიდან მოვდიოდეთ, მისი მადლით, ჰო ქრისტიანი ვარ, არც ისე კარგი, მაგრამ... მე პატრიოტი ვარ... მიყვარს სამშობლო, უზომოდ, უსახლდროდ...

რა მანუხებს? ბევრი რამე, რაც გითხარით, ის, ასევე საკუთარი დანაშაულები და შეცდომები მაფორიაქებენ... მაგრამ მაინც ამაყი ვარ, ბედნიერი ვარ, რატომ იცით? არაფერი დამიშავებია ისეთი, რაც ჩემს სულს დააგდებდა ლაფში, ჩირქს მოსცხებდა, კარგი კაცი ვარ, ნესიერი და კეთილშობილი, კეთილშობილურია ჩემი გული, მე პირნათელი ვარ ჩემი სულის წინაშე, თუ რამე დავაშავე და თუ რაიმეში შევეცდი, ჩემი გულუბრყვილობითა და დაუდევრობით, ჩემი ბავშვურობით, ჩემი ემოციურობით, მეყვიარა ვარ და ფეთქებადი! ცხოვრებას დავყვირი და ვეჩხუბები... დღეს მთელი დღეა, შემოდგომის ერთ დღეში ვარ, ერთ მოგონებაში. ეს მოგონება მათრობს, მბრუნებს და ლაიტმოტივად გასდევს დღეს, ტბასთან ვიდევ. ლამაზი, პატარა ტბა იყო, ბინადებოდა, ამ დროს ფილოსოფიურმა ფიქრებმა წამიღო, ეს იყო ჩემი პირველი ფილოსოფიური, ეგზისტენციალური ფიქრები, მძაფრი და ძლიერი, დაფიქრებული ცხოვრებაზე და მის არსზე, მოვიდა ფიქრი, რომ სამყაროს რაღაც ჯადოსნობა, მაგია მართავს, არა ბედისწერა, არა თავად ადამიანი, არამედ მაგია, იდუმალება და ჰერმეტიული სული, საკუთარი უსუსურობა ვიგრძენი ცხოვრების წინაშე და დაფიქრებული ამაზე, გონებაში დამებდა აზრი, რომ ყველაზე არეულები ვართ, მთვრალეები რაღაც ღვინოსავით მძაფრი სასმელით, ცხოვრება გვთმავს და გვაბრუნებს, სადღაც დანაშაულები და მარიონეტებით გვათამაშებს, რომ ჩვენი გული და სული არ არის ჩვენი, არამედ სხვაგან, სადღაც შორს... შემეშინდა ამ ფიქრის, როგორც ცუდ ნიგნს დავდებთ ხოლმე ყველაზე ცუდ ადგილას, ისე მივჩქმალე ეს ფიქრი... ახლა გამახსენდა, არა, ადრეც გამახსენებია, მაგრამ ახლა უფრო მეტად... ყვავილებს წყალი დავუხსნი, მერე ცოტა

წავიკითხე, მერე შვილს ვეთამაშე, მანქანებით, რბოლასავით, ჩემს შვილს თვალზე ვამჩნევ, უფრო პოზიტივითაა სავსე, ფილოსოფიური არ არის და მიხარია, არ დაიტანჯება, არ იღარდებს ამდენს, ცხოვრებას მიიღებს ისეთს, როგორც არის, მე ამას ვერ ვახერხებ, მთელი რიგი მიზეზებიდან გამომდინარე, ამას არ ემუქრება ასეთი რამე, მე ბავშობიდანვე სხვანაირი ვიყავი... მაინც რა არის ცხოვრება? ხანდახან მიფიქრია ცხოვრებას ყველაზე უკეთ ჯაზი გამოხატავს-მეთქი, ჯაზი ხომ იმპროვიზაციაა, უმინარსოა, ქაოტურია, ცხოვრებაც ასეთია, ამიტომ მაინტერესებს ჯაზი, მაგრამ ხანდახან არის, როცა ისიც აღარ მაინტერესებს, ხანდახან... ნუ გაგიკვირდებათ ასეთი მადებ-მოდება, მე სათქმელით ვარ სავსე, სათქმელითა და ქაოსით, ყველაფერი ჩემს გულზე ურტყამს ხელს და ყველაფერი ჩემს სულში იყრის თავს...

საუბარი (ქალი და ვაჟი)

-რაზე გინდა ილაპარაკო?
-რაზე? არ ვიცი, რაღაც მშვენიერზე, ტბის პირას მინდა ვიჯდე ახლა და ბუნებას ვუყურებდე, იცი, როგორი ბუნება მომწონს? აი, გეტყვი, უმეტესობას ხომ დიდი ხეები და დაბურული ტყეები უყვარს, ეგეც მაგარია, მაგრამ მე მიყვარს ყინა, ვრცელი მინდორი, მზესუმხირების ყინა, ყაყაოები, მინდვრის ბოლოში მდგარი კორი, სიმინდები... აუ, სიმინდის მოპარვა... ერთხელ სოფელში ვართ და სიმინდი მოიპარეს მეგობრებმა, შეშა გვინდა, წავიდნენ და მეზობელს ფარულზე კარები ჩამოუხსნეს, მორყეული იყო ისედაც, იმაზე შევწვით, ჰა, ჰა! რა სიგიჟეებს ვაკეთებდით, ჰო, სოფელი მაგარია, გინდა სოფლის ამბები მოგიყვე? ერთხელ ტრაქტორი მათხოვა ჩემი მეგობრის მამამ და მეზობლის ჭიშკარს დავეჯახე, ბმე მოდოდა, იმას ავარიდებ და დიდ, ყავისფერ ჭიშკარს დავეჯახე, ისეთი ხმა ჰქონდა... ატყდა ერთი ამბავი, მამაჩემმა, გავაკეთეთ, მივედით დიდი ბოდიშებით, არ ქნა, არაო, მე გავაკეთებო... ერთხელ კიდევ აივნიდან გადმოვვარდი და მანქანის ძარბაში ჩავვარდი, ძარბაში კუეგდო და იმზე მომიხვდა ხელი, ბავშვებმა ჩასვეს... რა ვიცი, რა მოგიყვე კიდევ?

-რაიმე სევდიანი...
-რატომ?
-მაინტერესებს...
-სამიში?
-სევდიანი...

-სევდიანი დაცლილი სახლია, ძველი გაზეთები, ძველი ნივთები, სიცარილე, რომელიც გხვდება. ის სახლი, სადაც დავიბადე და გავიზარდე, დრომ დაფარა, გამოკეტა და გააქრო, რა უნდა იყოს ამაზე სევდიანი? მაგია, რომელზეც ჩაის სვამდი, ჯემიან პურს ვჭამდი და ვაკეთებდეს ვსწავლობდი, ახლა მტვრითა და დარდითაა სავსე, კედელი, რომელთანაც ლუმელი იდგა... ლუმელთან ვიჯექი და დოსტოვესკის ვკითხულობდი, ტოლსტოის, ჩეხოვის, რუსული პროზას! მე ცალი ფეხით ვერ კიდევ იმ დროში ვარ, ლუმელი, თოვლი, შეშა, ძველი ნიგნები, ნავთის სუნით გაჟღერებული სკოლა, იმ სამყაროდან უკლებ ჰო! და აქ ვარ, შენც ასე ხარ, მაგრამ არა, შენ მაინც ქალაქელი ხარ! ეჰ... რაღაცნაირია ცხოვრება, უცნაური, ჩვენ, მეგობრებს გვიყვარდა ცეცხლის პირას საუბარი, იცი, ლექსებიც კი... ჩვენ კარგად სწავლა ვიცოდით, კარგი რაღაცები გვიყვარდა, კარგი ადამიანები ვიყავით, იცი, მე ფილოსოფიური აზრებით ვცხოვრობდი. სულ, სულ სევდიანი ვარ და ფილოსოფიური, ეს ტკივილია ვიცი, მაგრამ თან რაღაც ფარულ მშვენიერებას ვხედავ ტკივილებში, შეიძლება იმიტომ, რომ ქართველი ვარ, ჩვენ ხომ სულ დარდიანები ვართ. როგორი გაგლავილი გული გვაქვს, როგორ ვიყურებით ამ გულში... ღვინო, სევდა, ცრემლი, ის სილამაზეა რომელიც გვიხდება ჩვენ, ჩვენი ჩუქურთმბა, იცი რატომ? იმიტომ, რომ მართალია, ჩვენ მართლები ვართ...

-რა საინტერესოდ საუბრობ...
-ეხლა გიტარაზე დაკვრა ვისწავლე, ისეთებს ვიმღერებ, გიტარაზე რომ მღერიან... ლობის ვარდები... მზე... სიყვარული... ოღორლორო გზები, მართალი გული და ოცნებები... ო, ღმერთო... ცხოვრების გზაზე ჩქარი ნაბიჯით წამომენვიან ხოლმე ეს მოგონებები, შამპანურის დასხმის ხმას ყურთან გავიგონებ, მერე მუსიკა, მერე მზის მცხუნვარებას ვიგრძნობ, ძველი სუნამოების სურნელს შევიგრძნობ... მერე შენ გამოჩნდები, ყველაფერი გაქრება და მხოლოდ შენ დარჩები, შენი სუნთქვის ქარიშხალი გასწვებს მთელ სამყაროს და შენ დარჩები, ტიტებთან ერთად... შენც ტიტა ხარ, არ გაგიკვირდეს ეს უბრალო შედარება, ტიტა ხარ, ჩემს ცხოვრებას რომ აყვავილებს და აცოცხლებს, ახლა შამპანური მინდა, გიტარა, შამპანური და სიმღერა... პოეზიაც მინდა... გზა მინდა კიდევ, დიდი, ლამაზ სივრცეში ჩამჯდარი გზა...

-მე შენი მოსმენა მიხარია... შენი საინტერესო ლაპარაკის მოსმენა... ეს ჩრება ალბათ ცხოვრებისგან...

-და რა არის ცხოვრება?
-სუსხი... სუსხი, რომელიც თან გულს გვიციებს და თან საამო ძილს გვგვრის...
-კიდევ...
-კიდევ გზა...
-კიდევ?
-არ ვიცი...
-იცი, რატომ წამოვიწყე ასეთი საუბარი? გონია, რომ რაღაც უნდა დასრულდეს, რაღაც უნდა გაქრეს, რაღაც აღარ უნდა იყოს ისე, როგორც არის და არ ვიცი, ეს რაღაც კარგია თუ ცუდი, მე მხოლოდ გულჩვილი ვარ ამ ცვლილების წინაშე და... ფილოსოფიურ განცდებს აღძრავს ეს ყველაფერი.
-ნუ მაშინებ...
-არ გამინებ...
-აბა, რას აკეთებ?

-გცდილობ, მართალი ვიყო, მთელი ჩემი ცხოვრებაც სწორედ ამის მცდელობაა, ვიყო მართალი, ვიყო მართალი და გამაჩნდეს ჩემი ადგილი ცხოვრებაში... საინტერესო ღამეა, ძვირფასო, ღამე ჭკნობისა და აყვავებისა... რა ხდება ახლა შენს გულში? ხომ არაფერს მალავ? ხომ არაფრის გემინია? ყველაზე მართალი გული რომელია იცი? რომელიც მდუმარედ იფერფლება... იცი, რომელი ვარდია ყველაზე ღამაზი? რომელსაც მხოლოდ მოგონებებში აცოცხლებ! არაფერია შორეულზე ახლო და არაფერია ახლოზე შორეული... ნუა შორიდან გესმის, როგორც ხმა, ხმას შორიდან ხედავ, როგორც ლანდს და ფიქრი ჰამაკივით გარწევს, ასეთია წუთისოფელი! და მაინც, რისთვის ვართ? ან რატომ ვართ ისინი, ვინც ვართ? ან ვინ გვინდა, რომ ვიყოთ? ცხოვრება ვარდებითაა სავსე, ძვირფასო, ჩვენ კი თავგებოვით ხაფანგისკენ ვინევთ, ცხოვრება ვარდებითაა სავსე, ძვირფასო, მეც ვარდები მიყვარს ამ სამყაროში!

პოეზია

კოკოს ყველა გიჟს ეძახდა, ქაოტური იყო, არეული და ბნელიანის ნაბიჯები ჰქონდა, დაულაგებლად ლაპარაკობდა, სვამდა, ენოდა ათასგვარ შხამს და გიჟის დაჟინებით უსმენდა მუსიკას, დაჯდებოდა ცარიელ ოთახში, დაიდებდა სასმელს, ჩართავდა ოპერას და ჩაიძირებოდა, მერე ტირილის დაიწყებდა, მერე სიცოცხლე, მერე გამოვიდოდა და იტყოდა:

-დიდებულია, დიდებულია ცხოვრება!
სოფელში ყველას უყვარდა მაინც, სამიში არ იყო, ყველას ყველაფერში ეხმარებოდა, სამშობლოდ მოსული, შეშის ჩიხვამში, შენებამი... სმა უყვარდა და თამბაქოც კარგი იცოდა, ენაწვლიანი საუბარი, მალაფარდოვანი სიტყვები, ლექსები... მერე სმას უმატა, მერე უკლო, მერე ისევ უმატა, უმატებდა და უკლებდა, როგორც ავტომობილის ძრავი უკლებს და უმატებს სიჩქარეს, თავდახრილი დააბიჯებდა, წვიმა თუ იყო, არც იმას ერიდებოდა, დაუდევრად მიჰქროდა, სამხედრო სტილი უყვარდა, ხშირად იცვამდა ასე, ამბობდა, ჯარისკაცი ვარო, ხან გენერალს ეძახდა თავის თავს, დაოჯახდა, მეზობელი სოფლიდან მოიყვანა ქალი, გამხდარი,

მალალი, ჩუმი, ყველა იძახდა, ეს გოგო არ არისო ამის შესაფერისი. რატომ, ვერ ასაბუთებდნენ, მუხედავად იმისა, რომ კოკოს ყველა სტიქიურ ადამიანად იცნობდა, მას უფრო მალაფარდოვანი ხალხი, ვიდრე მის ცოლს, ამ ქალს ცუდი აურა აქვსო, ეს არგუმენტი ჰქონდა ხალხს, რაღაც აუხსნელ ეჭვს ბადებდა ხალხში, მართლაც გამართლდა ხალხის ეჭვი, ქალი არ აღმოჩნდა სანდო და ნესიერი, მან ერთ ტიპთან დაიჭირა საქმე. ეს იყო იმავე სოფელში მცხოვრები კაცი, ყოფილი რეციდივისტი, არაერთგზის ნასამართლელი. კოკომ გაიგო და, როგორც სოფელში თქვეს, აღმართა მახვილი! წვიმა, მიტოვებულ სახლში კოკოს ქალი და ყოფილი რეციდივისტი ისხდნენ, სვამდნენ, იცინოდნენ... ლაპარაკობდნენ... კოკო ჩუმი ნაბიჯით შევიდა, პისტოლეთი აღმართა, გადატენა, ამათ მოიხედეს... კოკო ჩქარი ნაბიჯით გამოტრიალდა, არ ერიდებოდა წვიმას, დაუდევრად მიჰქროდა.

სურათები

შთაგონებისთვის ბევრი რამ არის... ღამაზი, ამწვანებული ტყეები, მინდვრები, მდინარეები, ტბები და გორები, შემოიძლია ბუნების სურათებში ჩავიძირო, ავაყვავო განწყობა მცენარეებში, გული გავაცინო და გავამზინო... შემოიძლია ღამის ქალაქში გავიარო ფეხით ან ავტომობილით, ვუყურო გაბრწყინებულ ვიტრინებს, ნათურებს, ავტომობილების შუქს, ო, რა საოცარი სინაზე და სიმშვენიერე აქვს ღამის ქალაქს, მით უმეტეს, თბილისს, რა ბრწყინვალეა მისი შუქი, რა სევდიანი და შინაარსიანი... შემოიძლია, სოფლის ხმა გავიგონო, ვნახო შრომა და ბარაქა, ღვინის თასები და ხილით სავსე კალათები... მე ყველაფერი მაქვს იმისათვის, რომ საოცრად აყვავდეს და გაიშალოს ჩემი აზრი და გონი, ირგვლივ სავსეა სურათები წუთისოფლისა.

ნაცნობი და შორეული

მიდის ქუჩაში, უყურებს ღამის წყვილად ჩაფლულ მანქანებს, მალაზის ვიტრინებს, ისმენს ხმას ქალაქისას, რომელსაც არც ღამე აქვს მოსვენება (ასეა ყველა ქალაქი) და ფიქრობს ღამის წყვილად ჩაფლულ ღამის ქალაქზე, სინათლეზე სიბნელეში აყვავებულზე, გაახსენდა მისი ნათქვამი, როცა ერთხელ უთხრა, რომ სინათლეს მხოლოდ სიბნელეში აქვს სილამაზე, გაეცინა, მიჩვეულია ღამისგან ასეთ რამეებს, ახლა ზამთარია, მალე ახალი წელი დადგება, წუხელ ცოტა ითოვა, მერე უტეც გადაიღო, ფერფლი მინელდა, აორთქლდა, მერე ისევ დაიწყო, ოდნავ იმატა... მეტროში ხალხი იყო, ყველას ეჩქარებოდა, ყველას რაღაც აფორიაქება ეტყობოდა სახეზე... ახლა მიდის, მიდის და ძალიან უნდა, რომ ძლიერი თოვა იყოს, ჩაეფლოს ამ თოვლში, ჩაიძიროს და ვერაფერი გაიგონოს, გრდა ღამის ხმისა, ეს ხმაც უნდა, რომ ყურთან ესმოდეს, საყვლო აინიოს, რაღაც მყუდროება იგრძნოს, გაჩერდეს, სუნთქვა შეიკრას... სიცივე იგრძნო, მოდუნდა, ხელი აუკანკალდა, ღამის გაუფარდა პარკი, პარკი, რომელშიც პური, ლიქიორი და სუნამო უწყვია, ეს სუნამო ღამისთვისაა, ისეთივე წყნარი და ნაზია, როგორც ღამის, ან თავად ხედავს ასე, თავად გრძნობს, თავად სურს... მიდის, მიდის, ხანდახან თითქოს რაღაც ნაცნობისკენ, ხანდახან რაღაც შორეულისკენ, მაინც?...

სიზმარსა და ოცნებას შორის

სიზმარსა და ოცნებას შორის რაღაც ზღვარია, მე ამ ზღვარზე ვდგავარ ხოლმე ხშირად... როცა ბოლომდე არც ცხოვრების მესმის და არც მიღმიერის, როცა ყველაფერი ჩამოქვებულია, ოღონდ ეს ჩამოქვებულია სევდას არ მგვრის, პირიქით, სიხარულს, რაღაც საოცარ განცდას მანიჭებს, ვზივარ ხოლმე გარინდებული და ვიყურები ცისკენ, რას ვეძებ იქ, არ ვიცი, მაგრამ რაღაცას ვხედავ და ვგრძნობ შეუცნობელს, გაუგებარს, მაგრამ შინაგანად ნაცნობს, აღქმულსა და გაგებულს, მერე ამ ყველაფერს გულში

ფურცელი თავს, გულს ეშინია და გარბის, სად გარბის? როდემდე გაიქცევა? რატომ გარბის, რას გაურბის გული...

მთვრალე

სოფლის შარა, ფიცრის გადახრილი ლობები, არხი, სიმინდები, ღობის პირას შავ-თეთრი ღორი დინდით თხრის რაღაცას, ქათმების კრიახი ისმის, ვილაც სადღაც ბენზოხერხს აკაკანებს, ბინდდება, ორი მთვრალი მეგობარი ქუჩაში მოდის, ზომიერად მთვრალეები არიან, უბრალოდ აცვიათ და ნელა მოაბიჯებენ, ერთი დაბალია, მეორე მაღალი.

უცებ დაბალი შედგა. ის ადამიანი არ გაქრება სულიდან, ის კეთილშობილება, ის რაღაცა აი, ჯივრისანი, კაცური, კეთილშობილური, ქართული... - ამბობს.

-ღმერთმა არ გააქროს! - მაღალი.

-ღმერთმა არა ქნას, არა, მე შეიძლება არა ვარ დიდი კაცი, მაგრამ გული ხომ დიდი მაქვს? სინდისი ხომ სუფთა მაქვს? მე ხომ კარგი მცოდნე ვარ ჩემი ხელობისა, მანქანაც კარგად ვიცი და ჩემი გლეხური საქმეც, ნელა გაიგე, რა თქვა იმ ბიჭმა? პიანისტმა, რა კარგად დაუკრა, ხო ნახე...

-რა თქვა?

-მაცტრო ვარო...

-ჰო...

-მე, ხომ გაიგე, რა ვუთხარი...

-ჰო, როგორ არ გავიგე...

-ჰო გაიგე? აი, ყურძენი რომ დაიკრიფება, რომ დაინურება, რომ გადაიღებ და რომ დაატყობ, რომ მორჩა, ის მელოდია ამდენად შიგნით, რაც მერე გულში, ტვინში უნდა ამდენდეს, მე მაშინ ვარ მაცტრო-მეთქი! რა კარგად დაუკრა, რა ნიჭიერი იყო, მიყვარს ნიჭიერი ხალხი, შენც ნიჭიერი ხარ, მეც, ყველა, მოსდგამს ამ ქვეყანას ნიჭი, ღმერთმა ნუ გააქროს, ჩემო ძმაო, ღმერთმა ნუ მოკლას, ის ადამიანი არ გაქრება სულელებიდან, ის კეთილშობილება, ის სინდისი, კაცური, ქართული, ჯივრისანი, მთავარია, ჩვენ არ ავიმღვრიოთ სული...

-ღმერთმა ნუ გააქროს! ღმერთმა ნუ ქნას...

-ეეჰ, დავთვერი, ხომ არ ავურიე? ხომ არ შევანუხე ხალხი?

სადღებრძალი

პეპელასავით მოფარფატი აზრს გაუმარჯოს, ცხოვრებას რომ სძენს რაღაც ისეთს, რომელსაც ვერც ოქრო, ვერც ვერცხლი, ვერც მეფის ტახტი და ვერც ძვირადღირებული მანქანა რომ ვერ შესძენს, ისეთ აზრს, უუუუსაზღვროდ ღალი რომ არის, სუფთა და პეპელასავით, ანდა ოცნებასავით ჰაეროვანი, იმ აზრს გაუმარჯოს გუუუუულის სიღრმეში რომ ზის და ელოდება გამობრწყინებას.

ჭალარაბი

ლევანი სარკის წინ იდგა, თმას ივარცხნიდა, სამსახურში აპირებდა წასვლას. უცებ საფეთქელთან რამდენიმე ჭალარა შენიშნა, გაეღიმა, ცოტა გული დასწყდა, თითქოს რაღაც დაიმსხვრაო მის წინ, ისეთი განცდა ჰქონდა, დედა მოვიდა, შეხედა ლევანს, ლევანმა დედას ჭალარები აჩვენა, დედა გაშეშდა-სავით, ლევანმა დედას შეხედა თვალებში, თითქოს არასდროს, არასდროს, არასდროს არ ენახა ასეთი ტკივილი დედის თვალებში, რაღაც ღრმა სევდით დამძიმებულიყო, ლევანი შეწუხდა, გული შეეკუმშა.

-მივიღვარ დედა. - უთხრა დედას და გატრიალდა...

ხმაური... სიცარიელე...

აი, ცხოვრება, რომელსაც ის მისდევდა: კაფეები, ძვირიანი სიგარეტის კვამლი, პოეზია, ძვირადღირებული სუნამოები, კლასიკური მუსიკა, შეხვედრები, მაღალი კლასის ავტომობილები და არეული ნაბიჯებით ღამის ქალაქში სიარული, ბევრი კონიაკი, ბევრი შოკოლადი, ბევრი საუბრები... მერე დიდი და ძლიერი სიყვარული მოვიდა, რაღაც არაამქვეყნიური ძალა და გრძობა, ამას უყვარდა, იმას არა, გახდა, გაუფერულდა, ხელები უკანკალდება, უფრო დიდი დოზებით სვამდა, უფრო ტკივილიან მუსიკას უსმენდა და ღამღამობით უფრო მეტს დახტიალობდა, ოღონდ ამჯერად მძიმედ, გასიებული გულით, პოეზია აღარ უნდოდა, აღარც ღამაში მანქანები, აღარც კაფეებში ჯდომა... ერთხელ ქუჩაში სიარულისას აზრმა შეიპყრო, რომ ის სხვას შეხვდებოდა, ეს მალე მოხდებოდა და ეს კი დაანგრევდა მას, გაანადგურებდა. აიკვიატა და ისე მძაფრად აიკვიატა, რომ ვეღარ ამოიგდო გულიდან, ხელები აუკანკალდა, გული ყელში მოანვა, ტელეფონი ამოიღო, დაურეკა, რაღაც საქმე მაქვსო, საჩქარაო, ის მეგობრად თვლიდა, ახალი დაღამებული იყო, მოვიდა, მატარებლის ლიანდაგთან შეხვდნენ, ხეებთან... ლიანდაგებს იქით გზა იყო, იქით მაღაზიები, გარემოს შავ-ყვითელი ფერები აეღო ლაიტმოტივად,

ორივე დუმდა თავიდან, მერე შეყვარებული ფრთხილად მიუახლოვდა, სახე ყურთან მიუტანა და უთხრა:

-ვერ მოვიქცევი სხვანაირად... -რას გულისხმობ? რას აპირებ?

ბიჭმა პისტოლეტი ამოიღო, ჯერ გოგონას ესროლა, მერე თავად დაიხალა...

ხმაური... სიცარიელე...

განწყობა, სურვილი

ვისკის ესვამდი. ბოლო დროს აღარ მინდა, აღარც თრობა მინდა, აღარც სიგარეტი, ჩაის უფრო დავუახლოვდი, ჭამაც აღარ მინდა, ჩაიში პურს ვიყრი და იმით გამაქვს თავი, ვკითხულობ, ვკითხულობ, ვკითხულობ... ძირითადად ჯოისს... ბოლო დღეებია ჯაზს მოვუკელი და შოპენზე გადავერთე, კლასიკურმა მუსიკამ უფრო ნამილო, დროდადრო ფოლკლორიც მოდის, გემოვნება დროდადრო მეცვლება... ფეხბურთი სულ ჩემთანაა, სულ ვუყურობ, როცა... ცხენით სეირნობა მინდა... ბილიარდის თამაშიც... ისტორიაში ვიქექები, მეოცე საუკუნე... ამერიკის პრეზიდენტები, ბრიტანეთის პრემიერები... ხანდახან პოლიტიკოსიც მინდა ვიყო, ხშირად იასამინისფერი პერანგი მეცემოდა, ნაცრისფერი პიჯაკი, ჰალსტუხი მუქი ალუბლისფერი... ჰუმანისტი ვიქნებოდი, დიქტატორი არა ვიყავი, კეთილშობილური, კორექტული ტონით ვილაპარაკებდი, კორექტულობა მიყვარს... საკაბინეტო კაცი ვარ... ოცნებებში დავფრინავ ხოლმე, რაღაც ძალიან აკადემიური და ჩარჩოებში ჩამჯდარი მინდა, ელემენტური, აკურატული, დავიდალურ შინაურული ყოფით... საკუთარ ნაწერებში ვაკვირდები თითოეულ ნერტილს... მინდა, ჩემი მგილი ან მუსიკოსი გამოვიდეს ან ისტორიკოსი, რატომ? არ ვიცი... აი პიანისტი იყო, ან ვოკალისტი, ან ისტორიკოსი და რაიმე საინტერესო თემაზე იმუშაოს, იყოს ინგლისურის ფილოლოგი, არც ეგაა პრობლემა... რა გულახდილი ვარ, არა? მე თქვენთან დასამალი არაფერი მაქვს... ბოლო დღეებია, ქარია და თრთიან საცოდავი ხეები...

სკვლა

გიორგი ფანჯარასთან იჯდა და ფიქრობდა, ფიქრობდა სოფელზე, ეზოზე, რთველზე, ვენახზე ბავშვობაზე, ახლა მოუნდა რთველში ყოფნა, სათლებით სიარული, მერე წავიდოდა სახლში, გაშლიდა სუფრას, იქეიფებდა, დაუკრავდა რაიმე ჯივრულს და აიფორიაქებდა სულს... რაღაც ძალიან მამაპაპური მოუნდა, მოსწყურდა, ფიქრმა გაიტაცა და მოსვენება დაუკრავა, ხან ერთ დღეს გადაავლო თვალი გულისტკივილით, ხან მეორეს, გაახსენდა ღვინო და ჰარი ჰარაღე, მაგრამ ახლა ცოტა სხვა პერიოდი იდგა მის ცხოვრებაში, ეკონომიკურადაც უჭირდა, სულიერადაც, სხვაგან იყო, სხვა საქმეზე და სხვა გზაზე, რაღაცები ბავშვობაში დარჩა, მოაგონდა ძველი დროსტარებები...

მერე უეცრად სხვა ფიქრებიც წამოვიდა, სალომე გაახსენდა, ძველი სიყვარული, იმ ქალმა ჩაიარა მისი ცხოვრებიდან მაგრამ მოგონებები დატოვა სპეტაკი, სევდიანი, მერე ერთიანად აირდაირია ყველაფერი... სეირნობები... დარდიმანდული მუსიკა და სალომეს სახე, პოეზია და გზებზე ნანწალი, აი, ის ცხოვრება მოაგონდა, როცა ღვინის, სიგარეტისა და ემოციის ლანდები მის წინაშე იდრეკდნენ მუხლს, როცა დრო ღლინებდა მის გარშემო... დაიძაბა, მოიწყინა და აიმღვრა, მაცივარში ცოტა ღვინო ჰქონდა, გაალო კარი, ბოთლი სანახევროდ საგსე იყო, სულმოუთქმელად ჩაცალა, მერე სიგარეტს მოუკიდა, ბინდებოდა... გააბრუნა ღვინომ, თვლემდა ნელ-ნელა წამოვიდა, მოდუნდა და ძილს მიეცა, სიზმრები აირია მის გონებაში, უკრავდა პიანინოზე, სალომე იდგა მის გვერდით, ვარდები ეჭირა, ვარდისფერი ვარდები და ტიროდა, რა ატირებდა?... მთელ ოთახში შემოდგომის სურნელი ტრიალებდა...

ცნობილება

*** -საოცარი ადამიანია, გენიალური... - შეყვარებული ახალგაზრდა კაცი. -არ მიგრძნობს გული კარგს... - და. -რატომ? -რაღაც შინაგანი... -რა?!

*** -საშინლად ვარ! -ნუ გეშინია. - და. -იმედგაცრუებული ვარ... -რატომ არ მენდე? ახალგაზრდა კაცი სიგარეტს უკიდებს ხელისკანკალით...

ღაჯი ნაჭყაბია

მე და ლიზა

ახლა დოსტოევსკის „იდიოტს“ ვკითხულობ. ივლისი დგას. სიცხეება. კონდიციონერი არ მაქვს. ამიტომ, ნელი ტემპით მივყვები. დღეს ოთხასმეათე გვერდს გავცდი. იუთუბზე ლექციასაც მოვუსმინე, რომელშიც ლიტერატურისმცოდნე პროფესორი ამ ნაწარმოებს განიხილავს. მე ყოველთვის შინაარსობრივი ანუ თემატური და იდეური მხარე მაინტერესებს, პირველ ყოვლისა. აღმოჩნდა, რომ მთავარი პერსონაჟი ლევ მიშკინი თავის თავში კაცობრიობის ორ უდიდეს პიროვნებას - ქრისტეს და დონ კიხოტეს - აერთიანებს.

დღეს ამ ნაწარმოებმა ბავშვობისდროინდელი ამბავი გამახსენა. გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების შუახანი იყო. მაშინ მეხუთე ან მეექვსე კლასში ვიქნებოდი. ჩვენს ეზოში წინა მხარეს ალაცაფიდან დაახლოებით ათ მეტრში ვეგება ხეჭყურის ხე დგას. ეს უნიკალური ჯიშის მსხალი საშუალო დიამეტრის ხშირი ფოთლებით, მსხვილ, ხრამუნა ნაყოფს იხსამს. უხეში მწვანე კანი აქვს და თეთრი, ხორკლებიანი გული. თხუთმეტი მეტრის სიმაღლის იქნება და კიდევ უფრო მეტ მანძილზე განტოტვილი.

ნაყოფი სექტემბერში მწიფდება. გამვლელ-გამომვლელნი ყოველთვის ნადილით შეჰყურებდნენ. ზოგჯერ კი დამიძახებდნენ, ეზოში შემოვიდოდნენ და თუ ძირს ვერ მოიძებნებოდა, ჯოხს, ჩამოვარდნილ ნახევრადამაღალ ნაყოფს ან ქვას დაუშენდნენ, ჩამოყრილს ჯიბეებში თუ ცელოფანში ჩაიწყობდნენ და გულითადი მადლობის გადახდით მემშვიდობებოდნენ. დღეს კი ის დაბერებულია და უნაყოფო. მხოლოდ ფოთლებით იმოსება ზაფხულიდან.

ერთ დღეს ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკარმა პოლიამ გამოიარა. მისი სახის, ვარცხნილობის და თმის ფერის შესახებ ახლა არაფერი მახსოვს, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ღამაში, ჩია ტანის და კეთილგუნებანი ქალბატონი გახლდათ, ასე ორმოც წელს მიტანებული. შეჩერდა, შემომხედა და მომესალმა. ხის ქვეშ ვიდექი ჯოხმომარჯვებული. მორიდებით გავუღიმე და სალაში დავეუბრუნე.

- დათო, მგონი მოლეულა მსხალი. - დამიძახა.
- არა, კიდევ დარჩა. - ვუპასუხე.
- მაშინ, ერთ-ორ ცალს წავიღებ. ხომ შეიძლება?
- მოზოძანდით - კარისკენ გავემართე, გავუღე და შემოვუძეხი.

პოლიამ ხეს ახედა და კარგად შეათვალიერა. - მხოლოდ სამიოდე დარჩენილა - ნაღვლიანი ხმით მითხრა და გაბრუნდა. - არა უშავს. წელს ბევრი ესხა. გული ვიჯერეთ, მოგვებურდა კიდევ... ჩამოვიგდებო.

პოლიამ თვალეში შემომხედა, მგონი გამომცდელად. მერე ოროდურ ნაშით დაფიქრდა, სახეზე ღიმილი გადაეფინა და თავის კანტურით დამეფინა.

ჯოხს გულმოდგინედ ვისროდი. მეტისმეტად ბევრი ცდა არ დამჭირებია. ისე, როგორც არასდროს, განაფულობა გამოვიჩინე და სამივე მსხალი ჩამოვყარე. იმდენად დიდი და მძიმეები იყო, რომ მინას ხმაურით ეხეთქებოდნენ. პოლია ერთს თვითონ დასწვდა, ორი მე ავიღე და გავუნოდე. ნახეთქებს ხელი გადაუსვა, რათა ხრემის მარცვლებისგან გაენმინდა. კმაყოფილებით შემომხედა და სახეზე ღიმილი გაუკრთა. მსხლები პატარა ჩანთაში ჩაიწყო, მადლობა გადამიხადა და დამემშვიდობა. სიმართლე გითხრათ, მეც კმაყოფილი დავრჩი.

რამდენიმე წუთის შემდეგ, გაღებული და ფარდაგადანული ფანჯრიდან ღიზა დავინახე. ჩემი მეზობელი გახლდათ. ვერ ვიტყვი, სახეზე მიწყვი ღიმილი დასთამაშებდა-მეთქი, მაგრამ არც პირქუში ეთქმოდა. შავგვრემან ღანვებს გოროზი წარბები გადმოჰყურებდა შავი ღრუბლებით. მაშინ ალბათ სამოცამდე იქნებოდა. ხორცსავსე ქალბატონი მძიმე ნაბიჯებით მოდიოდა. ტელევიზორს ვუყურებდი. ის დერეფანში შემოვიდა, ფანჯრის რაფას იდაყვებით დაეყრდნო და მომესალმა. ტელევიზორის ეკრანს მზერა მოვწყვიტე და მეც მივესალმე.

- ის ვინ იყო?
- პოლია.
- რა უნდოდა?
- მსხალი.
- ჩამოუგდე?
- კი, რა თქმა უნდა.
- მგონი ბევრი არ იყო დარჩენილი.
- არა, სამიოდე.
- მცირე ხანს დუმილი ჩამოვარდა. ტელევიზორს გახედა.
- სამივეს ჩამოუგდებდი, შენი ამბავი რომ ვიცი.
- კი, სამივე. რატომ მეკითხები? შენ ხომ არ ჭამ ხეჭყურს? - არ უყვარდა, ამბობდა, მწყენსო.
- მე არა, მაგრამ შენ არ გინდოდა?
- კი, მაგრამ მომერიდა. - ჩავიბუტბუტე.

გულიანი სიცილი აუტყდა. შეცბუნებული შევცქეროდი. სიცილს რომ მორჩა, მითხრა:

- ასე არ შეიძლება, დათო, ეს სისულელეა. მერე შებრუნდა, დერეფანი გაიარა და ჭიშკარში გავიდა. მგონი მეორე მეზობელთან მიდიოდა.



თანაოზ გორაზიანი

მეგობრობა არ ხუნდება

მეგობრებზე უსაზღვროდ შეყვარებული, ჭეშმარიტი ქართველი კაცი და რაოდენ დასანანი, რომ იგი ახალგაზრდა ასაკში გადაიყვანა უფალმა თავისთან. ამბობენ, უფალს კარგი ადამიანები თავისთან - სასუფეველში ადრეულ ასაკში გადაჰყავსო. ჰოდა, უფალმა ღმერთმა ჩვენ, ლევანის მეგობრები, ადრე დაგვაობლა. თავს მხოლოდ იმით ვიმშვიდებ, რომ დადგება ყამი, როდესაც ჩემს ლევანს უფალი ახალ ცხოვრებაში შემახვედრებს, ახალ განზომილებაში, ახალ სამყაროსა და ახალ საცხოვრისში დამიბრუნებ მას.

მე და ლევანმა ერთმანეთი ქართული ცოდნის ტაძარში, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გავიცანით 1986 წელს. ლევანს სააკაძე მაშინ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობაზე სწავლობდა. კარტოგრაფია-გეოდეზიის კათედრის (ჩემი კათედრა) გამგის, პროფესორ ნიკო ბერუჩაშვილის ხელმძღვანელობით ყოველი ზამთრის არდადეგების პერიოდში ტარდებოდა სტუდენტთა ზამთრის საკავშირო სამეცნიერო ექსპედიციები, რომელთა მუშაობაში სსრ კავშირის 13 უნივერსიტეტი იყო ჩართული. ბატონმა ნიკომ მე დამავალა, ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებიდან შემერჩია კარგი აკადემიური მოსწრებისა და, ამასთანავე, ფიზიკურად გამძლე სტუდენტები. ექსპედიციაში მონაწილეობისათვის ქართველ სტუდენტთა კონტინგენტი მკაცრად იყო განსაზღვრული და მის შემადგენლობაში მოხვედრა არც ისე ადვილი იყო. ჩემი მხრიდან შევარჩიე სამი მესამეკურსელი სტუდენტი: ლევან სააკაძე, მამუკა შენგელია (სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობიდან) და თემურ ჯაფარიძე (ნიადაგმცოდნეობის სპეციალობიდან). სამივემ გასაუბრება ნიკო ბერუჩაშვილთან გაიარა, რის შემდეგაც

ისინი გახდნენ 1986 წლის ზამთრის სტუდენტური ექსპედიციის წევრები.

ექსპედიცია, რომელიც ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა, მოეწყო ჩრდილო კავკასიაში, გროზნოს უნივერსიტეტის სასწავლო-კვლევით ბაზაზე, სახელად „ხარაჩი“. სტუდენტთა ნაწილი კარვებში ცხოვრობდა. ექსპედიციისათვის წაღებული მქონდა ოთხკაციანი წითელი კარავი. ამ კარავში ორი კვირის განმავლობაში ვცხოვრობდით მე, თემურ ჯაფარიძე, მამუკა შენგელია და ლევან სააკაძე.

ბიჭები, ჩემი ხელმძღვანელობით, საკმაოდ აქტიურად ჩაერთვნენ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. ეკონომიკური გეოგრაფიის (ლევანსა და მამუკას) დაევალებათ ლანდშაფტებზე ანთროპოგენული ზემოქმედების ხარისხის შესწავლა და ზემოქმედების შედეგების გამოვლენა.

ამ პერიოდში საკმაოდ პოპულარული გახლდათ მხატვრული ფილმი „წითელი კარავი“, რომელიც იტალიელი უმბერტო ნობილეს არქტიკული ექსპედიციის სათავედასავლო პერიპეტეებს შეეხებოდა. ჩვენი ჯგუფის წევრებმა ფილმის მთავარ პერსონაჟთა სახელები დავირქვი: მალმგრემი (მამუკა შენგელია), ძაპი (თემურ ჯაფარიძე), ჯოვანი (ლევან სააკაძე) და უმბერტო ნობილე (თქვენი მონამორჩილი). ბატონ ნიკო ბერუჩაშვილს მივაკერეთ იმ პერიოდში არქტიკული ექსპედიციების საერთო ხელმძღვანელის, ნორვეგიელი რუალ ამუნდსენის სახელი. ჩვენი თანარაზმელები, სტუდენტები ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან ჩვენი სახელებით აღარცკი მოგვმართავდნენ.

ლევანი აქტიურად მონაწილეობდა საველე კვლევებში და შემდეგ ექსპედიციის ეგიდით გამართულ სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციაზეც გამოვიდა მოხსენებით.

ექსპედიციის პერიპეტეები თითოეული

ჩვენგანისთვის ტკბილ მოგონებებად დარჩა. ვინ მოთვლის, რამდენ თავგადასავალს ვყვებოდით, როდესაც ლევანთან ერთად ვიკრიბოდით მეგობრები, რამდენჯერ გულიანად გვიცინია კურიოზულ შემთხვევებსა და ამბებზე.

ლევან სააკაძემ სამეცნიერო ხარისხი კიევის უნივერსიტეტში დაიცვა. ეს იყო სსრკ-ის დამოუკიდებელი პერიოდში. ურთიერთობა უკვე აღარ გვქონდა. ეს საკმაო ხანს გაგრძელდა.

ლევანი სამშობლოს დაახლოებით თორმეტი წლის წინ დაუბრუნდა და კარიერა ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას დაუკავშირა. ამის შემდეგ ლევანი ხშირად ჩამოდიოდა თბილისში და, შესაბამისად, ხშირი შეხვედრებიც გვქონდა. ერთ დღეს დამირეკა ჩვენმა გულითადად მეგობარმა გაია სირაძემ და ლევანის მოულოდნელი გარდაცვალების სამსახური ამბავი მაცნობა. ეს ყველაფერი სრულიად მოულოდნელი იყო.

არასდროს დამავინწყებდა ლევანის ხმა ტელეფონში და მისი ზრდილობიანი მომართვა თავის დიდი ხნის მეგობარ თენგიზ გორდენიანისადმი: „ხომ არ განუხებთ, ბატონო პროფესორო?“ და ჩემი პასუხი: „გისმენთ, ბატონო პროფესორო!“

ლევანი ამაცობდა თავისი წარმომავლობით. ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით მისი სასახლო წინაპრის, დიდი მოურავის მოღვაწეობის შესახებ.

ლევანი ერთდროულად გახლდათ და ყოველთვის სასიამოვნო იყო მასთან ბაასი ნებისმიერ თემაზე, გრძობილი, რომ ესაუბრებოდი განათლებულ, ზრდილობიან, დახვეწილ მანერების მქონე გულისხმიერ ადამიანს.

ჩემო ლევან, ჩემო მეგობარო და კაცურ კაცო, სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა შენს მართალ სულს, განისვენე იქ, სადაც მართალი განისვენებენ. სამზეოში დარჩენილი შენი მეგობრები არასოდეს დავივწყებთ შენს სახელს და ვიცხოვრებთ იმის იმედით, რომ ოდესმე ისევ შეხვედებით განსხვავებულ ცხოვრებასა და განზომილებებში.

ნათელი დაადგეს ჩვენი გულითადი მეგობრის, ლევან სააკაძის მართალ და კაცურ სულს.

ლევან სააკაძე

ძველი რვეულებიდან

მოვიდა ცრემლი, მოვიდა ტკივილი. გამოდი! გამოდი! ვეძახი მე მის სულს, მაგრამ ის გამიქრა, ვითარცა არდილი, წავიდა! წავიდა! და აღარ ბრუნდება, როგორ დავანყნარო მე ჩემი ბუნება. მე მინდა ცრემლები, მე მინდა მოთმენა იმ დიდი ტკივილის, რომელიც დამაკლდა და მერე ვინატრებ და ისევ ვინატრებ, როგორც სამოთხეში გასული არდილი.

ს.-ს და ა.-ს

მღუმარებით ჩამოცლილი მდინარე, მე რა ვქნა, რომ ასე ჩუმად ვიარე. მე წავილე ბევრი კარგი ოცნება. დამიბრუნდა? აღარ მინდა ლოდინი. რით დავიწყო ისევ ეს მოლოდინი. დავიტოვე მხოლოდ ერთი ოცნება, სალომეს და ნასტიას მოგონება!

ა.-ს

ჩამონვა ღამე, გამოჩნდა ზეცა, ზეცა ანკარა და გაყინული. მე ოდნავ შევცბი და გამიკვირდა, რომ შევიგრძენი ეს სიხარული. მე წინაპრებთან მომინდა ყოფნა, ყოფნა ფაქიზი და სანუკვარი, და დამრჩა სევდა, სევდა ულევო, ვერ ავიხდინე ეს სიყვარული.

მე რო მოვედი და შენც მოხვედი, და რომ დამისხი წითელი ღვინო, მე გაცეცხობ ხელი დავარტყი იმ პიანინოს, რომელიც, თითქოს ყარაჩოლელი, გამომედევნა და დამიძახა: მობრძანდით, ბატონო, აქ არის ყოველი და ის ყოველი გამიხდა ბინდად!

ი. ნ.

სდუმდა მთაწმინდა, სდუმდა იმედი და მე ცრემლებში დამრჩა და დამრჩა ის ნაზი, მშფოთვარე ჩემი ბავშვობა; და ახალგაზრდობა თავის ფიქრებით. ფიქრები რიგში, ფიქრები სვეტში და გახსენება ამ სიყვარულის, რომელიც ჩამრჩა მე შესართავში, გულის სიღრმეში, და გაფანტული მოვიდა წვიმა, მომეალურსა და მითხრა: მარტო არ ღირს სიცოცხლე! მომინდა კვლავაც ის შემოდგომა და რომ მე შენთან ისევ ვიცოცხლებ!

*

დამეწყო ბოძვა, დამეწყო ცრემლი მე ვერ ავიტან ამდენ სიცრუეს. ჩემს სანაპიროს მოადგა გემი და ცდილობს იგი, რომ ამატიროს, მაგრამ როგორც კი „მოხვდა“ იმედი, იცვალა გეზი და გასცდა ნაპირს, და წარემართა სხვის გასართობად, რომ მას სიცოცხლე გაუხანგრძლივოს. ნაზად და სახტად, მშვიდად და მარდად, და მე დამრჩება ისევ სილაღე, ის ლალი ეშხი და პაემანი. შევცქერი თბილისს, მომინდა სიტყვა, მოგონებებით სავსე არდილი,

მოვიდა სიტყვა, გამომაფხიზლა და უცნობ ნაპირს მოადგა გემი!

*

წავედი ფიქრებში, გავედი ღრუბლებში, და ამასობაში მოვიდა ნისლი, დამათრო გრძობით, დამათრო ტრფობით, გამიხალისა ცხოვრების ხიბლი. წავედი, წავედი და ველარ ვბრუნდები, დაღლილი ღამით, დაღლილი დღისით. მოვალ და მოვალ მე ისევ ფერებით, დღისით და მზისით, მთვარით და ხიბლით.

*

დავეცი მარტო, არ ვიცი, რატომ მოვიდა ღამე და დამინახა, როგორც ნანატრი და ნაზი თრთოლვა. გავიდა ხანი და მე ვინატრე მე მამაჩემის მწუხარე სახე და მე წავედი ფიქრებში ღამით მორჩილი ბავშვი და ოდნავ მღუმარე!

ვ-ს

ის სივრცე გაქრა, მოვიდა სევდა და მრჩება გულში ეს სინანული, ნანატრი თოვლი, ნანატრი ზეცა და ისევ ფარული ეს სიხარული. იქნებ მე ვცდები, რომ აღარ ვნანობ, იქნებ მე ვცდები, რომ აღარ მესმის ტკივილი მისი, ვით ეს სიზმარი და დაკარგული ოცნება რთული. წლები გარბიან, წლები გვშორდება და სინანული მრჩება უთქმელი. მოვიდა ღამე და მე განვიცდი, ნუთუ დაიწყო ეს დასასრული.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლს“, № 14, 2024
 აღმოჩნდა, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ იყო... გურამიშვილის დაბადების 275 წლის-თავისთვის ორი გამოცემის, „ხელოვნებისა“ და „მისტეცტვოს“ (რაც უკრაინულად ასევე „ხელოვნებას“ ნიშნავს) ერთობლივი ძალისხმევით „დავითიანი“ გამოცემა სამ - ქართულ, უკრაინულ და რუსულ - ენებზე, რომელიც ფოტოხელოვან ევგენი დერლემენკოს ჩინებული სლიდებით იყო გაფორმებული.

მიკოლა ბაჟანი აკონტროლებდა ნიგნის მომზადების ყველა ეტაპს - მაკეტის მომზადებით დაწყებული და საკორექტურო ანაბეჭდების კითხვით დამთავრებული. კიევის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზში, სადაც 1980 წლის 15 ოქტომბერს მიკოლა ბაჟანის თავმჯდომარეობით გურამიშვილის დაბადების 275 წლისთავი აღინიშნა, ამ გამოცემის შესაძენად უშველებელი რიგი იდგა. იქვე შეიძლება დადგინდეს გურამიშვილის კიდევ ერთი, ქართულ-უკრაინული, კრებულის შექმნა, რომელიც მკითხველებს ხარკოვულმა გამოცემლობა „პრაპორმა“ („დროშა“) უძღვნა. მე

ძალიან გაგიჭირდეს, დამირეკეთ პირდაპირ პალატაში, ერთად ვილონო რამე! „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისას მქონია შემთხვევა, როცა მეოთხე რითმისთვის ირპენში, მაქსიმ რილსკისთან მივხვინა!“

სანამ თარგმანს ვუკირკიტებდი, მიკოლა ბაჟანი საავადმყოფოდან გამოეწერა, და, აჰა, ვზივარ პოეტის სამინაო კაბინეტში, სადაც იგი ფანქრით ხელში კითხულობს ჩემს მრავალტანჯულ თარგმანს. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ საცაა გავიგონებ მძიმე ამოხვევას და თანაგრძობით წარმოთქმულ „მდა-ა-ას“, მაგრამ ჩემდა გასაოცრად ბაჟანი მიქებს თარგმანს, რასაც ბოლოში მინერული მცირე რეცენზიითაც ადასტურებს: „მე ნავიკითხვარაულ ჩილაჩავას მიერ თარგმნილი ეს სტროფები, მივეცი მთარგმნელს რამდენიმე მეთოდურ ხარისხობრივ შენიშვნას. საერთოდ კი მიმაჩნია, რომ ამ თარგმანის დაბეჭდვა შეიძლება - პოეტური ფორმის თვალსაზრისით იგი დამაკმაყოფილებელია, შინაარსის მხრივ კი რაულ ჩილაჩავას ჩემზე მეტი გაეგება.“

მიკოლა ბაჟანის ამგვარი ნაქეზებითა და

ჩიქოვანის პოემას „სიმღერა დავის გურამიშვილზე“.

ორმოცდაათიანი წლებით დასაწყისში ბაჟანმა ქართველი ერის პოეზიის ორტომიანი ანთოლოგიის გამოცემა გადაწყვიტა, მაგრამ ჩანაფიქრის განხორციელება გაუჭიანურდა. ანთოლოგიაზე მუშაობა სამ წელიწადს გრძელდებოდა. 1961 წლის აპრილში ხელი მოეწერა და სულ მალე მკითხველამდე მივიდა ორმოცდაათი თაბახამდე საერთო მოცულობის ორ ტომი, რომელსაც ერთვოდა ნინასიტყვაობა და ბიო-ბიბლიოგრაფიული მონაცემები ავტორთა შესახებ. მთარგმნელთა შორის იყვნენ პ. ტიჩინა, მ. რილსკი, ვ. სოსიურა, ა. მალიშკო, ლ. პერეგომასკი, ო. გონჩარი და სხვები.

„ქართველი ერის პოეზიის“ ორტომიანი გამოცემა ორი მომე ერის ლიტერატურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. უკრაინული მკითხველს პირველად მიეცა შესაძლებლობა თვალსაზრისით ქართული პოეტური ხელოვნების მრავალსაუკუნოვანი გზისთვის „ლილოდან“ დაწყებული და დამთავრებული მამინ ახალგაზრდა ანა კალანდაძისა

ში დაბრუნება.

ფასანაურში იგი ფიქრით უბრუნდებოდა შორეულ 1935 წელს, როცა ასეთივე მოგზაურობისას არაგვის პირზე მანქანას, რომელიც მასთან ერთად ისხდნენ ვასო გორგაძე, ილო მოსაშვილი და ალექსანდრე ქუთათელი, წინა ბორბალი მოსძვრა, საბედნიეროდ, მანქანა წელა მიდოდა და მძღოლმა დამჭირუჭება მოასწრო (ამის თაობაზე ბაჟანმა წერილით მოუთხრო ვიქტორ გოლცევს).

სხვათა შორის, ქართველ მეგობრებთან მოგზაურობისას ბაჟანს რალაცხარი ბედისწერა დასდევდა თან. მსგავსი ამბავი განმეორდა უკვე 50-იან წლებში, როცა იგი მირგოროდის დავის გურამიშვილის სახელობის სკოლიდან სიმონ და მარიკა ჩიქოვანებთან ერთად ბრუნდებოდა. იყო ღამე. შემხვედრმა მანქანამ, რომლის მძღოლსაც, როგორც ჩანდა, ჩასათვლიდა, ბაჟანის „ხორხს“ მძღავრად გაჰყარა გვერდი. ყველაფერი შეიძლება ცუდად დამთავრებულიყო, მაგრამ საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა.

ამ გზასთან იყო დაკავშირებული ბაჟანის დაუვიწყარი მოგონებები ფშავ-ხევსურეთში მოგზაურობაზე, როცა ის და სიმონ ჩიქოვანი ვიქტორ გოლცევსა და ბესარიონ საიანოვთან ერთად გაემართნენ საქართველოს მთების გულისკენ, სადაც ჯერ კიდევ ვერ აღენია XX საუკუნის სიკეთეს: ელექტრობა, ტელეფონი, ტელეგრაფი და გზაც ის-ის იყო გააწყვდათ. მანქანა არაერთგზის დაკიდულა უფსკრულის პირზე, ძლიერ დასხტომია კლდეებიდან ნამოსული ქვების ნიაღვარს, სხვა ბევრი ხიფათიც შემთხვევით, მაგრამ ქართველი ყოფილი, ადათ-წესების, ეროვნული ბუნების შეცნობის წყურვილი იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ განსაცდელი არად ჩაუგდია, მით უფრო, რომ გვერდით ისეთი უბადლო ჩიჩქრონე ჰყავდა, როგორც სიმონ ჩიქოვანი იყო.

სანამ ამ მხარეში პირველად მოხვედრილი უკრაინელი მწერლები მზერას ვერ წყვეტდნენ არაგვის წარმტაც ხეობას, ბაჟანის ხსოვნაში ამოტივტივდა თითქმის ოცდაათი წლის წინანდელი შემთხვევა, როცა ბარისახოში რაინდულ ორთაბრძოლას შეესწრო, არა თეატრალიზებულსა და დადგმულს, არამედ ფარხმლიან ვაჟკაცთა ნამდვილ დუელს, როგორც ეს ვალტერ სკოტის ან ბარნოვის რომანებში ამოეკითხა. ორთაბრძოლა უმალ შეწყდა, როგორც კი ქალებმა მოქიშვეებს შუაში მანდილები ჩაუგდეს. სიმონმა აუხსნა, რომ მანდილი მშვიდობის ნიშანია და მისი უგულვებელყოფა არავის შეუძლია.

იმ მოგზაურობისას ბაჟანი დაკრძალვის ჩვეულებამაც განაცვიფრა. ხახმატი რომელიც ხევსურის მეულეს კრძალავდნენ. გულამოსკვილად მოთქვამდნენ ქალები, მდუმარედ თავდახრილი იდგნენ მამაკაცები. ხევისბერი ნახევრდნარმართულ, ნახევრადქრისტიანულ ლოცვას წარმოთქვამდა, სოფლის ყმანვლები კი მიცვალვების ხსოვნის პატივსაცემად დოლისთვის ემზადებოდნენ. „ეს პატარა და ფხვარული ცხენები, - უხსნიდა მას სიმონი, - თავბრუდამხვევი ბილიკებით გაქროლდებიან, გამარჯვებულს კი შეხვდება ჭიპიტაურით სავსე ყანბი, ხმელი ყველის ნაჭერი, ცოტადენი ხაშლამა და სახეიმო შაირით წარმოთქმული ხევისბერის მჭევრმეტყველური სადღეგრძელო.“

მოგონებები... მოგონებები... ისინი არ სტოვებდნენ პოეტს მთელი იმ ათი დღის განმავლობაში. ამჯერად მას უკვე არ ახლდა თან სიმონი. მძიმე სენით მზერანარმართულს აღარ შეეძლო კვლავ გაეყო მღელვარე და ამავედროულად ბედნიერი სიჭაბუკის ბილიკებით. საუკუნო წყვილად ჩაფლულსაც თავი ვაჟკაცურად ეჭირა და როცა ბაჟანმა იგი უკრაინელ მწერლებთან ერთად მოინახულა, ჭიქაც კი ასწია. მარიკას მოწმობით, ბაჟანი სულ ტიროდა, ცრემლს ვერ იკავებდა.


მეგობრის ავადმყოფობის ამბავი მან საქართველოში ჩამოსვლამდე გაიგო და ყველანაირად ცდილობდა რითიმე დახმარებოდა.

დაიხ, სიმონი უკვე აღარ იყო ის სიმონი, რომელთანაც გაბმული ქიფის შემდეგ თურმე საბნის ნაცვლად ლიბქვეშ შექმნენ და დლით გიჟბრვივთ ხარხარებდნენ, რადგან საწოლის ზამბარები სხეულზე ვაფლის უჯრედებით ალბეჭდოდათ...

სიმონი უკვე აღარ იყო ის სიმონი, რომელთანაც მოგზაურობდა სამეგრელოს გზებზე, დაეხეტებოდა ვარძიის დარბაზებში, იჯდა ვანიარის ბებერ თელებქვეშ და გოეთესა და შილერის პოეზიაზე, ომისმემდგომი კაცობრივის ბედზე მსჯელობდა... (ეს მოგონებები შემდგომ საფუძვლად დაედება მის შესანიშნავ ესსე „იგი მთებს ესაუბრებოდა.“ ხელნაწერში, რომელიც ბაჟანმა სათარგმნად გადმოცა, მას ერქვა „სიმონთან ერთად“. სწორედ ამ სათაურით დაიბეჭდა იგი გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“.

მეგობრის უბედურებით შეწვეული მიკოლა ბაჟანი ცდილობდა ემოციებით მოეთოკა და სხვებისთვის გუნება არ გაეფუჭებინა. გარეგნულად თითქოს ცივი და მკაცრი, იგი მუქისმეტად სათუთი და მგრძობიარე იყო, მაგრამ ხალხში ამის გამოჩენას ერიდებოდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



რაულ ჩილაჩავა

როგორს პოეზის ორი უპირი

მიკოლა ბაჟანის დაბადების 120 წლისთავის აღსანიშნავად



მხარდაჭერით ჩემი თარგმანი აღმოჩნდა იმ განთქმულ გამოცემაში (როცა მოგვიანებით საკავშირო პედაგოგიური აკადემიის მიერ გამოცემულ სასკოლო ქრესტომათიაში ჩემი თარგმანი ზაბოლოცკის მიანერეს, ერთგვარი სიამაგის გრძნობაც კი დამეუფლა).

მიკოლა ბაჟანმა იცოდა, რომ ექიმები მას ნებას არ დართავდნენ გურამიშვილის დღეებში მონაწილეობისთვის თბილისში გამგზავრებაზე, თუმცა გულის სიღრმეში რალაც სასწაულის იმედი, ალბათ, მაინც ჰქონდა: ვინ იცის, იქნებ ბედა გამოლიმოსო.

სასწაული, სამწუხაროდ, არ მოხდა და უკრაინის დელეგაცია პ. ზაგრებელის, დ. კოსარიკის, ი. დრაჩის, ვ. კოროტიჩის, ო. ნოვიცკის, ა. ნიმენკოსა და ამ სტრუქტურების ავტორის შემაჯავებლობით თბილისში უბაჟანოდ გაფრინდა.

იმ დღეებში მას სამოცდათექვსმეტი წელი უსრულდებოდა და მასპინძლებს სრული საფუძველი ჰქონდათ „დავითიანის“ ავტორი ჩინებულ მთარგმნელთან ერთად ეხსენებინათ. როცა საიუბილეო დღესასწაულმა უკრაინის მინაზე გადმოინაცვლა და უკვე ქართველი მწერლები ეწვივნენ კიევს, მიკოლა ბაჟანი კვლავ აღმოჩნდა მადლიერი სტუმარ-მასპინძლების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში.

იმ საღამოს მე ერთხელ კიდევ დავრწმუნდი პოეტის მიერ ჩემთვის ოდესმეც ნათქვამის სისწორეში: რაც უფრო მეტს დათესავ სიჭაბუკეში, მის უფრო მეტს მოიმკი სიმნიფის წლებში. მე ხშირად მექმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ იგი ნიადაგ თესავდა, რაც ქართულ ლიტერატურაზე მის განსაკუთრებულ ზრუნვამაც გამოიხატებოდა. ერთ ნაწარმოებზე მუშაობისას სხვა საზრუნავითაც იყო გართული: რუსთაველის პარალელურად დასაბეჭდად ამზადებდა აკაკი წერეთლისა და სიმონ ჩიქოვანის ლექსებს, „დავითიანის“ თარგმნისას ადგენდა სანდრო მანშიაშვილის „რჩეულს“, ახალი თარგმანებით ავსებდა აკაკის „რჩეულის“ გამოცემას, თარგმნიდა სიმონ

და მუხრან მაჭავარიანის ლექსებით.

ამასობაში მიკოლა ბაჟანს ახალი მაცდური იდეა გასწინებდა, რომელსაც, როგორც ყოველთვის, სიმონ ჩიქოვანს უზიარებდა.

„მე აქ ახალგაზრდა პოეტებთან ერთად ჩაეთიქვე თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგიის მსგავსი რალაცის გაკეთება (მამინ სხვადასხვა მიზეზთა გამო ამ ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოხერხდა. ახალგაზრდული ქართული პოეზიის ანთოლოგია „მზის მტვენი“ გამოვიდა 1970 წელს გამოცემლობა „მოლოდინი“, მომზადებული ბაჟანის მონაწილეობის მიერ, მაგრამ თავად მისი მონაწილეობის გარეშე.“ მწიფი ამ თვითდაჯერებულ ყმანვილ ხალხთან მუშაობა. მას უნდა გაუჯავრდე და ასწავლი, საამისოდ კი ძალა არ მყოფნის. მართალია, ბევრი გაჯავრება საჭირო არაა - მათ ისედაც საკმაოდ გაუჯავრდნენ.“ ეს ნაწყვეტი 1964 წლის 3 აგვისტოს გაგზავნილი წერილიდანაა. მიკოლა ბაჟანს მხედველობაში ჰყავდა დ. პავლიჩკო, ი. დრაჩი, ვ. კოროტიჩი და სხვები, რომლებიც თამამად არღვევდნენ ძველ სტერეოტიპებს და ამკვიდრებდნენ ახალ პოეტურ ანოვონებას.

ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენა და მათი მხარდაჭერა მიკოლა ბაჟანის შინაგანი მოთხოვნა იყო. ამიტომაც ნაიყვანა მან ზემოთხაზოთვლილი პოეტები საქართველოში უკრაინული ლიტერატურის დეკადაზე.

დეკადა, რომელიც საქართველოში ორიდან თორმეტ ოქტომბრამდე დატარდა, მიკოლა ბაჟანის 60 წლის იუბილეს აღებობდა. ეს იყო ქართული მწერლობის ჯერ კიდევ ბედნიერი ხანა, როცა მის ცისკიდურზე კამკაშებდნენ კ. გამსახურდიას, გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილის, ს. ჩიქოვანის (თუმცა თვალისჩინი წართმეგია, ინტენსიურად მუშაობს) ვარსკვლავები.

შემდგომში მიკოლა ბაჟანი იხსენებდა, რომ მსგავსი დაბადების დღე არც მანამდე და არც შემდეგ არ ჰქონია. დეკადა მისთვის იყო სიჭაბუკეში მოგზაურობა, „ვეფხისტყაოსნისა“ და „დავითიანის“ მთავონებით თარგმნის წლებ-

წილად მერგო ვყოფილიყავი ამ ნიგნის პასუხისმგებელი რედაქტორი. მართალია, მთელი ჩემი „პასუხისმგებლობა“ თარგმანის დედანთან შეჯერებასა და მათ ზუსტად შეპირისპირებაში გამოიხატებოდა. ამისთვის კვირეობით ვიჯექი თბილისისა და ხარკოვის სტამბებში და ერთდროულად ვასრულებდი კორექტორის თუ შემოწმებლის როლს, რათა უკრაინელ მბეჭდავებს ქართული ტექსტები ერთმანეთში არ არეოდათ (კრებულს, ჩემ გარდა, კიდევ ორი სპეციალური ჰყავდა, ზაურ მოლაშხია და ოლგა ულიმჩენკო).

აქვე ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ხსენებულ სამეზობან გამოცემაშიც მომიხდა მცირეოდენი ნელიის შეტანა. შემთხვევა იმდენად უჩვეულო იყო, რომ ამასვეც ღირს ორიოდ სიტყვის თქმა.

ნიგნები უნდა დაბეჭდილიყო საზღვარგარეთის პოლიგრაფიულ ბაზაზე, იუგოსლავიაში. მაკეტის შედგენისას აღმოჩნდა, რომ რუსულ თარგმანს აკლდა თავი „ქართველ უფალთა მეგავრტომობის იგავი“. ზაბოლოცკის იგი რალაც მიზეზის გამო გამოეტოვებინა (ჩემი აზრით, მიზეზი თვით იმ თავის შინაარსი იყო. გურამიშვილი პოეტურად გადმოგვიცხა ცნობილ ვერსიას ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ბიბლიური წარმოშობაზე, რაც ლიტერატურის მაშინდელ კანონმდებლებს შეიძლება დაუშვებელ სითამამედ მოსჩვენებოდათ ან იქნებ სულაც თანამედროვე კონსერვატიურად კარგად გარკვეულმა მთარგმნელმა აარიდა თავი ხათაბალას). არადა ქართულ-უკრაინულ-რუსული ტექსტების მოცულობა იდენტური უნდა ყოფილიყო. შეიქმნა გამოტოვებული თავის სასწრაფოდ თარგმნის აუცილებლობა. ირღვეოდა სტამბის გრაფიკი, რაც გამოცემლობას ჯარბით ემუქრებოდა.

მიკოლა ბაჟანი იმხანად საავადმყოფოში იწვა, მაგრამ, სისუსტის მიუხედავად, სიტუაციის გამოსწორებას შეეცადა. დაამირეკა, საქმის ვითარება ამისხნა და მოხრა:

პნკარედის გასაკეთებლად და მთარგმნელის მოსაძებნად დრო აღარა გავქვს, ამიტომ სცადეთ, ის თავი თვითონვე თარგმნით. გაძლევთ საამისოდ ერთ კვირას. ამ შემთავაზემამ გამოაგნა და, ცხადია, უარი ვუთხარი, მე ხომ ლექსი რუსულად არასოდეს მთარგმნა. მით უფრო, რომ საქმე ესებოდა „დავითიანის“ მთელ თავს, რომელიც ბუნებრივად უნდა შეხამებოდა ისეთი ოსტატის თარგმანს, როგორც ნიკოლოზ ზაბოლოცკი გახლდათ.

ბაჟანმა ჩემს არგუმენტებს ყური არ ათხოვა და გასამხნეველად მითხრა: „სცადეთ, ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება. როცა

წიგნი

სწორად წამოკითხვას, ადრეულ წლებში, რასაკვირველია, მსმენია კიდევ, ამერიკელები ნიგნს არ ეტანებიანო. ამაზე ისე დაბეჯითებით წერდნენ, ლაპარაკობდნენ, თითქმის მჯეროდა. თუმცა, ვკვირობდი: თუ ნიგნთან უბრადა არიან, როგორ შეიძლება ასეთი დიდი მწერლები, თანაც ამდენი, ჰყავდეს ასეთი ხანმოკლე ისტორიის, ახალგაზრდა ქვეყანას-მეთქი. მერე ამ დიდ ნაკლს უმწეო გამართლება მოეძებნე: ტექნიკის, სამხედრო ძლიერებაზე, ბიზნესის, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე გამუდმებული ზრუნვა და ფიქრი, მთელ მათს დროსა და ენერჯიას ნთქავს-მეთქი. საბუთი, მართლაც უმწეოა, მაგრამ ასე იყო, ასე ვფიქრობდი მანამ სანამ ამერიკის ყოფას გადავავლებდი, ასე თუ ისე გავეცნობოდი. ამის საშუალება მოგვიანებით მომეცა და აი, როგორ: ერთობ სოლიდური ავტორიტეტული ორგანიზაცია - ამერიკის ებრაელთა კომიტეტი ყოველწელს, მაისის ბოლოს-ივნისის დამდეგს, ვაშინგტონში აწყობს ნიგნის წლიურ კრებას. ამ კრებების მუშაობაში მონაწილეობენ ყველა კონტინენტის გამოჩენილი ებრაელი მოღვაწეები. აქ განიხილება მსოფლიოს ებრაელობაში მიმდინარე პროცესების ავ-კარგი, ისრაელისა და არაბული ქვეყნების ურთიერთობა, ანტისემიტიზმის საკითხები და სხვ. მოხსენებებით გამოდიან, დებატებში მონაწილეობენ სახელმწიფოთა ადრინდელი და მოქმედი მეთაურები, მინისტრები (მეტწილად, საგარეო საქმეთა), ქრისტიანული, ისლამური, იუდეური, თუ სხვა კონფესიის წარმომადგენლები. უწინარესი, ცხადია, იმის მოსმენა-გაგებაა, თუ როგორია ამა თუ იმ ქვეყნის ებრაელთა ყოფა, აბორიგენი მოსახლეობის, სიუზერენთა დამოკიდებულება მოსეს რჯულის მიმდევართად და ა.შ.

ვაშინგტონში, აშშ ებრაელთა წლიურ კრებაზე პირველად 2005 წელს მიიწვიეს და წვედი კიდევ არც იმ 2005 და არც მომდევნო წელს მომხდარა ის, რაც ამ სტრიქონებს მანერინებს. ეს მოხდა მაშინ, როცა ავლელ ალო, თუ რომელი სხდომა, რომელი მეცნიერის, რელიგიური, თუ სახელმწიფო მოღვაწის გამოსვლის გამოტოვება არ იქნებოდა. დანარჩენ დროს ვაშინგტონის ერთ ქუჩაზე ჩამწკრივებულ დიდებულ მუზეუმებს ვსტუმრობდი. მე-15 ქუჩაზე ნიგნების ჩინებული მალაზია მოგვიანებით აღმოვაჩინე და 12 საათისათვის სხდომებიდან გამოსული, იქით გავემართები ხოლმე. სწორედ მე-15 ქუჩის ნიგნის მალაზიაში მარვენა ამერიკელთა მიმართება ნიგნთან, სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება ნიგნისადმი. ჩვენ სხვაგვარად ჩავგვახლოდნენ, საქმესულ სხვაგვარად ყოფილა: როგორც უკვე ითქვა, ამ მალაზიაში დაახლოებით 12 საათისათვის მივდივარ. უზარმაზარია, ორსართულიანი. მყიდველები ორივე სართულზე ირევიან, მკითხველებიც. კედელთან, ერთ მწკრივში პანია მრავალი მაგიდები დგას, საგარდლებიც. სხედან და ნება-ნება ათვალაიერებენ, ეცნობიან ნიგნებს, მათთვის საინტერესო ლიტერატურას. ლიტერატურა კი სრულიად სხვადასხვა ხასიათისაა. მეც აუჩქარებლად ვათვალაიერებ ნიგნებს, ვეცნობი ავტორებს, ტექნიკურ, დიზაინის შესრულების დონეს, მანტერესებს, მყიდველი რომელ ავტორს, რა ხასიათის ლიტერატურას უფრო ეტანება, პროზას თუ პოეზიას, სათავადასავლოს თუ სამეცნიეროს, მხატვრულსა თუ დოკუმენტურს. იმ დღეს, ვიდრე ორივე სართულს ვათვალაიერებდი, ვეცნობოდი ადამიანისა და ნიგნის ურთიერთობას, პანია მავიდასთანაც ჩამოვჯდებოდი და უბის ნიგნაკში იმას ჩავინიშნავდი, რაც აუცილებლად მიმარჩნდა. დიდი დრო გასულა, სადაცაა ორი საათი გახდებოდა. გეოგრაფიის მუზეუმში მიმეჩქარება. იქ იუდას სახარების ეგვიპტეში აღმოჩენილი რამდენიმე პერგამენტია გამოფენილი. გასასვლელისაკენ მივემუხრები და...

დაუჯერებელი სურათის მხილველი შევიქენი: სალაროებთან დიდძალი ხალხი დგას. სამი თუ ოთხი მოლარე გამალბული მუშაობს. შესვენების საათი იწურება, ადამიანებს ილიებში ნიგნები აქვთ ამოჩრილი. დგანან და ელოდებიან, როდის, გადაიხადიან შექენილი ნიგნების საფასურს. რიგში დგომით თავგაბეზრებული ადამიანების ხილვამ, რიგი კი იზრდებოდა და იზრდებოდა, გამაზარა და გამოაცა კიდევ. ესე იგი, არის ქვეყანა, არის ხალხი, რომელიც ნიგნისათვის არა მხოლოდ ფულს არ იბურებს, არამედ არც ძვირფას დროსა და ენერჯიას. აღარ შევყოვნებულვარ, გეოგრაფიული მუზეუმისაკენ გავემუხრე, მთელი გზა ნიგნის შექენის მსურველთა სახეები მედგა თვალწინ, მაგრამ ამ აღფრთოვანებას სხვა ფიქრიც მოსდევდა: „იქნებ, უბრალო დამთხვევაა, დამთხვევა,

ხვალ ასე არ იქნება!“
 რასაკვირველია, მომდევნო დღეს იმავე დროს მივაღიქვი მე-15 ქუჩის ნიგნის მალაზიას, შესვლა გამიჭირდა, სალაროებთან რიგში დიდძალი ხალხი იდგა.
 რაც ვაშინგტონში ვიყავი, შესვენების დროს ყოველთვის იმ მალაზიასთან მივდიოდი და ანალოგიური სურათი მხვდებოდა. მომდევნო წელს აშშ დედაქალაქში ჩასული, თითქოს რომელიმე ვანდასთან თუ ჯულიასთან პაემანი მქონდა დათქმული, ისევ იმ მალაზიასკენ გავემუხრე. იგივე სურათი რომ დამიხვდა, თავს გავუბრაზდი: „იმ სისულელის როგორ მჯეროდა, თუ ხალხი ნიგნთან არ არის, როგორ შეიძლება ასეთი ძლიერებას მიაღწიოს!“
 თურმე მეტი გაცოცხება თბილისში მელოდა: ქუჩაზე, რომელზეც ვცხოვრობ, ავტოსახელოსნობია ჩამწკრივებული. ერთ დღეს, შინ რომ მოვბრუნდი, ზაფხული იყო, ცხელოდა, ჩემი სახლის გვერდით, ავტოსახელოსნოსთან გელა ჩარკვიანი დავინახე, მანქანა მოეყვანა და შეკეთებას ელოდა. შინ შევიპატიუე: ამ სიტყვე-

გუკა გათიასვილი

სახეები და სიჭუასიები

ში, ადამიანებზე გაბრაზებული მზის ქვეშ რატომ უნდა იდგეთ-მეთქი. შევედით, მუსაიფს შევუყვით, საუბარი ამერიკაზე რომ ჩამოვარდა, ზემოთ ნაამბობი გავიხსენე, ამერიკელებით აღფრთოვანება არ დამიფარავს: შემთხვევით არაფერი ხდება, იმიტომაც არის დიდებული ქვეყანა, ნიგნთან რომ მეგობრობს-მეთქი.
 - ეგ რა არის, გურამ, - მეუბნება ბატონი გელა, - დღეს თბილისში ბევრი ამერიკელია. ზოგი დიპლომატიურ სამსახურშია, ზოგი ბიზნესის მისდევს, ზოგიც ამა თუ იმ ორგანიზაციის წარმომადგენელია, ან უძღვება, ერთი სიტყვით, ბლომად არიან და შექმნილი აქვთ ნიგნის მოყვარულთა საზოგადოება...
 - აქ, თბილისში, ამერიკელები?
 - ეს საზოგადოება დაყოფილია ჯგუფებად, ჯგუფში ათამდე ადამიანია, ერთ-ერთის წევრი მეცა ვარ, თვეში ერთხელ ვიკრიბებით და ერთმანეთს ვუაბობთ, ამ ბოლო თვის განმავლობაში, რა წავითხეთ, წავითხულ ლიტერატურას მიმოვიხილავთ. თუ ერთი და იგივე ნიგნს რამდენიმე ადამიანს ნაუკითხავს, კარგი დისპუტიც გამოგვდის, სერიოზული ლიტერატურული კამათი, რომელიც საბოლოო ჯამში სცილდება ერთ ნიგნზე საუბრის ფარგლებს.
 ახლა მე რომ დავწერო, აშშ-ის სიდადე იმ დიდ ბურჯზე დგას, რომელსაც ადამიანის სულში ნიგნი ქმნის-მეთქი, მავანი ალბათ, ჩაიქირქილებს, ნიგნის კაცია და სხვას რას იტყვისო.

აა ვიღოვით, კვლავ აგ გიტი...

ჩვენი საუკუნის პირველ ათწლეულში ძლიერ მენადა, თბილისში, ამ უძველეს ქალაქში, ყოფილიყო იუდეის დიდი მეფის, ფსალმუნთა შემქმნელის, დავითისა და მისი ძის, შლომო ჰა მელეხის, სოლომონ მეფის სახელობის ქუჩები. მახსოვდა, არ მაგინწყებოდა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან პირველი შეხვედრისას, მის მიერ ნათქვამი: საქართველოში არ არისო წუთი, რომ დავითის ფსალმუნს არ იკითხებოდეს, ფსალმუნები ყოველ ეკლესიაში, ყოველ წუთს იკითხებოთ.
 ჩემი მიზნის მისაღწევად თბილისის ორ ქუჩაზე დიდ მეფეთა სახელების მინიჭების თაობაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის მოსაზრება მინტერესებდა. ჩემი ამ ძლიერი სურვილითა და ამ საქმეზე ზრუნვით, უნებურად რაიმე შეცდომას ხომ არ ვუშვებდი, სხვათა ღირსებას ხომ არ ხელვყოფდი. კათოლიკოს-პატრიარქის მდივან-რეფერენტს დავურეკე, მისი უწმინდესობის ნახვა მნადა-მეთქი. შორენამ გახეხვარ საათში გადმომიჩვენა, მობრძანდით, გახლოდებოთ. მივედი. უწმინდესი და უნეტარესი დაკავებული გახლდათ. დროის მოსაკლავად ფოიეში გავედი. კედლები საქართველოს ადრინდელი წლების კათოლიკოს-პატრიარქების სურათებით გახლდათ მოფენილი. კედლებიდან გადმოწყურებდნენ შთაგო-

ნებული მზერის, რწმენით გასხივოსნებული ადამიანების სახეები. არ დავფარავ: მე, იუდეველი, ყოველი მათგანის მიმართ პატივისცემით ვივსებოდი. რატომ? იუდეველი ვარ, მჯეროდა, მჯერა - სიცოცხლის ბოლომდე ასეც იქნება - სამყაროს გამსახავის, უზენაესის მიერ ჩვენთვის ბოძებული რწმენის ორ დაფაზე აღბეჭდილი მოძღვრებისა, ვცდილობ, მცნებებს ვიცავდე, ვცხოვრობდე, როგორც იუდეველი.
 მაშ, რატომ ვივსებოდი ესოდენი პატივისცემით კედლებზე გამოფენილი ქართველი ქრისტიანთა სულიერი მოძღვრების, ადრეული წლების საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების სახეებთან მიმართ?
 ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ საქართველოში არ იყო ანტისემიტიზმი, დროდრო ადგილი ჰქონდა ცალკეულ ანტისემიტურ აქტებს, როგორ არ ჰქონდა, მაგრამ იმ ოცდაექვსი საუკუნის (და იქნებ, მეტისაც) განმავლობაში, რაც ებრაელობა საქართველოში ცხოვრობს, არ ყოფილა ებრაელთა რბევა. ქართველი ხალხი პირნათელია კაცობრიობისა და მომავლის წინაშე,

მის სულს არ გაჰკარებია ანტისემიტიზმის ბაცილები. ქართველები იყვნენ სულით ხორცამდე ქრისტიანები, ჰყავდათ ქრისტიანობისათვის თავდადებულნი, ნამებულნიც, მაგრამ სხვათა რწმენის იავარყოფა, შელახვა არ უცდიათ. იცავდნენ თავისა და სხვებისაც აძლევენ თავთავიანთი რწმენით ცხოვრების საშუალებას.
 ერთი ვინ ამკვიდრებდა ამ სულსკვეთებს? ვინ ჩააგონებდა მას კაცთმოყვარეობას, სხვათა მიმართ პატივისცემას, გამტანობას? ქართველი მღვდელმთავრები იყვნენ ქართველი კაცის სულიერების შტამაგონებელნი... ასე ზრდიდნენ თაობებს, ასე მოვიდნენ დღემდე და ჩემი დიდი პატივისცემა კედლებზე გადმოფენილ პერსონათა მიმართ, ამით გახლდათ განპირობებული.
 იუდეის მეფეთა, დავითისა და სოლომონის სახელობის ქუჩები? ვცდილობდი, გარჯას არ ვაკლებდი, რომ ამათი სახელობის ქუჩები ყოფილიყო თბილის-ქალაქში. გარჯა დამიფარდა, მიზანს მივალნი: რამდენიმე ხანში ქალაქის მეცხვერებმა სათანადო დამდგენილება გამოიტანეს და 2007 წელს მეტეხის აღმართზე ქუჩებზე სახელის მინიჭების ცერემონიაც შედგა. ამ დიდ ადამიანთა სახელის მისანიჭებელი შესაბამისი ადგილების ამ უბანში მოძიებაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიიჩნია, ე, მანდ, ბადრი პატარკაციშვილის შემწეობით დავითის სახელობის ტაძარიც ჩავდგით და იქნებ რაიმეს მიაკვლიოთ. მივაკვლიე და პირველი მას ვახარე. გახსნის ცერემონიაზე მობრძანდა, ჩინებული სიტყვაც წარმოთქვა, ისევე, როგორც საქართველოს მთავარმა რაბინმა, არიელ ლევიმმა.
 ასე ვვიდოდით, ასევე უნდა ვიაროთ!

„არაკლე მეორის ეპოქის თეატრი“
 კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა დრო, როცა ქართული თეატრის წარსულისა და ამჟამინდელი მდგომარეობის ჩვენი მწერლობა ირჯებოდა. ამით მწერლებმა დიდი სამსახური გაუწიეს ეროვნულ კულტურას. დღეს სრულიად სხვა გარემოებაა, ქართული თეატრმცოდნეობა ძლიერ სამეცნიერო-მეცნიერებით ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. მას ძალი შესწევს, წარმოაჩინოს წარსული და დღევანდელი თეატრისა და მომავალსაც მოავლის თვალთა. ამ მოსაზრების გამოთქმის უფლებას ქართველ თეატრალოგთა ნაყოფიერი შრომა მძღვეს. ამჯერად კი მინდა, ლაშა ჩხარტიშვილის ნიგნ-ალბომზე „ერეკლე მეორის ეპოქის თეატრი“, ჩინებულად შედგენილ და გამოცემულ ნიგნზე, ვთქვა ორიოდ სიტყვა.
 ლაშას ამ ნიგნმა გარდასული წლები გამახსენა, დრო, როცა ყურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორი გახლდით: ყურნალს ჰყავდა ავტორთა ჩინებული წრე, უფროსი თაობის თეატრმცოდნეები, რომლებიც გულდაგულ

თანამშრომლობდნენ ჩვენს ყურნალთან. ქვეყნებოდა პროფესიონალიზმით აღბეჭდილი მათი სტატიები, რეცენზიები. ეს ძალიან კარგი იყო, მათს გარჯას დიდ პატივს მივაგებდი, მაგრამ ყურნალის ფურცლებზე თითქმის არ ჩანდნენ ახალი თაობის თეატრმცოდნეები. ეს კი მაფიქრებდა, რადგან მენადა ავტორთა შორის სწორდ ახალი თაობის თეატრალოგებიც ყოფილიყვნენ. მნამს, მჯერა: ახალი თაობის პროფესიული ზრდა ყურნალ-გაზეთებთან ინტენსიური თანამშრომლობით, ხშირად ბეჭდვით არის შესაძლებელი.

თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პრორექტორმა, პროფესორმა ვასილ კიკნაძემ რომ დამირეკა, ისე კარგად მახსოვს, თითქოს გუშინ იყო:

- ორ ძალიან კარგ ბიჭს გიგზავნი: ნერონ აბულაქსა და ლაშა ჩხარტიშვილს. გაულე „თეატრი და ცხოვრების“ კარი!

ცხადია, გავუღე. ნერონი, როგორც მთელი კაცი, აუჩქარებლად ირჯებოდა. აი, ლაშა ჩხარტიშვილს კი ნახალისება არ სჭირდებოდა, ერთობ აქტიურობდა. მისი გზა მაგონებდა მისივე ოსტატის, ვასილ კიკნაძის მიერ განვილილ გზას.

დროს ცვლილებებიც მოჰქონდა: ლაშა ჩხარტიშვილის წერილები, რეცენზიები სისტემატურად იბეჭდებოდა „თეატრი და ცხოვრების“ ფურცლებზე, ყოველ ნომერში. შემოქმედებითად სწორედ აქტიური, ნაყოფიერი შრომა ზრდის მონადინებულ ახალგაზრდას. მახსოვს, ერთ ნომერში ლაშას სამი მასალა იყო დაბეჭდილი. ერთმა სახელმწიფოებრივმა და ჩინებულმა თეატრალოგმა შემომამხა, რა ამბავია ამდენი ჩხარტიშვილი. აბა, რა მექნა, თუ ახალგაზრდა თეატრალოგი ჩვენი თეატრის ცხოვრებას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა და ყურნალს კარგ მასალას აწოდებდა? რატომ უნდა დამეზრუტებინა ახალგაზრდა თეატრალოგის შემოქმედებითი ზრდა?

და დღეს წინ მიდევს პროფესორ ლაშა ჩხარტიშვილის გარჯის კიდევ ერთი ნაყოფი, რომელიც ჩვენი თეატრალოგის წინსვლა-გარჯის ერთ-ერთი დასტურია „ერეკლე მეორის ეპოქის თეატრი“. ლაშა ისევე კარგი მკვლევარი-მეისტორიე ყოფილა, როგორც სადღესო თეატრალური პროცესების წარმომჩენი. შემოძლია დაწერილობით აღწერო ეს ნიგნი, გაიამბოთ, თუ რა როგორ გახლავთ მასში წარმოდგენილი, მაგრამ ამას არ ვიზამ. სჯობს თავად მოიძიოთ იგი და ფურცელ-ფურცელ გავეცნოთ. თავადვე დარწმუნდებით, როდენ გარჯილა ავტორი, როგორ შეუსწავლია ეპოქის თეატრი, თავად ეპოქა, პიროვნებები, რომლებიც ამ ეპოქას ქმნიდნენ.
 ასე აჯობებს!

P.S. ადამიანური სისუსტენი ისევე მახასიათებს, როგორც სხვებს: გულისცემა მიჩქარდება, როცა ამა თუ იმ ავტორის ნიგნის სქოლიოს ჩახედავ და ვხედავ რამდენი საინტერესო, ქართული თეატრის საკვანძო საკითხების წარმომჩენი მასალა დაბეჭდილია „თეატრალური მოამბისა“ და „თეატრი და ცხოვრების“ ფურცლებზე.

ფ რ ა ზ ა

- ჩვენ ატომური იარაღი არა გვაქვს, მაგრამ თუ აუცილებლობის წინაშე აღმოვჩნდით, გამოვიყენებთ!

გასულელ საუკუნის 70-იან წლებში ისრაელის პრემიერ-მინისტრის, გოლდა მეირის ეს ცნობილი გამონათქვამი ერთობ პარადოქსულ ფრაზად მიმაჩნია.
 ისრაელი უარყოფდა იმას, რომ ატომურ იარაღს ფლობდა.
 მაგრამ ფრაზის პირველ ნაწილში რაც უარყო, ის დადასტურა ფრაზის მეორე ნაწილში.
 რატომ უარყო?
 იმ პოლიტიკური წრეების გასაგონად, რომლებიც ატომური იარაღის ფლობაზე კონტროლს ამყარებდა. სახელმწიფოებს, რომლებიც ამ იარაღის ფლობას დადასტურებდნენ, სხვადასხვა პირობებს უყენებდა.
 ასე რომ, ატომური იარაღი არა გვაქვსო.
 და მომდევნო ფრაზა:
 თუ დაგვჭირდა, გამოვიყენებთო.
 ეს ვილასთვის ითქვა?
 მეზობელი არაბული სახელმწიფოებისათვის, ძილშიც და თვალახეხილინც იმაზე რომ ფიქრობდნენ, როგორ მოესპოთ, გაენადგურებინათ ისრაელის სახელმწიფოო.
 როგორც გითხარით, ეს ყველაფერი წინა საუკუნის 70-იან წლებში იყო. მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა. არაფერი შეცვლილა. არც შეიცვლება. მუსლიმური სამყარო ვერ ურიგდება ისრაელის სახელმწიფოს არსებობას.



პაპაზ სურგულაძე

დიდი, გაპორჩიული, ღირსიული ანდრია აფაქიძე - 110

ამ წერილში არ ვისაუბრებ ბატონი ანდრია აფაქიძის მეცნიერულ დამსახურებაზე. ვეცდები, მკითხველს ცოტა სხვა კუთხით წარმოვუქინო მისი პიროვნება.

ბატონ ანდრია აფაქიძესთან ბევრი რამ მაკავშირებდა და ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა. ეს ორი მიზეზით იყო განპირობებული. პირველი, რომ ბატონი ანდრო და მამაჩემი ახლო მეგობრები იყვნენ და, აქედან გამომდინარე, მას ძალიან ხშირად ვხვდებოდი ხოლმე, მათ შორის ჩვენთან, ოჯახშიც. მეორე მიზეზი კი ჩვენი ხშირი ურთიერთობისა უკვე შემდგომ, საქართველოს საისტორიო საზოგადოებაში ჩვენი თანამშრომლობა იყო.

წინა საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოს საისტორიო საზოგადოებასთან მე და ჩემმა მეგობრებმა ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაცია დავაფუძნეთ. ცოტა მოგვიანებით კი ამ ასოციაციასთან სტუდენტ-ისტორიკოსთა ლიგაც შევქმენით. ამ ასოციაციისა და სხენებული ლიგის საქმიანობაში ის ახალგაზრდა ისტორიკოსები იყვნენ ჩართულნი, დღეს რომ უკვე ცნობილი მეცნიერები არიან.

საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე მაშინ ბატონი ანდრია აფაქიძე ბრძანდებოდა, თქვენი მონა-მორჩილი კი ახლად დაფუძნებულ ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციას ვხელმძღვანელობდი. ამიტომ ბატონ ანდროს საკმაოდ ხშირად ვხვდებოდი. ასოციაციის გამართული მუშაობის ასანყობად ჩვენი უფროსი კოლეგების მხარდაჭერა გვჭირდებოდა. ბატონი ანდროც განსაკუთრებულ, ვიტყვი, მამობრივ მზრუნველობას იჩენდა ჩვენდამი და სხვა უფროს კოლეგებსაც აქეთკენ მოუწოდებდა.

მასთან ხშირი ურთიერთობისას ბატონ ანდრომ თვალნათლივ ვხედავდი არა მარტო დიდ მეცნიერსა და მეცნიერების შესანიშნავ ორგანიზატორს, არამედ ძალიან თავმდაბალ, ბავშვით ემოციურ, რაინდული თვისებებით დაჯილდოებულ პიროვნებას. მეცნიერ-ისტორიკოსს, რომელიც თუ ამას საქართველოს ეროვნული ინტერესები მოითხოვდა, შეეძლო საოცრად პრინციპულიცა და შეუვალად ყოფილიყო. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კი იმის გაცნობიერება იყო, რომ შემოქმედს ბატონ ანდროსთვის, სხვა შესანიშნავ თვისებებთან ერთად, ადამიანებთან ურთიერთობის განსაკუთრებული ნიჭიც ჰქონდა დანათლებული.

მასთან ურთიერთობიდან ერთი ამბავი მინდა გავხსენო.

წინა საუკუნის 90-იანი წლები იდგა. ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციამ გადაწყვიტა ჩაგვეტარებინა სამეცნიერო კონფერენცია-დისკუსია, რომელიც საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის საკითხებს მიეძღვნებოდა.

მაშინ ვმუშაობდი დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტში, რომელიც „იმელის“ შენობაში იყო განთავსებული. ბატონ ანდროს ამ კონფერენციის ჩატარების საკითხი, რა თქმა უნდა, შევუთანხმეთ და მისგან დასტურიც მივიღეთ. გადასანყვეტი იყო საკითხი, თუ კონფერენციას სად ჩავატარებდით. ჩვენ გვინდოდა, რომ ის „იმელის“ სხდომათა დარბაზში ჩაგვეტარებინა, ამას გარკვეულ სიმბოლურ დათვით-თვისაც ვანიჭებდით. იმ პერიოდში ეროვნული მოძრაობა საკმაოდ მომძლავრებული იყო. ასევე აქტიურობდნენ ე. წ. „არაფორმალური გაერთიანებების“ წარმომადგენლებიც (მაშინ ასე ეძახდნენ). მათ კონფერენციის ჩატარების შესახებდა გაუგიათ და დასწრებასაც აპირებდნენ. შესაბამისმა სამსახურებმა ამის შესახებ შეიტყვეს და ზემდგომი ორგანოებიც

საქმის კურსში ჩააყენეს. იქიდანაც არ დააყოვნეს და „იმელის“ ხელმძღვანელობას ამ საკითხის მოგვარება დაავალეს. ჩემთან შემდგომი შეხვედრების შემდეგ მავანნი დარწმუნდნენ, რომ ჩვენ გადაწყვეტილებას არ შევიცვლიდით და ეს კონფერენცია აუცილებლად ჩატარდებოდა. მათ ისიც გაიაზრეს, რომ კონფერენციის „იმელში“ ჩატარებაზე უარის თქმა უხერხულ სიტუაციას შექმნიდა და საზოგადოებაში უფრო მეტ ხმაურსა და მიოქმამოტქმას გამოიწვევდა. ამიტომაც მის ჩატარებაზე დავგვანხმდნენ.

რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ ამის თაობაზე ბატონ ანდროს აუცილებლად საქმის კურსში ჩააყენებდნენ და ველოდი, ჩვენი შეხვედრისას საუბარში იგი ამ თემას როდის წამოწევდა. ჩვენმა რამდენიმე შეხვედრამ ისე ჩაიარა, რომ მას ამის შესახებ არაფერი უთქვამს. კონფერენციის ჩატარებამდე რამდენიმე დღით ადრე კი ბატონ ანდროს მამასთვის უთქვამს: „პაატას კარგი ჩანაფიქრი აქვს და ის ბოლომდე უნდა მივაგვიანინო“-ო. საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარის მხრიდან ასეთი მორალურ მხარდაჭერას მაშინ ჩვენივე, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

სხეუბული კონფერენცია-დისკუსია „1921 წლის 25 თებერვლი“ დანიშნულ დროს, 26 თებერვალს, დღის 12 საათზე „იმელის“ სააქტო დარბაზში ჩატარდა. მას, როგორც ველოდი, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მოხსენებების შემდეგ იყო შეკითხვებიც, აზრის გამოთქმაც, დისკუსია-კამათიც, თუმცა ჩვენი ეროვნული მოძრაობის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო კონფერენცია აკადემიურ ჩარჩოებს არ გასცდენია.

კონფერენციის მსვლელობისას ბატონი ანდრო, საისტორიო საზოგადოების სხვა ხელმძღვანელებთან ერთად, პრეზიდენტობის ბრძანდებოდა და ვაჭყობდი, ლელოვდა. თუმცა, კონფერენციის ბოლოს იგი სეფესიტყვით გამოვრძანდა და საზღვასით აღნიშნა, რომ ასეთი კონფერენცია-დისკუსიის პირველად ჩატარება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მარტო ქართველი ისტორიკოსებისთვის, არამედ მთლიანად ქართული საზოგადოებისათვის. საქართველოს საისტორიო საზოგადოების

თავმჯდომარემ წრფელი გულით შეგვაქო და კონფერენცია-დისკუსიის ჩატარებისათვის მადლობა გადაგვიხადა. ჩვენივე მისი ასეთი შეფასება, რასაკვირველია, ფრიად მნიშვნელოვანი და, არ დავმალავ, სასიამოვნოც იყო. აი, ასე ღირსეულად ამოგვიდგა მხარში მაშინ ახალგაზრდა ისტორიკოსებს ჩვენი უფროსი კოლეგა, ბატონი ანდრია აფაქიძე.

არ შემიძლია არ გაიხსენო ბატონი ანდროს დამოკიდებულება და ყურადღება ჩვენი ოჯახისადმი ჩვენივე ძალიან მძიმე პერიოდში, როდესაც მამა გარდაიცვალა. სწორედ ბატონი ანდროს რეკომენდაციით დავინყე მუშაობა ისტორიის ინსტიტუტში, რამაც თავისი სიტყვა თქვა ინსტიტუტის მაშინდელმა დირექტორმა, აკადემიკოსმა გიორგი მელიქიძემ, რისთვისაც მისი მადლიერიც ვარ. არქივში ვინახავ მათ ხელით დაწერილ დასაბუთებებს, თუ რატომ იქნებოდა სასარგებლო ჩემი დასაქმება ისტორიის ინსტიტუტში. მაშინაც გაკვირვებული დავიჩინე და დღესაც იგივე გრძობა მეუფლება, თუ როგორი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ღვანდლოსილი მეცნიერები ახალგაზრდა კოლეგის სამეცნიერო საქმიანობას.

ბატონი ანდროს უმუშაო ხელმძღვანელობით აღინიშნა მამაჩემის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, აკაკი სურგულაძის 80 წლის იუბილე. მაშინ აკადემიის პრეზიდიუმმა ამასთან დაკავშირებით სპეციალური დადგენილება მიიღო, საიუბილეო სხდომა კი 1993 წლის 24 ივნისს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა და მას აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ანდრია აფაქიძე და უნივერსიტეტის რექტორი როინ მეტრეველი უძღვებოდნენ. ეს ყველაფერი ჩვენი ოჯახისთვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო.

ბატონი ანდრო თითქმის ყოველ საღამოს ვაკის პარკში სეირნობდა. მას ძალიან უყვარდა ჭაღრაკი და მისი თამაშით თავს ვაკის პარკშიც იქცევდა ხოლმე. რამდენჯერ მინახავს ბატონი ანდრო საჭაღრაკო დაფასთან, იქ მყოფთა გარემოცვაში, რომლებიც ყურადღებით აკვირდებოდნენ მის საჭაღრაკო პარტიას. მისი ჭაღრაკის პარტიები ყოველთვის საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. ვაკის

პარკში ჩემს მეგობრებთან ერთად მეც საკმაოდ ხშირად ვიყავი და ბატონ ანდროს იქაც ვხვდებოდი. აქედან გამომდინარე, ჩემმა ვაკისპარკელმა მეგობრებმა კარგად იცოდნენ, თუ ვინ იყო ბატონი ანდრო და მის მიმართ ყოველთვის დიდ პატივისცემასა და რიდს ამჟღავნებდნენ.

ბატონმა ანდრომ მოლხენაც შესანიშნავი იცოდა. მასხოს, ჩემს ერთ-ერთ დაბადების დღეზე ჩემს მეგობრებთან ერთად ისე კარგად მოილხინა, რომ მასთან ერთად გატარებულ იმ საღამოს მეგობრები დღესაც იხსენებენ. მას შესანიშნავი იუმორის გრძობაც ჰქონდა და ანექდოტების მოსმენაცა და მოყოლაც ძალიან უყვარდა.

განსაკუთრებული სიტოთი და პატივისცემით მინდა მოვიკითხო ჩემი მეგობარი, ბატონი ანდროს ვაჟი, თავადი გუშა აფაქიძე. იგი წლებია რუსეთში, სანქტ-პეტერბურგში ცხოვრობს. სამსახურეობრივი მოვალეობის გამოისობით დიდი ხნით მომინია სანქტ-პეტერბურგში მუშაობა და ცხოვრებამ. ამ პერიოდში ახლოს გავიცანი ბატონი გუშა აფაქიძე და მისი შესანიშნავი ოჯახი. ჩვენ ოჯახებით დავემეგობრდით. რუსეთის კულტურულ დედაქალაქში ბატონი გუშა საქართველოსთვის საჭირო და მნიშვნელოვან საქმეებს აკეთებდა და დღესაც განაგრძობს იქ მოღვაწეობას. მან შესანიშნავად იცის თავის ძირები და ფსევდი და, აქედან გამომდინარე, თავადი გუშა აფაქიძე ძალზე მოხდენილად ატარებს თავის სახელსა და გვარს. დაე დიდხანს ეტარებინოს!

ბატონმა ანდრო აფაქიძემ ღირსეულად იღვანა თავისი ქვეყნისთვის. ქართულ მეცნიერებაში, ჩვენს ისტორიოგრაფიაში, მან დატოვა კვალი, ნათელი და წარუშლელი. მის მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევები და შექმნილი ნიგნები იქნება საწინდარი იმისა, რომ ანდრია აფაქიძის სახელს მუდამ განსაკუთრებული პატივითა და მონივნებით წარმოთქვამენ მომავალი ქართველი ისტორიკოსები და არქეოლოგები.

სამარადისო სხოვნა და სხენება იყოს გამორჩენილი მეცნიერისა და პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის, სამაგალითო მოქალაქისა და დიდებული ადამიანის, აკადემიკოს ანდრია აფაქიძისა!

ჩეიფილი ქართულად

საინტერესო წიგნი მიიღეს საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებულმა მკითხველებმა. გამომცემლობა „პალიტრა გ“-მა გამოცვა დონალდ რეიფილის შრომა „საქართველო - იმპერიისა და გზაჯვარედინი“. სამათიანლოვანი ისტორია“. თარგმნა ჯუანშერ ტყარაძემ, კონსულტანტია ლევან გორდუზიანი, მთავარი რედაქტორი - მაია ალუდაური.

წიგნი შედგება წინასიტყვაობისა და ოცდასამი თავისგან. იწყება ქართველთა წარმომავლობით და მთავრდება დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი პერიუბტიებით 2018 წლის ჩათვლით. გამოცემას ერთვს ქრონოლოგია, ბიბლიოგრაფია, საგვარტომო ნუსხები, რუკები და ანბანური საძიებელი. შეიცავს 676 გვერდსა და 12-ფურცლიან ფოტომასალას.

დონალდ რეიფილი, ბრიტანელი ლიტერატურისმცოდნე და ისტორიკოსი, აღიარებული ქართველოლოგი. იკვლევს ქართული ლიტერატურის, ფოლკლორისა და ლექსიკოლოგიის საკითხებს. ავტორია ფუნდამენტური შრომისა „ქართული ლიტერატურის ისტორია“, მისი რედაქტორობით გამოვიდა „დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“. ინგლისურ ენაზე თარგმნა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, მიხეილ ჯავახიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ოთარ ჭილაძისა და სხვა ქართველ მწერალთა ნაწარმოებები.


ავტორის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ამ ნაშრომში საქართველოს განვიხილავთ, ვერ ერთი, პოლიტიკურად, ანუ, როგორც დღევანდელ საზღვრებში მოქცეულ სახელმწიფოს (საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით); მეორე, გეოგრაფიულად, როგორც სამხრეთ კავკასიაში მდებარე ტერიტორიას, კერძოდ, არაფერ შავი ზღვიდან მდინარეების - იორისა და მტკვრის შესართავამდე, და კავკასიონის მთავარი ქედის მცირე კავკასიონამდე, მდინარე ჭოროხის შესართავისა და მდინარე მტკვრის სათავის

მახლობლად; დაბოლოს, საქართველოს განვიხილავთ ისტორიული თვალსაზრისით, ანუ იმ საზღვრებში, რომელთა ნაწილიც ამჟამად თანამედროვე თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის შემადგენლობაშია მოქცეული. X საუკუნის საეკლესიო მოღვაწის - გიორგი მერჩულის მტკიცებით, საქართველოდ მიიჩნეოდა ის ქვეყანა, სადაც ნირვა-ლოცვა ქართულად აღევლინებოდა...“

თავისთავად ცხადია, რომ უცხოელი, რომელიც ხელს ამ თუ იმ ქვეყნის ისტორიის აღწერას მოჰკიდებს, შეიძლება, მისთვის უცხო ერის განსაცდელსა და მისწრაფებებს სულ სხვანაირად, უფრო ზერულადაც კი აღიქვამდეს. არც ისაა გამორიცხული, რომ ეროვნულ სუფრაზე დაპატიუებული თუ დაუპატიუებელი უცხოტომელი სტუმარი გაკადნიერდეს და უკმეხად ან ქედმაღლურად მოიქცეს, თუმცა მაინც ვაგებდავ და ვიტყვი, რომ ინგლისური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის შესახებ გაცილებით უკეთ წერენ უცხოელები - დანიელები, ფრანგები, გერმანელები. ხშირად თუ არა, ზოგჯერ მაინც, სტუმარი იმას ამჩნევს ხოლმე, რასაც მასპინძელი ვერ ხედავს ან, უბრალოდ, არ სურს, დაინახოს. ყოველ შემთხვევაში, ყოველთვის სასარგებლოა იმის ცოდნა, თუ შენზე სხვები რას ფიქრობენ.

დაბოლოს, „პატარა“ ქვეყნების ისტორია ყველაზე რთულიცაა. როგორც ასტროიდი გაზუდმებით იცვლის გზებს და იმსხვერვა დიდი პლანეტების მიზიდულობით, ასევე პატარა სახელმწიფოს ბედ-ილბალი მუდამ იცვლება დიდი იმპერიების ზეგავლენით. საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის სირთულეს ეს ფაქტორიც განაპირობებს.“


„საქართველო - იმპერიისა და გზაჯვარედინი. სა-მათიანლოვანი ისტორია“ პირველად 2012 წელს დადგინდათ გამოცვა. 2017 წელს შრომა, განახლებული რედაქციით, რუსეთის ფედერაციაშიც დაიბეჭდა. 2019 წელს წიგნი მეორედ დაიბეჭდა დიდ ბრიტანეთში.



დონალდ რეიფილის შრომა ემყარება ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ ისტორიულ წყაროებს, კერძოდ, ქართველ, ბიზანტიურ და სომხ ისტორიკოსთა ცნობებს, გვიანდელი ხანის ირანელ და თურქ ისტორიკოსთა ტექსტებს, 1783 - 1917 წლების რუსულ არქივებს, საქართველოს სსრ კომპარტიისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივებში მოპოვებულ დოკუმენტებს, კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, პარიზის, ნანტის, ბოლონიის, რომისა და სხვა ქალაქების არქივებსა და ბიბლიოთეკებში დაცულ მასალებს, მოგზაურთა და ჩინოვნიკთა ჩანაწერებს, მონოგრაფიებს, მემუარებსა და სხვა წყაროებს.

1. გალაკტიონი თუ გალაკტიონი ანუ კ თუ კ?

რაკი სხვადასხვა დროს ამას ბევრი მეკითხება, უმჯობესი მგონია, ერთიანი პასუხი დავწერო იმის შესახებ, თუ პირადად მე რას ვფიქრობ.



სფერყანსაღვლებს" შემთხვევამაც. პავლე იამვილის ლიტერატურული სახელია პაოლო, ნიკოლოზ ნა-

ანუ კითხვაზე პასუხად უნდა დავასკვნათ, რომ თუ გვყავს პოეტი გალა-კ-ტიონ ტაბიძე, და მხოლოდ ეს ფორმა უნდა გამოვიყენოთ, როცა ვსაუბრობთ მასზე, როგორც მოქალაქე პირზე, მის ყოფით ბიოგრაფიაზე, არც ერთის, არც მეორე ფორმის (ქ და კ-ნ.დ.) გამოყენება არ უნდა ჩაითვალოს შეცდომად.

თუმცა მე, მაგალითად, მირჩევნია, მუდამ კ-გალაკტიონი ვთქვა, მასზე საუბრისას საქმე რომ გავიმარტივო, თორემ სად ვარკვიო, ყოველ ჯერზე, როდის ვსაუბრობ მასზე, როგორც პოეტზე და როდის - როგორც მოქალაქეზე, მით უმეტეს, როცა კომპლექსურად ვუდგები მას, როგორც გენიოსს პოეტსა და საბჭოთა ტრადიციარობის მხარდგამს გარსში გამოვლილ (თუ ბოლომდე ვერ გამოვლილ) პიროვნებას.

2. გალაკტიონი

მე ხომ გალაკტიონის მიმართ სიყვარულის მუდმივი მიტევებ-მოტევების ფაზებზე მაქვს! არის პერიოდები, მის გარდა, არავინ არაფრად რომ არ მიმჩნევს რუსთაველის მერე, ქართულ პოეზიაში.

საბედნიეროდ, ეს მუდმივად არ გრძელდება ჩემში და ნაცვლდება ფაზებით, როცა მის სახელს ვერც მიხსენებთ, ყველაფერი მეჯავრება, ყველაფერი მაღიზიანებს მისი... სხვადასხვანაირი ფაზები კიდევ მაქვს. ხან ვებრძვი და ვეფამილიარულები, ხან დავცივი კიდევ. და, საბედნიეროდ, ესეც არ გრძელდება დიდხანს. საბოლოოდ, ერთიანად - ესაა ალბათ ნამდვილი სიყვარული. ან სიყვარული, როგორც მე შემიძლია.

ვენეციაში ვარ და ცოტა გაცივებული. გუშინ ექვს-ნახევარი მილი ფეხით ვიარეთ, ვიხეტიალეთ უფინროეს ქუჩებში, სან მარკოს მოედანზე ესპრესოც ვსვი, ორჯერ, ორ უძველეს, ულამაზეს რესტორანში, ნვიამში, რომელიც ხან თავსხმა იყო, ხან ყინულავდა. ცას კი მთელი დღე მოქუფრული პირი არ გაუხსნია. გადახურულში როიალი უკარავდა კლასიკასა და მარადიულ ჰიტად ქვეულ მელიოდებს იტალიური ფილმებიდან და კიდევ ჩელი, ვიოლინო... სადაც, მორს დავლანდე გარმონიც. ერთი სახმელეთო მილი დაახლოებით კილომეტრ-ნახევარია, ცოტა ნაკლები და ასე, ათ კილომეტრამდე გამოგვივიდა. გალაკტიონის სხვა ლექსზე დამეწყო ფიქრთა შე-

მოტევა („ხიდი რიალტო. მთის მდინარე“) და თვითონაც ვერ მივხვდი, როგორ ამეკვიტა სულ სხვა ლექსიდან („ზღაპარი“) სიტყვა „გალეჩაქდება“.

ნამდვილი პერსევერანცია დამეძარა გალაკტიონის ამ ჯადოსნურ ხელოვაგზზე და მგონი, ცოტას მივხვდი, რას ნიშნავს, რომ

მდინარე და დუმილიც გალექაქდება ამ ლექს-ხილვაში, ლექს-ზმანებაში, სადაც ორი მემორევე ქალწული ეცხადება პოეტს.

„მემორევე“ - რას ნიშნავს?! ცოტა ქვემოთ შემოგთავაზებთ ჩემს ინტერპრეტაციას, მანამდე კი ვიტყვი:

გალაკტიონის ამგვარ, მისეული ტექნოლოგიით შექმნილ სიმბოლისტური ესთეტიკის მქონე ზმანება-ლექსებში პოეტურ სიტყვას, სინტაგმას - თითქმის არასოდეს აქვს ერთი, ერთადერთი, სხვათა გამომორცხველი მნიშვნელობა.

მასში მნიშვნელობათა და მინიშნებათა ერთობლიობაა. დენოტაცია-კონოტაციათა არა უბრალო კონგლომერატი, რაღაც ფიზიკური ნარევი, არამედ გალაკტიონისეული ნადნობი - სრულიად ახალი ორგანული მთლიანობა. მისი პოეტური ალქიმის

ნილო დარგაისელი სტრონი

გალაკტიონოლოგიური ოპუსები

კიდევ ერთი პროდუქტი, პროდუქტი, რომელიც ავტორისეულ, პოეტურ ველში ცოცხლობს და გარედან, მითხველური შეხებით, პოეტურ ტექსტში შედენვის ცდის ყოველ ახალ ჯერზე ახლებურად ნარმოიდდება და მაფიქრებინებს, აქამდე რა მჭირდა, ამას როგორ ვერ მივხვდი-მეთქი.

გავა დრო და ახლა სხვა ნახნავს გამომიჩენს, სულ სხვად მეჩვენება და მაფიქრებინებს, ეს რა სულელური აზრი მომსვლია ამას წინათ იმავებულ-მეთქი.

და ასე - დაუსრულებლად. დენოტაცია-კონოტაციათა ვინმე! ამნუთას „გალეჩაქება“ რას მეუბნება, იცით? წინა სტრიქონში ვხედავ მის გასაღებს.

ამ „მოლანდება-მემორევე“ ქალწულებს ლეჩაქთა სამოსი ხომ მოსავთ, არა?

ტრადიციულად, ლეჩაქი თავსაფრად გამოსადეგი, მსუბუქი და მორჩილი ქსოვილისგან მზადდება. იგი შეიძლება იყოს გამჭვირვალე, ნახევრად გამჭვირვალე ან სრულიად გაუმჭვირვალე. იგი ქალის არქაული გარდერობის კუთვნილებაა.

ძველი ფოტოებიც თუ გაგვასხვნიდა, ლეჩაქი თეთრი, მსუბუქი „ტული“-ის შიფონის და მისთ. ლბილი ქსოვილია, კიდევბში თეთრივე ნაქარგები, მაქანიტი - ქართული ჩისტ-კოპის თანხლები ნაწილი.

ასეთი იქნება ლეჩაქი მის ყველაზე ამაღლებულ მდგომარეობაში, თორემ იგი ადრე ყველა ქალს მოსავდა, ვინც როგორც შესუნდებოდა, ისეთი.

ამაღლებული, შორი, მით უმეტეს, მამაკაცური დისტანციიდან და, მით უმეტეს, გალაკტიონური, პოეტურად ნარმოსახული მამაკაცური დისტანციიდან და არა ყოფითიდან, სამი ცოლი და დღემდე ცნობილი სხვა სიყვარული თუ სიყვარულები რომ არ დაუკლია აქ - ამიტანება! - სარკასტული ვარ) მისი არაფულესიბელორობა, მოუქნელობა და სიტლანქე, სიუხემე სრულიად გამოიციხულია, სიღბო - კი ბატონო!

დუმილი - აბსტრაქტული, არასაგნობრივი სიტყვაა.

დუმილის გალექაქებით, ანუ აბსტრაქტულისთვის კიდევ უფრო უცნაური, არაკონკრეტული თვისების მიკუთვნებით, არა მისი ახლოს მოტანა, გასაგებობა, არამედ მხედველობის მკაფიო არედან „გატანა“ შორს და მალა ატანა ხდება. ანუ დუმილი ამ ნარმოსახვის დროს ხდება ამაღლებული, ლეჩაქებით მორჩილი, ლბილი... მისი (დუმილის) არამკაფიო ვითარებაცა მანაც შესაძლებელი ხდება.

ამას ხელს უწყობს წინამძღოლი სახის მდინარის - საგნობრივად ნარმოსადგენის „გალექაქება“.

დუმილი - მდინარის თავისებური, აღმატებით ხარისხადც შეიძლება გავიხროთ იმ კონტექსტში, რომ არსებობს დროის მდინარე და მარადისობა, რომელიც დუმილის კონტექსტსაც გულისხმობს.

და მასთან ერთად მაღლებდა ჩვეულებრივ, საგნობრივ თვისებების მქონე მდინარე.

ჩემი ფიქრით ეს - ნარმოსახვათა მდინარეა, პოეტურ ფიქრთა მდინარებით რომ იქმნება. ამ აზრს ეხმარება ტექსტში მეორე სინტაგმა „ორი ქალწული მემორევე“.

ნარმოების თავისებურებით მე-მორევე - საქმიანობის გამომხატველია (მაგ. მე-თევე-ე; მე-ბორნე-ე; მე-ხაშლ-ე), მაგრამ მემორევე? ასეთი პროფესია ხომ არ არსებობს?

რაშია საქმე? დავუკვირდეთ აკუსტიკურად, მელოდიურად ხმეფებისა და სონორული

თანხმოვნების კომბინაციით შექმნილ ამ სიტყვას - გალაკტიონისეულ პოეტურ ხელოვაგზს! მასში სინთეზურად, ორკესტრირებულად „ისმის“ სხვადასხვა ინსტრუმენტის ხმები:

1. ტრადიციულ ქართული „ფიქრთა მორევემ ჩამითრია“ (შორი და ფაქიზი ალუზია ილიასი?);

2. მემორია, მემორი, ლამეს ხომ ნიშნავს, ვეროულ ენებში მესხიერების გამომხატველი სიტყვა;

3. და მორევა (მაგ. შენზე ფიქრები მომერია, ან შენი ნარმოსახვა მომერია);

იქნება კიდევ რალაცები, მაგრამ ახლა ეს ინსტრუმენტები იცნო ყურმა.

ვინ არიან „ნაბდანი თავადები“ - თავს რომ ადგანან ყოველ საღამოს ამ მემორევე ქალწულებს? რაკი ნაბადი - ძირითადად შვად ნარმოიდგინება, ეს, ერთი მხრივ, ლამეს ხომ ნიშნავს, საღამოს უცილობლად რომ მიჰყვება, ამასთანავე ტექსტში დაუსახებლად, კონტექსტიდან „მომუშავე“ სიმავე პოეტურ ენაზე პოს და ბარათაშვილის ყორნების მერე მანც, სწრაფი, ბედისწერიული მოვლენის სიმ-

ბოლოა. ანუ ესენი თან აგრესიული, საბედისწერო მცველები არიან, პოეტისაგან განაშორებენ ამ მუდმივ ნარმოსახულ სცენას, თან, მეორე მხრივ, თავადი - სიყვარულის კონტექსტში, როგორც მამაკაცი მეტრევე - პაოლო იამვილის ეროტიკულ „დარიანულ დლიურებს“ უნდა უკავშირდებოდეს, საერთოდ, ამ უკანასკნელის შემოტანილი შემოტანილი ჩანს ქართულ პოეზიაში. ყოველ შემთხვევაში, მე პირადად თავადის - სოციალური სტატუსის პოეტური გაერთოლების უფრო უადრეს ნიმუშს არ ვიციხობ (ალეუზია ვუფხსტაოსანსა და ავთანდილზე? - ამის თაობაზე ადრე სხვაგან ვწერდი).

ვერ ვიტყვი, რომ ეს, რამდენადაც ჩემთვის გალაკტიონისა და ცისფერყანსელთა მეთაურის - პაოლო იამვილის ურთიერთობის რეალიები მეტნაკლებად ცნობილია, გალაკტიონის მიერ ინტენციურებული ანუ ცნობიერად წინასწარგამიზნული ალუზია იყოს.

უფრო ქვეცნობიერის მოქმედების შედეგი მგონია. ეს თავადები - ანუ მეტრეფენი რომ გალაკტიონ-

ის ლექსის ლირიკული სუბიექტისადმი ნეგატიურად განწყობილ, მომაკდინებულ ძალას გამოხატავენ, ნათელიყოფა ლექსის ფინალით:

სჩანს: სასიკვდილოდ ამ სიყვარულს არ ვენანები!

აქ, ამ ლექსში სასაუბრო და საფიქრალი სხვაც ბევრია:

მაგ., საღამოს მდინარის ლურჯი სარკეები, რომელსაც ჩამოშლილი თმები ნაკადულებად ეცემა, ნაკადული, ჩანჩქერი - ვარდნისას რომ დაიფანტება, ხომ შვავს ქალის თმებს?

გამოთქმა - ტალღოვანი თმები, თანაც, ჩამოშლილი ნანსაივი ხომ მუდამ მკვეთრად ტალღოვანია, მხოლოდ ამით უკავშირდება ნაკადულს, ოღონდ ცივს და წყლისფეროვანს!

ნარბებგადახატული//ნაკადული - მხოლოდ რითმისადაა თუ აღმოსავლური პოეზიისაკენ მსუბუქ ბრუნსაც შეიცავს?

რატომ ამაზობს მაინცა და მაინც ორი ქალწული, ყოფილიყო ერთი, სამი, ცხრა? მხოლოდ იმიტომ, რომ ბგერწერიული კავშირია (ორი - მემორევე)?

და ასე შემდეგ, მოკლედ, დიდხანს არ მოგინდება ამ პოეტური თრობიდან გამოსვლა.

დანარჩენებზე თქვენ იფიქრეთ! გტოვებთ ამ მედალონივით პატარა და ძვირფასი, ნატიფი ლექსი -ზმანების ველში. ისიამოვნეთ!

ზღაპარი მდინარის პირად, ხეივანში, ყოველ საღამოს ორი ქალწული მემორევე ჩრდილად გახდება, ისინი ჩუმად გადიხდებიან ლეჩაქთა სამოსს. თვითონ მდინარეც და დუმილიც გალექაქდება.

ტყის პირად სხედან ნაზნი, ნარბებგადახატული და თავს ადგანან თავადები ნაბდანიები. ეცემა თმები ლურჯ სარკეებს, ვით ნაკადული; სჩანს: სასიკვდილოდ ამ სიყვარულს არ ვენანები!

[1919 წლის ივნისამდე]

3. ხიდი რიალტო - მთის მდინარეზე!

ზემოთ ვწერდი, ვენეციაში ვარ, სხვა ლექსზე ვფიქრობდი და ეს სიტყვა - „გალეჩაქება“ ამჩემდა-მეთქი.

აბა, თუ გამოიცნობთ, გალაკტიონის მოყვარული და კიდევ მეტიც, მის რომელ ლექსს გაიხსენებდა, ვენეციაში მოხვდებოდა თუ არა?

ან საერთოდ, რატომ გაუძლიერდებოდა ვენეციის სახვის სურვილი?

ვენეცია და მისი მთავარი ხიდი რიალტო მეცხრამეტე მეოცე საუკუნის ევროპულსა და რუსულ პოეზიაში - თემად ყალბდება. ცხადია, თითქმის არ დარჩენილა რუსი სიმბოლისტი, რამე რომ არ დაენერა ამის შესახებ. ბევრი ისვენებდა ბედნიერ დროს, ვენეციის ვინორ ქუჩებში ხეტიალს, მის ნაპირებს, მის ცას, მის მთავარ ხედიანს, სადაც ძველი ისტორიის უძვირფასესი ანაბეჭდებია, სან მარკოს მოედანზე ავდილებს, სადაც კლასიკური სტილის რესტორანი რესტორანზე მიჯრით მიხყობილა, ზოგი ვენეციაში დაბრუნებას და ისეც მის უძველეს, მთავარ ხიდზე, რიალტოზე დადგომას ხატობდა, ანუ ლირიკის, სუბიექტური განცდის ზღვარს არავინ გასცდენია - ძირითადად ენატრებოდათ საკუთარი ბედნიერი თავი ვენეციაში, მის ეგზოტიკურ გარემოში და არა თვით ვენეცია-ქალაქი, როგორც არსებია!

გალაკტიონი კი, ცნობილია, საფრანგეთის მოკლე საბჭოური ვიზიტის გარდა, საბჭოთა ქვეყნის გარეთ, უცხოეთში მეტი არასად ყოფილა.

ის ნივთებიდან მიღებული ინფორმაციით ინსპირირებული - ნარმოსახვევებით, ზმანებებითა და ოცნებებით დაედგინებოდა ხოლმე სანატრელ არსებებსა და ალაგებს.

ლოკაკურად მოსალოდნელი იქნებოდა, რომ იგი რუსი ავტორების პოეზიაში, როგორც წყაროთ, ისარგებლებოდა, მაგრამ ასე არ არის. მისით ინსპირირებულიც კი არ ჩანს, მდინარის სახელწოდების, ამ ერთი სიტყვის გარდა, არ ჩანს, ან სახეობრივად, ან თემატურ, კონცეპტუალურად და ა. შ. რაიმე პირველწყაროდ იღებდეს.

რეალურად ხიდი რიალტო - არაა დიდი.

საუკუნეთა მანძილზე სამჯერ აშენდა ამ ადგილას.

გადმოცემებით ცნობილია, რომ ვენეცია, სადაც ყოველ ოც-ოცდაათ მეტრში ასობით სხვა ხიდია, სწორედ მისი აგებით იწყება ანუ ყველაფერი, რასაც დღეს აქ ვხედავთ, პირვანდელი, ხის რიალტოს მიდამოების მერეა აშენებული.

შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ რომელიმე მნიშვნელოვანი ადგილი დედამიწაზე, ოფიციალური ისტორიის გარდა, რაიმე ხალხური გადმოცემის, ლეგენდარულ-მითოსური საბურველიც რომ არ ჰქონდეს შემოხვეული?

რომი, მაგალითად, ძუ მგლის რძით გამოკვებული ბიჭების დაარსებულია და მერე ბატების აყიყინებით გადარჩენილი თავდამსხმელი მტრისგან,

თბილისთან დაკავშირებული ლეგენდა მუხრანის ლექსის ცნობილი რითმით გაეცხვინებო - ხო-ხოხია//ხო ყოფილა.

რიალტოს შესახებ ყველაზე ცნობილი ორი ლეგენდიდან ერთი ამკარად ბიბლიური ნარმოობისა უნდა იყოს, მე ლექსიც ხომ მაქვს ამ თემაზე, იფთა-ხის ამბავზე, სათაურით „გალაქტიონი“ გაგახსენებთ: მეომარი მამა ლმერთს რომ სთხოვს, ოღონდ ეს ომი მომავებინე და მინ გამარჯვებით დამაბრუნე და ვინც პირველი შემომგებება, იმას შემოგინრავეო

და საკუთარი ერთადერთი ქალიშვილი რომ შეეგებება ცეცხვით.

იამაყით ქართველებო, გადავრიე გუშინ ჩემი ბიბლიური განსწავლობით ჩვენი აქაური, ახალგაზრდა გიდი, პირდაღებული მისმენდა, ეს ამბავი პირველად თქვენგან გავიგეო და არც ინგლისური ცილდა სასურველ დონემდე, მეტიც, ძალიან რომ შევანუხე კითხვებით, ცოტა მეტად რომ დავახლოვდით, გამოგვიტყდა, აქ გიდი, საერთოდ, დედაჩემია, დღეს ექიმთან იყო ნასახველი და მე შევენაცვლე; ბავშვობაში სულ თან დავყვებოდი, ტურისტებს ერთსა და იმავეს როცა უხსნიდა და რასაც ამბობს, ტექსტი ზეპირად დამასსომდაო, რაც გაინტერესებთ, თქვენი ყველაფერი ჩამანერინეთ, შევეკითხები, სასტუმროში დაგორეკავთ და გეტყვიოთ. ბოლოს კარგი „ტიპიც“ კი მიგვცია, იქვე გადავთავლა, გაუხარდა და მადლობაც გადაგვიხადა, მაგრამ, არასაკვირველია, არ დაურეკავს საქ - გაიცინეთ!)

*** გვეყო რეალობა და დავუბრუნდეთ რიალტოს!

ერთი ლეგენდის თანახმად, რიალტოს პირველმა ამშენებელმა ემპატონ კონტრაქტი დადო, ოღონდ დამხმარე და ამშენებელ ხიდზე ვინც პირველი გამოვიდის, შემოგინრავეო. როგორ ფიქრობთ, მშენებლის ნაგარაუდვეი კატის ან ძაღლის მაგივრად, ვინ გამოვიდოდა პირველი, სრულიად მოულოდნელად?

საკუთარი, ერთადერთი ქალიშვილი, არა? სწორად გამოიცანით!

მაგრამ გემე, გალაკტიონზე მოფიქრალბებს, რამეს ვკავლევს ეს თავისთავად საინტერესო ლეგენდა?

ბევრს არაფერს, გარდა იმისა, რომ ხიდის ლეგენდარული ისტორია ქალწულის მოულოდნელ სიკვდილს უკავშირდება.

საფრანგო ქალწული - მოულოდნელ მსხვერპლად - თავისთავად უკვე საინტერესო რომანტიკული ან სიმბოლისტური თემატის კუთხით, თუმცა რუსულ პოეზიის უშუალოდ ეს ლეგენდა არ დაუშვებია და არც გალაკტიონს...

მაგრამ არსებობს მეორე ლეგენდა, რომლის მიხედვითაც, ხიდი რიალტო აგებულია იმ ადგილას, სადაც ვენეციის პირველი მმართველის, დოჯის ანჯელო პარტისიპაციოს ერთადერთი ქალიშვილი ესტრელა შეენირა ხიდის

აგებას, როცა მეცხრე საუკუნეში, მდინარეზე მოსივრნე მის ნავს შემთხვევით ჭურვის ნატეხი მოხვდა. ხერელი წყლით

აიგოს და ჩამიძრა. ხოლო დაღუპულ ერთადერთ ქალიშვილზე მხოლოდ იმამამ მის სახსოვრად, იმ ადგილას ხიდი რიალტო ააგო.

მე მერეცნება, რომ გალაკტიონი ვაკეზე მდებარე თავისთავად არცთუ მაღალ, დახურულ ხიდ რიალტოს, ნარმოსახვით მთის მდინარეს - კონცეფციის გამო უკავშირებს, სათაურშივე, ასე ვთქვათ, მისი წყლის ვარდნას მთისმდინარულად აჩქარებს, მაგრამ მერე თვითონ ლექსი თითქმის არისტოკრატული სიმწიფით მიდინება. აღწერილია რა „გრან კანალის“ - არის ზღვაში ჩადინების ალაგი, დოჯის სასახლის სამეფო დიდებულებმა, რომლის ანაბეჭდები - არტეფაქტები დღემდე კარგადაა შემონახული. არხი აქ მართლაც მშვიდად ჩადინდება ზღვაში, გალაკტიონის ლექსში კი უეტრად, არა სურათში გადმოცემული მომთენთავი ხილვის, არამედ სულ სხვა რალაცის გამო ხიდი ინგრევა, ეს შეიძლება ისეც გავიგოთ, რომ რეალობასა და ნარმოსახვას შორის კომპენიკაცია ფაქტურად ნყდება.

საფრანგოდ, გალაკტიონი რალაც ილუსტრაციას, ფოტოს ან ნახატ სურათს მისდევს, ხედი სწორედ ზღვის მხრიდანაა აღქმული, რადგან ლექსში მინიშნებულია ლოკაცია „მარჯვენე“, დოჯის ცნობილი, თუმცა რიალტოს მერე გაცილებით გვიან აგებული სასახლე კი „მარჯვენე“ იმ შემთხვევაში მოხვდება, თუ არა არხის, არამედ უკვე მისი ზღვაში ჩადინების მხრიდან - ქვემოდას შევხვდებით.

და საფრანგოდ სურათს (ფოტოს? ნახატს? რაიმე საფოსტო ბარათს?) გალაკტიონი აცოცხლებს ხილვის ნყალობით - მხოლოდ გალაკტიონისეული ხერხით, სიმბოლისტური ესთეტიკის ენაზე „თარგმნის“ ლექსად.

ანალოგიური შემთხვევები, რაიმე ბეჭდური ვიზუალური მასალის სიმბოლისტური გაცოცხლებსა მცირე როლია მის შემოქმედებაში.

მაინც, რატომ დასჭირდა გალაკტიონს „გრან კანალის“ - მდორე არხის ნაცვლად მთის მდინარე?

აქ კონცეპტუალური ამბავია. ხიდის დახრევის მიზეზად იგი „სიძაღლის მოშ“ ახსენებულია.

გავიხსენოთ იგივე კონცეპტუალ სხვა, უფრო ადრინდელი ლექსიდან:

მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალია, მარად და მარად ტყდება ჩინარი.

პირველი სამხრეთკორეელი

2024 წელს ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში მიენიჭა სამხრეთკორეელ პროზაიკოსს ჰან განს. როგორც ნობელის კომიტეტი იუწყება, 53 წლის ქალბატონმა ჰან განმა ეს პრემია მიიღო „ინტენსიური პოეტური პროზისთვის, რომელიც ენიხანაღმდეგება ისტორიულ ტრავმებს და აშშ-ს დადამინათა ცხოვრების სისუსტეებს“.

ეს გახლავთ პირველი სამხრეთკორეელი მწერალი, რომელმაც ნობელი მიიღო. შემოქმედებითი გზა მან 1993 წელს დაიწყო, როდესაც წიგნები „ლიტერატურა და საზოგადოებაში“ ხუთი ტომის გამოქვეყნდა. ამას მოჰყვა მოთხრობების კრებული სათაურით „კატორღელის სიყვარული“.

ჰან განს მსოფლიო აღიარება მოუტანა რომანმა „ვეგეტარიანული ქალი“, რომლისთვისაც 2016 წელს ბუკერის პრემია მიიღო. ამან საერთაშორისო გაყიდვების ისეთი ბუმი გამოიწვია, რომ მწერალი, ცოცხალი არ იყო, დაიბნა და აღიარა, საყოველთაო ყურადღება ხასიათს მიძიმებს და განმარტობა მიჩვენიაო. ბუკერის პრემიის გადაცემის დღეს ყურნალისტებისთვის უთქვამს: „მე აქ მეტროთი მოვედი... მინდა ცხოვრება გაგრძელდეს

ისე, თითქოს არაფერი მომხდარა“.

ჰან განის შემოქმედების მთავარი თემებია ძალადობა და ტრავმები.

„მას ახასიათებს სული და სხეულის, სიცოცხლისა და სიკვდილის კავშირთა უნიკალური შეგრძნება, და თავისი პოეტური და ექსპერიმენტული სტილის წყალობით ის გახდა თანამედროვე პროზის ნოვატორი“. - აღნიშნავს ნობელის კომიტეტის თავმჯდომარე ანდერს ოლსონი.

2014 წელს გამოსულ რომანში „ადამიანური ქცევები“ ავტორი აღწერს 1980 წელს მის მშობლიურ ქალაქ კვანჯუში მომხდარ მასობრივ მკვლელობებს, როდესაც სამხედროებმა სასტიკად ჩაახშვეს დემოკრატიის მომხრეთა პროტესტი.

რომან „თეთრი ნიგისი“ (2016) მოქმედება ვარშავაში მიმდინარეობს და მასში მთავარი ადგილი უკავია ომის საშინელებათა სურათებს.

„ჩემი აზრით, ისტორიულ მოვლენებზე რომანის დაწერა არ ნიშნავს იმას, რომ ადგილს უბრალოდ მოჰყვება წარსულის ამბებს, მთავარია ჩაუღრმავდე ადამიანურ ბუნებას“. - ამბობს მწერალი ერთ-ერთ შარშანდელ ინტერვიუში.

2023 წელს კვანჯუში წაკითხულ ლექციაში ჰან განმა აღნი-

შნა, რომ სასტიკი სცენების ჩვენება, რომლებიც მის რომანებში გვხვდება, მიზნად ისახავს არა იმას, რომ წარმოაჩინოს ძალადობა, არამედ გაემიჯნოს, გაექცეს მას.

მწერალს არაერთხელ განუცხადებია, რომ ლიტერატურა მისთვის სამყაროს გააზრების საშუალებაა.

„ვერ და გამუდმებით ვეკითხები თავს - რა არის ცხოვრება, რა არის სიცოცხლე, რა არის სიკვდილი, ვინ ვარ მე? - თქვა მან კორეის ლიტერატურული თარგმანის ინსტიტუტში შეხვედრისას, - როდესაც ვწერ, განსაკუთრებით როდესაც რომანებს ვწერ, განუსაზღვრელ დროში ვეშვები და თითოეულ ნიგნზე ვხარჯავ ერთ, ორ, სამ, ოთხ წელს“.

როგორც „ამერიკის ხმის“ რუსული სამსახური იცობინება, ნელს ნობელის პრემიის პრეტენდენტთა შორის იყვნენ კენიელი ნგუგა ვატიონგო, ავსტრალიელი ჯერალდ მარნეინი, კანადელი ენ კარსონი, იაპონელი ჰარუკი მურაკამი, არგენტინელი სესარ აირა და ჩინელი ავანგარდისტი მწერალი ქალი ცან სიუე, რომელსაც ბუკემკერები ბოლო დღემდე მთავარ ფავორიტად მიიჩნევდნენ.

გთავაზობთ ფრაგმენტს ახალი ნობელიატის რომანიდან „ვეგეტარიანული ქალი“.

სანამ ჩემი ცოლი ვეგეტარიანელი არ გახდა, ვერ დავიჯერე, უფრო სწორად, აზრადაც არ მომსვლია, რომ ის რაღაც განსაკუთრებული იყო. რაღაც დაგიმალათ და, ვერც პირველი შეხვედრისას შევნიშნე მასში რაიმე მიმზიდველი. არც მალაღი ეთქმოდა, არც დაბალი, ვარცხნილობა - არც გრძელი, არც მოკლე; მოყვითალო მშრალი კანი, ჩვეულებრივი თვალები, ოდნავ წინ წამოწეული ყვრიმალბები; ტანსაცმელი უფერული ტონებით - თითქოს ემინოდა, მკვეთრი ფერების არჩევით თავისი ინდივიდუალობა არ გაემჟღავნებინა. ის მოვიდა ჩემთან. კაფეში, მაგიდასთან ველოდი. მეტისმეტად უბრალო მოდელის შავი ფეხსაცმელები ეცვა. ნაბიჯიც შესაბამისი ჰქონდა - არც სწრაფი, არც ნელი, არც გაბედული, არც გაუბედავი.

ვერავითარ ემს მასში ვერ შენიშნავდი, მაგრამ არც რაიმე განსაკუთრებულ ნაკლს ატარებდა. სწორედ ამიტომ გახდა ჩემი ცოლი. არ მქონია იმის ილუზია, რომ მის ნატურაში ვიპოვიდი დახვეწილობის, ფანტაზიის ან ორიგინალურობის ნატამალს, მაგრამ გულს მიკეთებდა მისი უდრტვიველობა. არ დამიწყია მანერების დაჭერა, არ მიცდია თავი ჭკვიან და განათლებულ ადამიანად მომეჩვენებინა და ასეთი რაღაცები. გულს არ ვიხეთქავდი, როცა შეხვედრაზე ვაგვიანებდი, არც ის მანაღვლებდა, როცა უნებლიეთ თავს ვადარებდი მოდურ ყურნალეებში გამოჭიმულ მამაკაცებს. უბრალოდ, მიზეზი არ მქონდა. არც იმაზე მინერვიულია, ღიპი ჯერ კიდევ ოცდაათ წლამდე რომ წამომეზარდა, არ მანაღვლებდა წვრილი ფეხები და ვინრო მხრები, რომლებზეც, ათასი მცდელობისა და სურვილის მიუხედავად, კუნთები არ მეტყობოდა, თქვენ წარმოიდგინეთ, სათვალავში არ ვაგდებდი არც პატარა ასოს - ჩემი არასრულყოფილების იდუმალი კომპლექსის წყაროს.

ჰან განი

ვეგეტარიანული ქალი



უხმაურო ადამიანი იყო. არაფრით მანუხლებდა. სამსახურიდან რაც უნდა გვიან მოვსულიყავი, არასოდეს მკითხავდა, რატომ ვაგვიანებდი. ზოგჯერ ჩვენი დასვენების დღეები ემთხვეოდა, მაგრამ არასოდეს უთხოვია, სადმე წავიდეთო. საღამოობით, სანამ პულტიტ ხელში ტელევიზორთან ვიყავი წამოწეული, ის თავის ოთახში ფუსუსებდა. ალბათ კომიქსებზე მუშაობდა ან კითხულობდა - თუ რაზე არიობდა, ეს კითხვა იყო, მაგრამ იმდენად უინტერესო ნიგნებს არჩევდა, გადაშლაც კი არ მოგიხდებოდა. ოთახიდან სადილის ან ვახშმის დროს გამოდიოდა, რათა საჭმელი მოემზადებინა. ასეთ ცოლთან ცხოვრებას კაცი საინტერესოს ნამდვილად ვერ უწოდებ, მაგრამ გამჩენს მადლობას ვინრავდი იმისათვის, რომ არ შემეხვდა ისეთი, რომელიც დილიდან საღამომდე ტელეფონთან იჯდებოდა და დაქალებთან ან თანამშრომლებთან ჭორაობით მოკლავდა დროს და არც ისეთი, ნერვებს რომ დამინენკავდა და ხმაურთან საოჯახო გარჩევებს მომიწყობდა: ვერ ვიტან ასეთ ქალებს.

ერთი გამორჩეული თვისება მაინც ჰქონდა, ბიუსტპალტერები არ უყვარდა. ერთხელ, როცა ჯერ კიდევ მქონდა მოფერების სურვილი, შემთხვევით ზურგზე ხელი დავესვი და სევიტერის ქვეშ ბრეტელები რომ ვერ ვიგრძენი, ავსქესდი. შეიძლება ამით რაღაცას მანიშნებ-მეთქი, გავიფიქრე და სხვა თვალთ დავუწყე ყურება, მაგრამ, მართალი გითხრათ, ვერაფერი ვუპოვე, არაფერს მანიშნებდა, არავითარი იდუმალი ნიშანი არ ჩანდა მის ქცევასა და ფიქრებში. კი, მაგრამ ის თუ ნიშანი არ იყო, მაშ რაღა იყო, რას მოასწავებდა - სიზარმაცესა თუ გონებაგაფანტულობას? არაფერი მესმოდა. რაღა თქმა უნდა, სახვე მკერდით ვერ დაიკვებინდა და არც „ნო ბრა“ მოუხდებოდა. მერჩინა, პოროლონით შევსებული ბიუსტპალტერი ეტარებინა და ძმაცკების თვალში ყისმათიანად გამოვჩენილიყავი.

ქორნილის შემდეგ მინ ლიფი აღარ ჩაუ-

ცვამს. მარტო ზაფხულში იცვამდა, ისიც როცა საქმეზე მივდიოდი. არ უნდოდა, ზედატანის ქვეშ კერტები გამოსჩენოდა. თუმცა ერთი საათიც არ გავილოდა, რომ დუმებებს იხსნიდა. ღია ფერის თხელ ბლუზში ან მოტმანსილ კოფთაში მობოშებული ლიფი შესამჩნევი ხდებოდა, მაგრამ მას ეს არ ანაღვლებდა. ჩემს საყვედურზე თავს იმით იმართლებდა, რომ ძალიან უჭერდა, ასე მგონია, საცაა სულს შემეგუბებოდა და დასძენდა, ვერ ვიტან, მკერდზე რომ რაღაც მანვებო. რა ვიცი, რა გითხრათ, ქალის ტუალეტის ეს აქსესუარი არასოდეს მიტარებია და აბა, საიდან მეცოდინება, მართლა სულს უხუთავდა თუ არა. ერთი კი არის, სხვა ქალები სულაც არ ეტყობოდათ, რომ ბიუსტპალტერს ვერ იტანდნენ და ამიტომ ვერაფრით მოვიცილე ეჭვი მისი გადაჭარბებული მგრძნობიარობის მიმართ.

სხვა ყველაფერი მომწონდა მასში. ჩვენი თანაცხოვრების მესუთე ნელი დაიწყო და რადგან ერთმანეთზე არ ვგიჟდებოდით, ჩვენი არც დაღლილობა და არც განხიზვების მსგავსი რამ გაჩენილა. გასულ შემოდგომამდე, სანამ ბინას გადავიფორმებდით, ბეშის გაჩენაზე არ გვიფიქრია, მაგრამ მერე თანდათან გამჩინდა სურვილი, ჩემთვისაც დაეძახათ „მამა“. თებერვლის იმ სისხამ დილაზე, როდესაც სამზარეულოში მდგარ, ღამის ხალათმოსხმულ ცოლს შევასწარი თვალი, ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ჩვენი ცხოვრება ოდნავ მაინც შეიცვლებოდა.

*
- მანდ რას აკეთებ? - ვკითხე და საბაზანოში შუქის ანთება დავაპირე. გათენებამდე ერთი-ორი საათი იქნებოდა. საღამოს ლიტრა-ნახევარი სოჯუ დავლიე ამფსონებთან, შარდის ბუშტი მანვებოდა და ყელი მიშრებოდა.

- არ გესმის, მანდ რას აკეთებ-მეთქი? სიცივემ ამიტანა. შევხედე. ძილბურანი უცებ გამიქრა და გამოვფხიზლდი. გამეშეული იდგა და მაცივარს თვალს არ ამორე-

ბდა. სახის გამომეტყველებას სიბნელე უფარავდა, მაგრამ მთელი მისი ფიგურა რაღაც დამთრგუნველად მოქმედებდა. შავი, შეულებავი თმა ზღარბივით გაბურძგნოდა. თეთრ ღამის პურანგზე ბოლოები დაგორგოლავებოდა და კოჭებზემით ნვივები მოუჩანდა.

საძინებელთან შედარებით სამზარეულოში საკმაოდ ციოდა. მას სითბო უყვარდა, აქ ისე არ გამოვიდოდა, ჟაკეტი რომ არ მოეხურა და ფეხები დაბამბულ ქოშებში არ წაეყო. ახლა რა მოუვიდა? ნეტავ დიდი ხანია აქ დგას? - ფეხშიშველი, თხელ საღამურში, რომელსაც გაზაფხულიდან შემოდგომამდე ვერ ელევა. გაქვავებული იდგა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს არაფერი ესმოდა, გეგონება მაცივართან აჩრდილი ან უჩინმარინი აყუდებულაო. ნუთუ ჩემი ცოლი მთვარეულია? - გავიფიქრე. სადაღაც გამეგონა ამ ავადმყოფობის შესახებ.

მივუახლოვდი. გვერდიდან შევხედე. უგრძობელი იყო როგორც ქვა.

- აქ რას აკეთებ? რა გჭირს?..

მხარზე ხელი შევახე. არცკი განძრეულა. თუმცა ეტყობოდა, გონება არ ჰქონდა დაკარგული და ყველაფერი ესმოდა: როგორ გამოვედი საძინებლიდან, როგორ მივუახლოვდი, როგორ ვცდილობდი დალაპარაკებას. უბრალოდ, ამ ყველაფერზე არ რეაგირებდა. ასე სჩვეოდა მამინაც, როცა ტელესერიალს მისჩერებოდა და ჩემს მოსვლასა და გასაღების ჩხაკუნზე ყურსაც არ შეიბერტყავდა. მაგრამ რა უნდა ყოფილიყო ის, რამაც აიძულა დილის ოთხზე ჩაბნელებულ სამზარეულოში გამოსულიყო და ოთხას-ლიტრიანი თეთრი მაცივრის წინ აყუდებულიყო?

- მომისმინე, ძვირფასო!

მისი სახე სიბნელეს გამოეყო. ასეთს პირველად ვხედავდი: თვალბში ცივი შუქი უკრთოდა, პირი მკაცრად მოეკუმა.

- ... სიზმარი ვნახე.

ბუნებრივი ხმა ჰქონდა.

- სიზმარი? რა დროს სიზმარია, ცივი, რომელი საათია?

ზურგი მაქცია და საძინებლისკენ წავიდა. ზღურბლს რომ გადააბიჯა, არ მობრუნებულა, ხელუკლმა მიიხურა კარი. ჩაბნელებულ სამზარეულოში მარტო დავრჩი. ვიდექი და გავყურებდი კარს, რომლის მიღმა ცოლის თეთრი ფიგურა გაუჩინარდა.

შუქი ავანთე და საბაზანოში შევედი. ბოლო დღეებში ტემპერატურას გარეთ მინუს ათის ქვემოთ უჩვენებდა. რეზინის ფლოსტები ისევ სველი და ცივი იყო. სუსხიანი ზამთრით გამოწვეული სევედა და მარტობა ავსებდა საბაზანოს, უნიტაზის თავზე დამარტებული ვენტილატორის შავი ხვერიდან დაწყებული თეთრი კაფელითა და იატაკით დამთავრებული.

საძინებელში შევედი. მეორე მხრიდან, სადაც ცოლი მოკუნტულიყო, ჩამიჩუმი არ ისმოდა. ასე მეგონა, ჩემს მეტი ოთახში არა ვინ იყო. რა თქმა უნდა, ვცდებოდი. ყური მივუვდე და მშვიდი ფშვინვა გავიგონე. თუმცა ეს არ იყო მიმინარე ადამიანის სუნთქვა. საკმარისი იყო, ხელი ოდნავ გამენია, რომ მის თბილ სხეულს შევხებოდი. რატომღაც გადავიფიქრე. აღარც ლაპარაკის თავი მქონდა.

თარგმნა მალზაზ ივანიძე

ეკაბერიძე მთარაველი

(ემიგრანტი იტალიიდან)

ჩემი მამული

მე ნაქცევამდე მეშინია ცალ ფეხზე დგომა. სიყვარულით რომ ვერ მოვედი თურმე შენამდე, დრომ ანონსივით დაგვიწერა თავისი დოგმა, ფერხითი დაქცვათ შესანიერი სახლის ზედაშე, ყველა ტაძრამდე მგონია, რომ დამრჩა სავალი, ვერ გადავცურე ალაზანი, მქუხარე თერგი, დაგაბრალდება როცა ლალატს თავად ლალატი, შემოიღო სამყაროს ფეხს უყოლებ და რჩები

ზურაბ ჭანკვეთაძე

მსხვერპლი მახევი

სიყვარული ყოფილა ამ ცხოვრების მახე თავი ბავშვი მეგონა როცა ისევ გნახე

თაყარ გაბოძე

ერთი დღე ფშავში

საშემოდგომო ფერთა გამაში, ფშავს დიდი შვილის მშობლად ჩამდნარი, სავსე მზითა და ოქროს მარმამით მოვიწახულებ ვაჟას ჩ ა რ გ ა ლ !!.. ედგა მანდილად ჟინვალს გზად ნისლიც... მთაც იყო თავმლის ყურით გასკვნილი... ჩარგალს ვერ მივწვდით საკრეფად ისრიმს -

რწმინის ელჩები

ქეთევან დედოფალს „... იდგა მაშინ მეჩვიდმეტე საუკუნე, წელი იყო საუკუნის ოცი...“ (ციური მესხიშვილი)

ლუკა ლეკიაშვილი

მივყვები ქუჩებს და მივსდევ ქარებს... შენზე ფიქრები ზეცად მატარებს! იმ დიალოგის გიჟური შარმი და ამ ქალაქის გიჟური ღამე...

ფუნჯი თითქოს ჩემი გზამკვლევი ამ უსასრულო გზაზე. დამლულია მისი ჭერა ზოგჯერ... ჰორიზონტის ხაზზე.

ცოდვილ მინაზე იღვრება სისხლი... ამბარტავენება აქ იდგამს გვირგვინს! სასახლის კარზე ჩუმი მხატვარი სისხლის ღვარშია და ცისკენ მიდის!...

გაგანდობ ლექსებს და გიხსნი კარებს, შენზე ფიქრები ისევ მატარებს! ისევ ლექსს გინერ... ისევ შენზე ვწერ და სევდას ლექსებს გადავტარებ!

უაზრობა მღლის მე ნაფიქრს ღამით და სულელური ფიქრები დამსდევს! მერე იგივე... კვლავ ლექსის წერა!.. და ისევ ისე გიჟური ღამე!

წითელი ფერი მოედო ზეცას, მენამულშია ტყე და ველები!.. ამ უკუნეთში იმედიც გაქრა და... ჩაიკეტა გასასვლელი!

შევქმნი პეიზაჟს, როგორც კლოდ მონე... შევფასებ, ვით საღვთოდ დალი! სურეალური ვარ აზრთა მქონე... თუმც... არვის ესმის ჩემი ზრახვანი!

ხმაურმა მოიცვა ხალხის გონება გაუბოროტდა მათ შტაგონება! სიკეთით არ ჩანს სულის ცხოვნება!.. ეს სიტყვა არვის ემახსოვრება!

ვარ, როგორც დავინჩი სასახლის კარზე!.. მე ხელოვნებამ შემოსა მრავლად! გავუყევი ქარებს, როგორც ვან გოგი!.. და... მხოლოდ ჩემთვის პეიზაჟს ვხატავ!

პოეტად ვარ მოვლენილი ამ სამყაროს ეს გახსოვდეს... მარტოობა მერგო წილად. როგორც მეფე, მეც დამტოვეს... მიმატოვეს სევდის წილად...

ბუნარში ცეცხლის მწვავე ალი... სიტბოს მხურვალეობაც არის!.. კადრში გადავჭერი თვალი, თითქოს ვარ საღვადორ დალი...

გავუყევი ღამის ქუჩებს... და მივყევი... ფიქრში... დარდში... იმ სატრფოზე მოგონებებს ვიცი უკვე, რომ ვერ ნავშლი!

რეჟისორი მძიმე სცენის კვლავ სურეალიზმის მიღმა! მინდა ხელოვნების სცენა იდუმალეობამ შემნიღბა.

ახლა უკვე გვიანია, ველარც გული უძლებს სიკვდილს!... ველარ ვნახავ ამ სამყაროს!... ახლა უკვე ისეც ვიცი!

უკიდევანობის მიღმა კვლავ ამ ჰორიზონტს ვუმზერ. ჩრდილში დაფარული სახე ხმას იღებს... და... მე მას ვუსმენ.

ნანერებში ჩავდე გრძობა, და გულის ფიქრს ვტოვებ ლექსად, ზეცისკენ ვარ მიმავალი... ჩემს თავს ვყავარ ეულ მწყემსად.

ისევ სარკე... და სარკესთან მდგომი სილუეტის კვალი მთელის სულით შევიგრძენი თითქოს... ვარ საღვადორ დალი.

მაგრამ შენ ხარ ერთადერთი!... ერთადერთი, ვიზეც ვფიქრობ. ერთად-ერთი, ვინც მიყვარდა... ვინც გულს მისცა დიდი სიტბო!

ნანა უხვია

ყველას გაგვპოვიდან

იმდენი დრამატული განცდა თავმოყრილი, რომ იუმორით გამონვეულ ღიმილს სევდა ახლავს თან. საერთოდაც, მწერალს მიაჩნია, რომ "ქართველად ყოფნა არის ამბავი, რომელიც უნდა მოჰყვე." ამ წიგნმა, მე პირადად, ჩარლი ჩაპლინის "მუნჯი კინო" გამახსენა, რომელიც ჩემში, სიცხლის ნაცვლად, მხოლოდ სევდანარევი ღიმილს ინვევდა ყოველთვის.

გიორგი ბევრს აკეთებს მათთვის და ამ სფეროში მისი მოღვაწეობა დიდად აღემატება წიგნს "წერილები ჩემი ბავშვობიდან" დააარსა ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი "სახლი," მწარე პირად გამოცდილებას უზიარებს აუდიტორიას... საბჭოთა პერიოდში ფსიქიკურად სწულ ადამიანს მალავდნენ, რადგან ეს ავადმყოფობა სირცხვილად ითვლებოდა საქართველოში.

მთავარი რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე ელისაბედ მებრეველი
ფინანსური მენეჯერი ქეთევან ღამბარაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ბაღა გველსიანი, მზია ბარბაქაძე
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური ვოლდემარ ჰანსკი

„ლიტერატურული საქართველოს“
საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი,
GE43BG000000161665862

გაზეთი გაბოძის 2 კვირაში კბოხლ
დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი:
თბილისი, თევდორე მღვდლის 57
ISSN 2720-8540
9 772720 854003

ზ ა ნ დ უ კ ე ლ ის № 1; ტ ე ლ .: 293 69 77 E-Mail: litsaquarterlo@yahoo.com